კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

# საქართველოს რესპუბლიკა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი 27 იანვარი, 2003 წელი
№23 (4402)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

## დედაქალაქი

# პატრიოტიზმი სადარბაზოთი იწყება,

### ანუ კონდომინიუმი – ახალი ცნება და ძველი პრობლემა

დახედეთ თბილისურ სახლებს, ტროტუარებს – საზოგადოებრივ სივრცეს, ჭუჭყიანი ჭიშკრები, დაძველებული სახლები, ვირთხები და ჩამონგრეული კედლები. ასეთია გარე ხედი, სამაგიეროდ შიგნით – ნივთებით და მაღალხარისხოვანი იმპორტული აპარატურით გაჭედილი კეთილმოწყობილი ბინები.

მერაბ მამარდაშვილი,
1990 წელს მიცემული ინტერვიუდან.

კონდომინიუმი – ეს ცნება უცხო სიტყვათა საბჭოთა ლექსიკონებში განმარტებულია როგორც გარკვეულ ტერიტორიაზე მმართველობის განხორციელება ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ. ნუ ეძებთ ამ ლექსიკონში კონდომინიუმის მეორე, ყოფითს მნიშვნელობას, რომელიც საყოველთაოდაა ცნობილი დასავლეთის ქვეყნებში და უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენს საცხოვრისთან, მის მდგომარეობასთან.

იხ. მე-2 გვ.

## სკოლა



ზომბორის სკოლის მასწავლებლებს აზარდაც არ მოსვლიათ გაფიცულიყვნენ, არასოდეს აჰყოლიან პოლიტიზებული უქნარობის ამ ფეხის ხმას, არა მარტო იმიტომ, ხელფასების დაურიგებლობის საკითხი საგარეჯოს რაიონში საერთოდ არ დგას, არამედ იმიტომ, რომ პირადი პრობლემების გამო ცოდნის წყაროს დაწაფებული ბავშვების წყლიდან ამოყრილი თევზებივით გაწირვა მათი პროფესიული თავმოყვარეობისთვის უცხოა და მიუღებელი.

აბა, შეხედეთ ჩვენი ფოტოკორესპონდენტის თედო ნიკოლაიშვილის მიერ გუშინწინ გომბორში გადაღებულ ფოტოს – როგორ ფრთხილად და დაკვირვებით მოაბიჯებენ ხევ-ხევ ბარე შვიდ კილომეტრს იქიდან სკოლაში წამოსული ბავშვები, როგორ მიიკვლევენ გზას, და ასეა ყოველ დილით, ყოველგვარ ამინდში.

დილაუთენია შეუდგებიან გაკვალულ ბილიკს, როგორც სამკალში წამოსული კაცები, გნებავთ, მჭედელი რკინის საკვერად.

გაიწკაპებიან წეროების გუნდივით გოგო-ბიჭები – მოძრავი შავი წერტილები თეთრი ზამთრის დაუწერელ რვეულში, ყინვადაკრული დეკემბრის თოვლის ზედაპირის სიფრიფანება პატარა ნაბიჯებით იფშვნება. მოდიან და ჩუმად მოაქვთ თავიანთი პატარა ფიქრები და საზრუნავი. და როგორც სიჩუმის ალტერნატივა ჩაცვივდება ზოგჯერ სუსხიან ხევში ბროლის ნატეხებად – ამათი სიცილი და ჩაკისკისება.

კარგად გათენდება და სწავლაც დაიწყება.

თქვენ გაიფიცებოდით?!

არმაზ სანებლიძე.

## თვალსაწიერი

# ვანუა და ბიჭები

საქართველოს პრეზიდენტი 75 წლისა გახდა. ეს ის ასაკია, როცა ყველა იუბილარი, უნდა-არ უნდა, კრიტიკული თვალით გახედავს განვლილ ცხოვრებას და თავის გულში მაინც დაუწერს ნიშანს იმ წლებს – „დამაკმაყოფილებელს“ ან „არადამაკმაყოფილებელს“.

ედუარდ შევარდნაძეს ნამდვილად აქვს საფუძველი თავისი თავისთვის „დამაკმაყოფილებელი“ გაიმეტოს.

აი, სხვები კი, ვინც მართლაც იცის ნიშნის ფასი და ამ ნიშნის გამოყვანის კრიტერიუმები, მას „ფრიადს“ აკუთვნებენ.

ამის თქმის უფლებას ქვეყნიერების ოთხივ კუთხიდან მიღებული გულითადი და გულწრფელი მილოცვები იძლევა. მათ ისეთი ხალხი აწერს ხელს, მართლაც რომ დაეჯერება.

იხ. მე-2 გვ.

## მხარე

ლადო მრელაშვილი

წერილი პირველი

# კახეთიდან ბურგუნდიამდე

ამ ზაფხულს თელავს მომიხდა ჩასვლა. სატყეოს დირექტორი ადგილზე დამხვდა. როგორც კი ვუხსენე მიზეზი ვიზიტისა, ხელები გაასავსავა.

– რაო? სამი კუბმეტრი წიფლის მასალა? თუ არ გინდა, რომ დღესვე ნიჩაბზე დამსვან, მაგაზე აღარაფერი მითხრა! ვჭრიდით, განა არა ვჭრიდით, ახმეტისა და თელავის ტყეები მაგ ჭრამ არ გაანადგურა? თელავის სადგურიდან ჩვენი ხეტყით დატვირთული მატარებლები ერთიმეორეზე გადიოდა თურქეთში. მიუხედავად იმისა, რო მთავრობისგან ნება დართული იყო, გია არსენიშვილმა ძაან მოგვიჭირა ქანჩები. ამან კი, ამ ახალმა გუბერნატორმა, დაგვიბარა და გაგვაფრთხილა: – უპრაგონოდ კიდევ როგორ გაზიდავთ აქედან ხეტყეს, ამის შემდეგ ვნახავთო; პირდაპირ ჩვენებურად, კახურად დაგვითათრულა: – სანამ აქ ვიჯდები, მატარებლის რელსებს ქანგი უნდა მოვკიდოო! ასრულებს კიდეც.

იხ. მე-3-4 გვ.

## ყურადღება!

# ნუ დაევამახინჯებინებთ შვილებს საკვებ დანამატებს

იხ. მე-8 გვ.

## უკანასკნელ საათს




გარდაიცვალა ვალერი ბრუმელი – ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, მისი მსოფლიო რეკორდი – 2 მეტრი და 28 სანტიმეტრი წლების განმავლობაში ფანტასტიკურ მიღწევად ითვლებოდა.

გუშინ ისრაელის ჯარები კვლავ შევიდნენ ბეით-ჰანუნში. პალესტინელთა ცნობით, ჯავშანტექნიკას საბრძოლო ვერტმფრენები ეხმარება. ქალაქში საარმიო ბულდოზერებიც შეიყვანეს. 12 პალესტინელი დაიღუპა, 50 მოთავსებულია საავადმყოფოში.

## ინტერპანორამა

ანტიგლობალისტებმა ქალაქ ბერნის ცენტრალური უბანი დაარბიეს. პოლიციამ მათ წინააღმდეგ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი. მიყენებული ზარალი ფრიად მნიშვნელოვანია.



ერაყმა მიიღო კანონი ომის პირობებისთვის. მისი ძალით, შეიარაღებული ძარცვა ან ქურდობა ისჯება სიკვდილით. სასჯელის უმაღლესი ზომა გათვალისწინებულია შეუიარაღებელი ქურდობისთვისაც, თუ ბოროტმოქმედების ჩამდენი ადრე ნასამართლევია.



გუშინ, 50 წლის მანძილზე პირველად აღდგა საჰაერო მიმოსვლა ჩინეთსა და ტაივანს შორის. ტაივანის ავიაკომპანიის თვითმფრინავმა შეასრულა რეისი შანჰაი-ტაივანი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ჩარტერულ რეისებს ჩინეთსა და კუნძულს შორის.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თვალსაწიერი

# ვანუა და ბიჭები

(პირველი გვერდიდან)

ერთი სიტყვით, ეს მრგვალი თარიღი ბატონ პრეზიდენტს ყველამ ისე მიულოცა, როგორც თვითონ ესმის მილოცვა და სიკეთე.

მაგრამ აი, დეპუტატმა ჯემალ გოგიტიძემ, კინაღამ გული ამოიგდო, ვაითუ, ვინმემ ცილი დამწამოს „რატომ კარგი აგიგიაო“ და საინფორმაციო სააგენტოს საშუალებით საგანგებოდ გამოაცხადა, ედუარდ შევარდნაძისთვის დაბადების დღის მილოცვას არ ვაპირებო. ასეთი პრინციპული კაცია ბატონი ჯემალი. კატონივით, წამდაუწუმ, საჭირო იყო თუ არა, კართაგენი უნდა დაინგრესო რომ წამოიძახებდა, ესეც, „შევარდნაძე რაც ადრე წავა პრეზიდენტობიდან, მით უკეთესიაო“, — აცხადებს დავით ბერძენიშვილივით მარადჟამს სახეზე ზეთჩამომდინარი ვერ ხვდება, რომ ბოროტება, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის არის ბოროტება, ვინც მას იქმს. ისე რომ, ჯემალ გოგიტიძე მიულოცავს თუ არ მიულოცავს, ედუარდ შევარდნაძეს ეს ნაკლებად ადარდებს, აი, მან კი წააგო, თუნდაც ამ „არ მილოცვის“ დროს კიდევ ერთხელ აიშალა ნერვები. არადა ასე ნიადაგ ნერვიულობა, მოგეხსენებათ, კაცის ორგანიზმს არყევს და ანგრევს.

ერთმა გაზეთმა კი, აიღო და საიუბილეოდ პრეზიდენტი... სიმულაციაში დაადანაშაულა.

დიახ, სწორედ ასეთი სათაურით „შევარდნაძეს სიმულაციაში ადანაშაულებენ?“ გამოაქვეყნა „მამხილებელი“ ინფორმაცია.

პირველად ვიფიქრე, ამას წინათ, ხმა რომ გავრცელდა, პრეზიდენტს სურდო აქვს, ამიტომ სახელმწიფო კანცელარიაში ვერ მივიდა და ის დღე კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გაატარა, ჩვენმა თვალმახვილმა მასმედიამ ბატონი ედუარდი გამოიჭირა, რომ მას ამ ბოლო 55-60 წლის მანძილზე ერთადერთხელ სამსახურში წასვლა დაეზარა და ავადმყოფობა მოიგონა-მეთქი, მაგრამ როცა ინფორმაცია წავიკითხე, სიცილი ამიტყდა.

თუმცა, მოდით, ერთად ვიცინოთ. აი, ეს ინფორმაცია ზემოთ მოხსენებული მრისხანე სათაურით. „მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ხელისუფლება სერიოზული დესტაბილიზაციის აგორებას გეგმავს. პრეზიდენტის დავალებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სპეცდანიშნულების რაზმები მზადდება, რომელთა მიზანია წინასაარჩევნო პერიოდში მასობრივი არეულობის გამოწვევა. ამ მიზნით სპეციალურ მომზადებას 40-50 შეიარაღებული ფორმირება გაივლის“.

რაც წერია და რამდენად მართალია, რაც წერია, ის მიხეილ სააკაშვილის სინდისზე იყოს, მაგრამ შევარდნაძის „სიმულაცია“ რა შუაშია აქ? ვითომ „სიმულაციის“ ნაცვლად თუნდაც „დესტაბილიზაცია“ რომ ყოფილიყო, ჭორი განელდებოდა? მაგრამ არა, სწორედ „სიმულაცია“ სჭირდებოდათ — ახალი და მოულოდნელი „ბრალდება“!

როგორ გინდა ასეთ გარემოცვაში მუშაობა და რამის გაკეთება? აბა, გავისიგრძეგანოთ, რა რკინის ნერვები აქვს ჩვენს 75 წლის პრეზიდენტს, რომელსაც ყოველი მხრიდან ჩხვლეტენ და კბენენ ყველა ჯურის მჩხვლეტავები და მკბენარები!

ის კი ზის და მუშაობს, თავის საკეთებელსაც აკეთებს და სხვის საკეთებელსაც, რადგან ჩვენში ხომ მყარად არის ჩამოყალიბებული აზრი: ყველაფერზე შევარდნაძემ უნდა იფიქროს, ყველაფერი შევარდნაძემ უნდა აკეთოს! დანარჩენებმა კი ენები უნდა იფხანონ და პოლიტიკოსის იმიჯი შეიქმნან.

მაგალითად, „იმპიჩმენტა“ კობა დავითაშვილი სულ პრეზიდენტის იმპიჩმენტს მოითხოვს, იმის მიუხედავად, აქვს მიზეზი თუ არა. ეს მისთვის თავისებური თავდაცვის სისტემაა. რა გინდა, ამართლებს კიდეც ეს ხერხი: აქაოდა, ადგება და პრეზიდენტის ჩაწყობილად გამოაცხადებსო, მტერიც ერიდება და მოყვარეც მისთვის ყურის აწევას. ენა, მოგეხსენებათ, ალესილი აქვს: შევარდნაძეს მაშინ ექნება გადარჩენის შანსი, თუ ჩვენ ერთმანეთს დავჭამთ, იმ დროს ელოდება, როცა მისი მოწინააღმდეგენი ერთმანეთს დავერევითო.

კაცმა რომ თქვას, სწორი ტაქტიკაა, თუ პოლიტიკისა რამე გესმის. და რატომ უკიჟინებს ყოველთვის სხვის თვალში ბეწვის მძებნელი, საკუთარში კი დირესიც ვერა, კობა დავითაშვილი, სწორედაც გამკვირვებია.

აქ თავისთავად გაგახსენდება ერთი ძარღვიანი (მართალია ცოტა უხამსი) ანეკდოტი:

ვანუა ბოსტანში ჩალიჩობს.

მოადგებიან მეზობელი შეღერებული ბიჭები. დღედაღამ ქალზე რომ ფიქრობენ:

— ნიორსა თესავ, ვანო ძია, ხო?

— არა, ბიჭო, „იმას“ დაგითესავთ და ღობეებს დაგანგრევინებთ!

ღობეებს არ დაანგრევინებს პრეზიდენტი ამ ჩვენს შეღერებულ-აქელვებულ მოწინააღმდეგეებს. იმათ კი, თუ ერთმანეთის დაჭმა მართლა არ უნდათ, კეთილი ინებონ და თავიანთი საქმე, თუნდაც ოპოზიციური, იმგვარად წარმართონ, მოწინააღმდეგეთა შორის „კონსტრუქციული თანამშრომლობა“ რომ ჰქვია საკუთარი თავისა და, პირველ რიგში, ქვეყნის სასიკეთოდ. თუ ეს ქვეყანა მართლა რამედ უღირთ.

ალეკო ასლანიშვილი.

დედაქალაქი

# პატრიოტიზმი სადარბაზოთი იწყება,

## ანუ კონდომინიუმი - ახალი ცნება და ძველი პრობლემა

(პირველი გვერდიდან)

შევავსოთ ჩვენი ლექსიკის ეს ხარვეზი: კონდომინიუმი არის მრავალბინიან სახლებში საკუთრების თავისებური ფორმა, რომელიც ორი, განუყოფელი კომპონენტისაგან შედგება. პირველია პრივატიზებული ბინები, რომლებიც ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს; მეორე — სამეზობლოს საერთო წილადი საკუთრება (სადარბაზო, კიბის უჯრედი, ლიფტი, სხვენი და სახურავი, სახლის მზიდი კონსტრუქციები და საინჟინრო ქსელები და, რაც განსაკუთრებით არსებითია, — ეზო ან სახლის მიმდებარე ტერიტორია). დასავლეთში, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონდომინიუმს ამგვარ პრინციპებზე არსებულ საცხოვრებელ კომპლექსსაც უწოდებენ.

შემთხვევით არ გავუსვი ხაზი მიწის ნაკვეთის კუთვნილების მნიშვნელობას — ძირითადად ეს არის სამეზობლო დავების, ახალი მშენებლობების მოსახლეობის მხრიდან გაპროტესტების ასპარეზი, რადგან საქალაქო, ურბანული მიწის სამართლებრივი სტატუსი, ნაკვეთების კუთვნილება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ჯერ დადგენილი არ არის.

საქმე ისაა, რომ ჩვენში უძრავი ქონების ყველაზე მასობრივი ფორმის — ბინების პრივატიზება უსისტემოდ და გაუაზრებლად ჩატარდა. 1992 წლის თებერვალში დაწყებულ ამ საყოველთაო აქციას პოპულისტური ხასიათი ჰქონდა — ქვეყნის ახალმოსულმა მესვეურებმა ხელის ერთი მოსმით შექმნეს მესაკუთრეთა, მართლაც, მასობრივი ფენა — დღეს თბილისში მრავალბინიან სახლებში ბინები 100 პროცენტამდეა პრივატიზებული.

ბინის მესაკუთრეებმა კარგად ვიცით ჩვენი უფლებები — შეგვიძლია ჩვენი ბინა გავყიდოთ, გავაქირაოთ, დავაგირაოთ, ვუანდერძოთ, გავაჩუქოთ. მაგრამ, თუ გავიხსენებთ ისევ დასავლეთში მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებულ მაქსიმას — **„საკუთრება ავალდებულებს“**, დავრწმუნდებით, რომ ეს ყოველივე საკუთრების მხოლოდ ერთი მხარეა, მეორე მხარე კი მესაკუთრის ვალდებულებებია.

ჩვენი საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სწორედ ეს მეორე მხარე ბინის მესაკუთრეებს ნაკლებად გვაქვს გაცნობიერებული. ეს გასაგებიცაა — რამდენიმე თაობამ ისე განვლო თავისი ცხოვრების გზა, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია თავისი სახლების მოვლა-პატრონობაში. მიმდინარე თუ კაპიტალური რემონტი, სახლის ფასადის შეღებვა, სადარბაზოებისა და ეზოების დახვეტა-დასუფთავება, ნაგვის გატანის ორგანიზება — ყოველივე ამაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო იყო.

დღეს ვითარება მკვეთრად შეიცვალა: სახლების ტექნიკური ვითარება და ესთეტიკური სახე დღითიდღე უარესდება და, შეიძლება, შეუქცევადი გახდეს. დრო და სტიქიური მოვლენები ულმობელია — მათს გამოწვევას ქალაქელების ორგანიზებული დახვედრა უნდა დაუპირისპირდეს.

გამოსავალი აქ ერთია — **„სამოქალაქო კოდექსის“** შესაბამისად, ყველა მრავალბინიან სახლში ჩამოყალიბდეს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, რომელიც მოუვლის კონდომინიუმის მრავალფეროვან პრობლემას. თუ როგორ, — ამის თაობაზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს ურბანისტთა ასოციაციას ტელეფონით: 94-02-80.

**ადრე, თბილისელებს გვიყვარდა ჩამოსული უცხოელების „გამოტეხვა“ თავმომწონე კითხვით — როგორ მოგწონთ ჩვენი ქალაქი? ეს კითხვა უფრო რიტორიკული იყო და პასუხად ქათინაურს ითხოვდა. დღეს ჩვენს ქალაქს, ჩვენ საცხოვრებელ გარემოს უცხოელის თვალით რომ შევხედოთ, უნებლიეთ, წამოიჭრება ეპითეტები: „ბინძური“, „მახინჯი“, „მოუვლელი“. ამაში ჩვენ თავად გვიდევს ლომის წილი. ქალაქის, საზოგადოების, ქვეყნის ღირსება არა მართლაც ფეერიულ ქართულ სუფრაზე, არამედ ჩვენი ბინების ზღურბლის გარეთ ვლინდება.**

**პატრიოტიზმი სადარბაზოთი იწყება.**

**ლადო ვარდოსანიძე,**
**არქიტექტორი-ურბანისტი, ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია: აქ ერთ დროს გზაჯვარედინი იყო, ახლა ბაზრობაა.

კვირა

## რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს კომპანია „არტ იმედის“ მთავარი პროდიუსერი მარინე ბერიძე.**



### ქვეყნისთვის

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ნებისმიერი მოქალაქისთვის და ცხადია, ჩემთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია ის გლობალური პრობლემები, რომლებიც ესოდენ აქტუალური და საჭიროროტოა დღეს საქართველოსთვის. მხედველობაში მაქვს პოლიტიკური მოვლენები რუსეთთან მიმართებაში და ჩვენი ქვეყნის პირველი პირების პოზიცია. ჩემი აზრით, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ვიზიტს და გამოსვლას მოსკოვში ყველა სულმოუთქმელად ელოდა და ვფიქრობ, მოლოდინმა გაამართლა. ამ პოლიტიკურ მოღვაწის სიტყვამ მკაფიოდ გამოხატა ქართველი ერის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ და, გარკვეულწილად, ოპტიმიზმის საბაბიც გამიჩინა.

25 იანვარს 75 წელი შეუსრულდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. ვსარგებლობ შემთხვევით და „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან ვულოცავ მას იუბილეს.

### პირადად ჩემთვის

— ჩემთვის, როგორც კომპანია „არტ იმედის“ მთავარი პროდიუსერისთვის, კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცნობილი პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრთან ერთად, რომელსაც გიორგი ჟორდანია დირიჟორობდა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მხარე

# კახეთიდან ზურგუნდიამდე



2001 წლის 4 თებერვალი, პანკისის ხეობა, ედუარდ შევარდნაძე, ბიძინა სონღულაშვილი (მარცხნიდან პირველი), გიორგი არსენიშვილი (მარჯვნიდან მეორე).

(პირველი გვერდიდან)

— მაშ ამ თურქულ მანქანებს აქედან თბილისამდე პანტა მიაქთ თუ მაჟალო?

— ოო, ეგ იმ ალაზანთან თელავის რიყედ უნდა ჩასთვალო. ახლა, იცი, რას გირჩევ? მიდი ჩვენ გამგებელთან, არც მთლად იგრეა საქმე, რო შენისთანა კაცს პატივი არა სცენ. სთხოვე. თუ ნებართვა არ მექნა, წიფელზე ტყეში ვერ შევალ.

არ მინდოდა მედეა მეზვრიშვილი უხერხულ მდგომარეობაში ჩამეგდო, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა — კახეთის ახალ სახელმწიფო რწმუნებულს არ ვიცნობდი.

მივედი მედეასთან. მის კაბინეტთან, ჩვეულებრივ, უამრავი ხალხი დამხვდა.

„რაიონების გამგებლებთან ერთად გუბერნატორთან არი თათბირზეო,“ — მითხრა მდივანმა.

ვიფიქრე, დავჯდები მოსაცდელში, როცა თათბირი დამთავრდება, გარეთ გამოსულ მედიკოს დაველაპარაკები-მეთქი.

მივედი, თავისუფალ სკამზე დავჯექი. შევნიშნე, ვიღაც კაცი მათვალიერებდა, მერე ჩემკენ გადმოჯდა და მითხრა:

— მე თქვენ გიცნობთ. ახმეტაშიც მინახნიხართ. თქვენი ქცევით ყველასაგან განსხვავდებით. თქვენს სიარულსა და გამოხედვაში ბევრი რამეა ქისტური. ხევსურეთის საზღვართან სოფელია, მითხო ჰქვიან. ძალიან ამაყი ხალხია, იმათ იციან იგეთი დოინჯი, წეღან, მოსვლისას რომ შეჩერდით და წელზე შემოიდგით.

— კი, მაგრამ თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით?

— პანკისელი ვარ, ქისტი, — სულეიმან გუმაშვილი.

გამიხარდა. ვაჟა ფშაველასი არ იყოს, მეც ძალიან მიყვარს ქისტები. მერე ჩემი ნაცნობები მოვიკითხე: ბისოლთი მარგოშვილი, დიდ-პატარა ლაბაზა ქავთარაშვილები. ბისოლთისა კარგადმყოფობა მითხრა, ორივ ლაბაზა კი გარდაცვლილიყო. ძლიერ დამენანენ — კარგი ბიჭები იყვნენ. თელავის ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით. მერე დაწვრილებით გამოვკითხე ძველი მეგობრის — ზელიმხან ბორჩაშვილის ამბავი. ჩვენს პრეზიდენტს მისთვის დიდების ორდენი გადაუცია. უდროოდ გარდაცვლილი უსუფა — მისი უმცროსი ძმა გავიხსენე, დიდებული მოჭიდავე და ერთგულებაში ტოლდაუდები ძმაკაცი. გავიხსენე მათი ბიძაშვილი თენგიზიც და ნელ-ნელა შევყევით საუბარს. აღმოჩნდა, რომ ეს ის სულეიმანია, რომლის ლექსები წიგნადაც გამოვიდა. ახლა აქ ის და მისი ძმა ფრიად საჭირო საქმეებს აკეთებენ პანკისის ხეობაში მშვიდობისა და წესრიგის შესანარჩუნებლად.

თათბირი დამთავრდა. მოსაცდელში მედეა გამოვიდა, მივესალმე. მითხრა: წეღან მდივანმა შენი აქ ყოფნა მოახსენა. ახლა სასწრაფო საქმეზე ჯერ შენთან მოსაუბრეს მიიღებს, შემდეგ შეგიძლია მთელი საათიც დაჰყო ბიძინასთან. მერე კი ჩემთან შემოიარე.

ცოტა ხანში ქისტიც გამოვიდა. გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

ზარის წკრიალზე მდივანმა მითხრა: შებრძანდით, გელოდებიანო.

გუბერნატორი შუა კაბინეტში შემეგება. ბოდიში მოიხადა, ძალიან სასწრაფო საქმე გახლდათ და ამიტომ შეგაყოვნეთ მოსაცდელშიო.

საშუალოზე მაღალი, ლამაზი კაცი იყო, კარგად აღნაგი, საკმაოდ მკვრივად ჩასხმული. გამოხედვა თბილი, თითქმის ალერსიანი ჰქონდა. ამ გამოხედვის იქით კი ბევრის ნანახი გონიერი თვალები იმზირებოდა. პანკისიდან დავიწყეთ. მაინტერესებდა, გაზეთებითა და ტელევიზიით ნათქვამ-წაკითხულს იქით რა იმალებოდა. ჭკვიანი კაცი ჩანდა — ზედმეტი არაფერი დასცდენია. გუნებაში ქება შევასხი — საიდუმლოს შენახვა შესძლებია-მეთქი და, არც გამკვირვებია: ასე უცებ, თათარიახნად გაცნობილ კაცთან, გულახდილი როგორ იქნება სახელმწიფო მოხელე-მეთქი...

— მაგრამ ერთიც უნდა ითქვას: ნდობა კარგია, ბატონო ლადო, მაგრამ ზედმეტი ნდობა, ხშირად უარყოფით შედეგებს იძლევა. დიდებულია, როცა დიდ უბედურებაშიც კი მოვალეობა გახსოვს, მაგრამ სახლკარის, მშობლების, და-ძმისა, შვილებისა და იმ მიწის დამკარგავი, სხვათა მიწაზე იძულებით მოხვედრილი, ვინც უნდა იყოს, ეგრერიგად ველარ უმკლავდება მოვალეობიდან გადახვევას. მწერალი ბრძანდებით და არც მიკვირს თქვენი, თუნდაც ზომას გადაჭარბებული ჰუმანიზმი, როდესაც ბრძანებთ: ადამიანი, თუნდ თავისი ბუნებით კეთილი არ იყოს, ბაძვით მაინც უნდა ბაძავდეს კეთილ კაცს სიკეთის ქმნაშიო. ჩვენ არა მარტო ვბაძავთ, არამედ პირდაპირ ვაფრქვევთ სიკეთეს, მაგრამ ერთი ჭკვიანი კაცის ნათქვამი მინდა გაგახსენოთ: ერიდე იმ კაცს, ვისთვისაც სიკეთე გიქნიაო! და ეს არ არის ჰაერზე ნათქვამი — მის იქით გამოუცნობი საშიშროება იმალება.

— ჩვენ ქართველები ვართ, ბატონო ბიძინა და, სხვა ერებისაგან იმით გამოვირჩევით, უფალმა ჩვენმა ზომაზე ჭარბად შეგვიმხაპუნა ძარღვებში ტოლერანტობა. ამიტომაც ასე მოხერხებულად სარგებლობს ჩვენში ყოველი შემოხიზნული. ჩეჩნებმა ცუდად გვაჩვენეს თავი აფხაზეთში, მაგრამ მაგათ, ახლა, ჩვენზე მეტად უჭირთ.

— ვიცი, ვიცი, ბატონო ლადო. მაგრამ არც ის რჩევაა დასავიწყებელი: თუ გინდა, რომ მეზობელი ქურდად არ აქციო, შენი კარი მაგრად ჩარაზეო. და, სანამ მაგრად არ ჩავრაზავთ, ჩვენ ქვეყანას საშველი არ ექნება.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო ბიძინა, მაგრამ კარი რომ მაგრად ჩარაზოთ, საკუთარი არმიაა საჭირო; არმია რომ გყავდეს — ფინანსებია საჭირო; ფინანსები რომ გქონდეს — წესრიგია საჭირო; წესრიგი რომ გქონდეს — კანონების გამკაცრებაა საჭირო; კანონების უზენაესობა რომ გქონდეს — მოუსყიდავი პოლიცია და სასამართლოა საჭირო! ჩვენ კი, ღმერთო, რაში არა ვცოდავთ?

გუბერნატორმა გულღიად გაიცინა:

— კახელებმა სეპარატიზმს ხომ არ მივყოთ ხელი?

— თუ ერეკლეობას შესძლებთ, თანახმა ვარ სეპარატიზმზე.

— ოღონდ ქაღალდის ჯაჭვი უნდა ჩამაცვათ, რომ ხელის გაკვრით ის მაინც გავხიო. ჰო, მართლა: შვიდ ნოემბერს თელავის დაარსების 1800 წლისა და ერეკლე მეფის დაბადების 280 წლისთავს ვზეიმობთ. მოსაწვევი იყალთოში მოგართვათ თუ თბილისში? — იუბილეა, დაუსწრებლობა არ იქნება.

— მაგ დროს თბილისში ვიქნები, მწერალთა კავშირში გამოგზავნეთ... ბატონო ბიძინ, წეღან ერთი ქისტი გავიცანი.

— ჩემთან რომ იყო?

— დიახ.

— ეგ ძალიან საჭირო კაცია.

— იქნებ ცოტა უფრო უკეთ დაგეკვალიანებინეთ ამ პანკისის ვაკქანალიაში.

— კავკასიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენთან აღმოჩნდნენ ჩეჩენი ლტოლვილები, რადგან თითქმის ყოველ მათგანს ნათესავები ეგულებოდა პანკისელ ქისტებში. წეღან, ძლიერი არმიის ყოლა ტყუილად არ გვიხსენებია. საზღვრების დაუცველობის გამო, რამდენიმე ათასი ქალი, ბავშვი, ხეიბარი და მებრძოლთა გარკვეული რაოდენობა პანკისს შეეხიზნა. ამან ხელსაყრელი გარემოება შექმნა მათთან ერთად კრიმინალების თავშესაყრელადაც: ხშირი იყო პირუტყვის, მანქანებისა და ადამიანების გატაცება. მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქურდობამ, ყაჩაღობამ და, განსაკუთრებით, ნარკობიზნესმა. ყოველივე ამან კი სერიოზული პრობლემები შექმნა პანკისის ხეობის მოსახლეობისათვის და, ახლა, უკვე არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნების არაერთ ოჯახშიც შეაღწია პანკისის უარყოფითმა აურამ.

შეურაცხყოფილი მშვიდობიანი მოსახლეობისაგან არაერთგზის ჩატარებული ყრილობის, ადგილობრივი საკრებულოების, სოფლის უხუცესთა კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, ხეობაში შინაგანი ჯარი ჩადგა და უკვე ნაყოფიც გამოიღო: უშიშროების სამინისტროს, შინაგანი სამინისტროსა და რეგიონის ხელმძღვანელობის შეთანხმებული ძალისხმევის წყალობით, ბევრი მავნე ელემენტი აილაგმა ხეობიდან. თუმცა, ჯერ კიდევ წინ არის მათი ძირფესვიანად ამოძირკვა.

— გამოდის, რომ ამ პანკისის ხეობამ მთელი კახეთი გადაიყოლა და თავის მოსაფხანადაც კი ვერ მოიცალა.

— არა, რატომ? მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა, ბევრი რამ გაკეთდა კახეთში: გავარემონტეთ სკოლები, მოვაგვარეთ სხვადასხვა სოციალური პრობლემა, ექსპლოატაციაში გავუშვით ორი მცირე ელსადგური. მიუხედავად საშინელი სადაგი დღეებისა, არ შეჩერებულა ხადორის ელსადგურის მშენებლობა, რომლის შემდეგ, არა მარტო პანკისის ხეობისა და ახმეტის რაიონის მოსახლეობა გადარჩება უშუქობას, არამედ — მთლიანად კახეთი! ამოქმედდება არაერთი წარმოება-დაწესებულება, გამოჩნდება ასეულობით სამუშაო ადგილი და მოსახლეობაც დასაქმდება.

— მართლა ბარაქალა უნდა თქვან თქვენზე, თუ ამ „ძაღლი პატრონს ველარ ცნობდა“-ში ამდენი რამ ააშენეთ.

— ამას მარტო სამხარეო ადმინისტრაციას ნუ მოგვაწერთ — აქ თვითონ მოსახლეობამაც გამოიღო ხელი. უპირველესად კი თავად პანკისელი ქისტები უნდა მოვიხსენიო, რომელთაც სათავეში უდგანან ზაურ და სულეიმან გუმაშვილები; ღირსების ორდენოსანი, უხუცესთა დიდი ავტორიტეტი — ზელიმხან ბორჩაშვილი, ჯარაფ ხანგოშვილი, ზაურ ცათიაშვილი...

პანკისმა კიდევ უფრო შეგვიტყუა საუბარში და უცებ გამახსენდა ერთი ჭკვიანი არაბის გენიალური ნათქვამი: სჯობს სთხოვო მხოლოდ ერთს — ალაჰს, ვიდრე ეხვეწო ათას წინასწარმეტყველს ერთად. მაგრამ ვიუხერხულე ამ საჭირბოროტო, საერთო ეროვნული საქმიდან პირადულ საქმეზე გადავსულიყავ — რაღაც ორიოდე კუბმეტრი ხის მასალისათვის. ისევ გაჭირვების ტალკვესთან — მედეასთან დალაპარაკება ვარჩიე...

მედიკოს ყველა მთხოვნელი გაესტუმრებინა და მხოლოდ ერთი დედაბერიღა შემორჩენოდა. ვეება კეტს ორთავ ხელით ჩამოყრდნობილ-ჩამომხობილი თავსაფრის ყურით დამჭკნარ ღაწვებზე ჩამოღვენთილ ცრემლებს იწმენდდა.

— აბა, მეტი რა გიყო, ბებო, დროა ეგეთი. დღეს აქ იმდენი შემოვიდა შენსავით საცოდავი, აემაგ ორლარიანის მეტი აღარა შემომრჩა რა. პენსიის მიღებამდის უნდა იკმარო. მეც ადამიანი ვარ, თქვენ ამ დღეში დანახვაზე მეც ვიტანჯები. ცოდო ვარ მეცა... იყავი სონღულაშვილთან? — მკითხა როცა დედაბერი გავიდა.

— ვიყავი. მშვენიერი კაცი ჩანს, მაგრამ ცოტა სიტყვაძუნწობა შევატყე, როცა ვკითხე — ან აქ მოსვლამდე რას აკეთებდა, ან აქ მოსვლის შემდეგ.

— აბა, რა გითხრა, ეგეთი კაცია. თავის თავზე ლაპარაკს ერიდება. გურჯაანში თუ რამე გაკეთდა, მაგის დამსახურებაა. აქ მოსვლისას კი, რისი გაკეთებაც გია არსენიშვილს ჰქონდა ჩაფიქრებული და ვერ მოასწრო, მაგან გააკეთა. მოსვლისთანავე შეგვყარა თათბირზე რვავე რაიონის გამგებელი და ალავერდის ტაძარს ათეულწლობით გარსშემოკრულ-შემომპალი ხარაჩოები მოხსნა. იმ წლის ალავერდობამდის მოვასწარით ტაძრის ძლიერ დაზიანებულ-დაბზარული აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების მოჭიმვა-შეკვრა რკინა-ბეტონით. ადრინდელივით აღდგა იატაკი, ჩაისვა ფანჯრების ახალი ჩარჩოები, შეიმინა, გამაგრდა ბურჯები და მოთავდა სატრაპეზოს რესტავრაციაც; შეკეთდა სხვა ეკლესია-მონასტრებიც. ეგრევე ჩავუტარეთ რესტავრაცია მეფე ერეკლეს ციხე-დარბაზს; ისე გარემონტდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, როგორიც კომუნისტების დროსაც არ ღირსებია; ყვარელში — ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმისა და ნივთების აღდგენა-რესტავრაცია; კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის აღდგენა-რესტავრაცია. შეკეთდა თურდოს ხიდი; იყალთოში აშენდა კიდევ ერთი ხიდი; ლაგოდეხის რაიონში, სოფელ ბაისუბანში აღდგა წყალდიდობისას დანგრეული ხიდი; თუშეთში, დართლოში, პირიქითა ალაზანზე აშენდა ახალი ხიდი, რომელმაც შვიდი სოფელი დააკავშირა ერთმანეთს... რაო, მართლა არაფერი უთქვამს თავის თავზე?

— როგორ არა, სიტყვასიტყვითაც კი შემიძლია გადმოგცე:

დღევანდელ დღემდე რაც გაკეთდა კახეთის ზონაში რიგიანი, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენი რეგიონის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებს, რაიონის გამგებლებს. განსაკუთრებით ამ რეგიონის ადრინდელი რწმუნებულის პირველ მოადგილესა და თელავის რაიონის ახლანდელ გამგებელს, ქალბატონ მედეა მეზვრიშვილსო...

— აი, ხომ ხედავ, აეგეთი კაცია და, მოჰკალი, თუ გინდა. თავის თავზე სიტყვას ვერ დააცდენინებ.

— ადრეც თუ აუშენებია სადმე რამე?

— როგორ არა. აქ მოსვლამდე თბილისის მეტრომშენებლობის გენერალური დირექტორი იყო. მაგის მეშვეობით აღდგა 14 წლის განმავლობაში აკრძალული მანქანების მოძრაობა ვაჟა ფშაველას პროსპექტზე, რომელიც იქ მდგარი ავარიული სახლების გამო იყო დახურული.

— კი მაგრამ, იქ ხომ ახალი სახლებია, რა დაემართათ?

— მაგის მოსვლამდე, იმ ტერიტრიაზე, მეტროს მშენებლობა ღია მეთოდით მიმდინარეობდა სათანადო დაუფინანსებლობის გამო.

— მაგან საიდანღა გამოჩხრიკა ეგ თანხები?

— ჩვენი პრეზიდენტის წყალობით. მაგრამ თავადაც ძალიან მოხერხებული კაცია — მოსკოვსა და ეკატერინბურგამდეც კი ჩავიდა. — აბა მაგან უნდა იმღეროს „კაცი ვარ და ქუდი მხურავსო“.

— არა, არ იტყვის... თორემ მაგის ვაჟკაცობის ნაყოფია ვაჟა ფშაველას სახელობის მეტროს სადგური ასე უცებ რომ შევიდა ექსპლოატაციაში. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს პირველი მეტროს სადგური იყო...

— თუ მართლა ასეთია, მაშინ ვაჟას „კაი ყმის“ ბადალი კაცი ყოფილა. მაგრამ გია არსენიშვილიც ხომ ასეთივე კაცი იყო: ქველმოქმედი, თავისი ერის მოზარე და მისი კულტურის მოჭირნახულე. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი და მოსმენილი რაფიელ ერისთავის იუბილეზე, ქისტაურის სკოლის მოსწავლეებმა მისი ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სცენები მშვენივრად რომ წარმოადგინეს, მან იმ სკოლას 1000 ლარი შესწირა. მე ხომ მამამისსაც კარგად ვიცნობდი და ვმეგობრობდით. მაგათ ჯილაგს მამა-პაპიდანვე მოსდგამთ კაცობა და სიტყვის გაუტეხლობა: მეორე წელს მაინც ვკითხე ქისტაურელ მასწავლებლებს — რა ჰქნა თქვენმა გუბერნატორმა, სხვებივით სიტყვა ხომ არ გატეხა-მეთქი. რას ბრძანებთ, ბატონო, სკოლაც გაგვირემონტა და, იმ ათასი ლარისა კი ახალი მერხები გავაკეთებინეთო, — მიპასუხეს.

— რამდენადაც ვიცი, ბიძინა და გია ადრიდანვე მეგობრობდნენ. აქ მოსვლისას კი მის წამოწყებულ საქმეებს კვალდაკვალ მისდევს და აფართოებს კიდეც. პირველ რიგში, განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობისა და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე დაიწყო ზრუნვა.

— „ვაშად მოხველ, ამირან დარეჯანის ძეო!“

— ამირანობისა რა გითხრა და, მოსვლისთანავე ეგრე თავშისაცემ პანკისის ხეობასა და მთლიანად კახეთში დანაშაულებრივი ქმედებების — ქურდობის, ყაჩაღობის, კაცის გატაცებისა და ხეტყის უკანონო ჩეხვის აღსაკვეთად რომ დღე და ღამე აღარა აქვს გარჩეული, ყველასათვის აშკარაა.

იხ. მე-4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მხარე

# გახეთიდან ბურგუნდიამდე

(მესამე გვერდიდან)

— შექსპირის ნათქვამს — ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროსო, მე დავამატებდი: ვერც კეთილის ქმნა დაემალება დღის სინათლეს. ქართველებს კარგი ანდაზა გვაქვს: მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გამოივლი — წინ დაგხვდებაო. ოღონდ, დღეს, სიკეთის ქმნა ფულის „ქმნამ“ დაჩრდილა. ამიტომ სიქველე სიხარბემ შეცვალა, წაქცეულის წამოყენება — წაქცეულის ჩაწიხლვამ.

— კარგი რა, თუ ძმა ხარ. რაც მე ადამიანებისთვის სიკეთე მიქნია, ვინ დაინახა? აგე, დღეს, მომდგომიან ჟურნალისტები და ქვეყანაზე თავსა მჭრიან: მედეა მეზვრიშვილი უცხოური ფილმების ჩვენებას კრძალავს თელავშიო.

— მერე ეგ გიკვირს, მედიკო? — მე შენს ადგილას უარესს ვიზამდი.

— ერთი ცხვრისკენ და ერთიც მგლისკენო — კომუნისტების დროს ფილმში შეყვარებულთა კოცნაც რომ ყოფილიყო, აფიშას აწერდნენ — 16 წლამდე ბავშვები არ დაიშვებიანო. ეგრე შევინარჩუნეთ პატიოსნება და ზნეობა. ახლა კი, ზნეობრივ დაცემას, სიყვარული დაარქვეს: ქალის ბოზობა-გახრწნილებას — სექსი. აქ ნათესაობა, მეგობრობა, ურთიერთნდობა, და-ძმობა თუ ბიძაშვილ-მამიდაშვილობა არარაობამდეა დაყვანილი! — ყველაფერზე პირუტყვული სექსი ბატონობს! თუმც არ ამიკრძალნია, მაგრამ, როგორ არ უნდა აიკრძალოს?! მარტო პორნოფილმები კი არა, ყოველგვარი სერიალებიც უნდა აიკრძალოს. ან ეს რა ოხრობაა: გამოცვივდებიან შიშველ-ტიტველი მომღერლები, წამოიკალთავებენ ისედაც მოკლე კაბებს და კურტუმების გამაღიზიანებელი ქნევითა და ქალისთვის ყოვლადშეუფერებელი გრეხვა-კუნტრუშით მღერიან ხოლმე მშვენიერ სიმღერებსაც. დავიჯერო, პატრონები არა ჰყავთ ამ შობელ... განათლებულებს?! ჟურნალისტები! ჟურნალისტები! მაგათში ორიოდე თუ იქნება მართლა ჟურნალისტი, თორემ, დანარჩენები ჟურნალისტის პროვოკაციები არიან. ლაპარაკი მაგათ არ იციან, ენა მაგათ არ იციან, წერტილ-მძიმე მაგათ არ იციან, წინადადების გამართვა მაგათ არ იციან, პაუზა სად უნდა ლაპარაკის დროს, ისიც არ იციან! — მაშ რისი ჟურნალისტები არიან, ეგ ქარიილეტიები? ერთმანეთში ურევენ ქართულ-რუსულ-ინგლისურს. წინადადებებს ისე მიაბამენ ერთმანეთს, არსად არ გაჩერდებიან, სანამ სუნთქვაშეგუბებულებს ლამის სული არ ამოხდებათ! აბა, მაგათ რა უნდა ელაპარაკო? თითქოს თვითონ დიდი წმინდანები მყავდნენ და შეკვეთილი წერილები ჯერაც არ დაეწეროთ.

— ქართულის რიგიანად არცოდნას მარტო ჟურნალისტებს ნუ დავაბრალებთ. უსინდისო ვიყო, თუ ზოგიერთ სწავლულ-მეცნიერზე უკეთეს ქართულს არ ლაპარაკობდნენ ყარაჯლელი თათრები.

— უჰ! კიდევ კარგი, რომ გამახსენე. ვერ წარმოიდგენ, ჩვენი გუბერნატორი რამდენსა ზრუნავს კახეთის არაქართულ სკოლებში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლებაზე. მათ არა მარტო საჭირო ლიტერატურით ეხმარება, არამედ ტექნიკური ინვენტარითაც. საერთოდ კი, რეგიონის ყველა სკოლას მისწვდა და, თუ რამ აკლდათ, ყველაფერში დახმარების ხელი გაუწოდა. წინანდალში გვაქვს ხეტყის გადამამუშავებელი კომბინატი, რომელსაც შესანიშნავი ადამიანი, ქველმოქმედი ნოდარ რაზმაძე ხელმძღვანელობს. აქ კახეთის ყველა სკოლიდან მოაქვთ დამტვრეული ინვენტარი. აქვე ხდება მათი აღდგენა, შეღებვა და მერე განახლებულის უკანვე დაბრუნება.

— იცი რა, მედიკო? ღმერთმანი, ყოველთვის მშურდა აჭარისა, რომ მთელ ევროპაში გაიჩინა საძმო-სამეგობროები.

— მე მგონია, მაგაში არც ჩვენ ჩამოვრჩებით. ჯერ კიდევ გია არსენიშვილმა ჩაუყარა საძირკველი ევროპის ქვეყნებთან მეგობრობა-დაძმობილებას. ავსტრიაში — შტირიის მხარესთანა გვაქვს ძმობის ფიცვერცხლი ნაჭამი. ბატონმა ბიძინამ კი ეს მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განამტკიცა და გააფართოვა: საფრანგეთში — იონის დეპარტამენტთან; უკრაინაში — ივანო-ფრანკოვსკის რეგიონთან; პოლონეთში — კარპატისპირეთის რეგიონთან ვმეგობრობთ უკვე... კარგა ხანია, რაც მოლაპარაკება მიდის იტალიის, ჩინეთის, იაპონიის, რუსეთის სხვადასხვა რეგიონთან დამეგობრებაზე... უცხოეთის ქვეყნებთან აქტიური საქმიანი ურთიერთობის გამო წელს სტრასბურგში მიიღეს გადაწყვეტილება ევროპის რეგიონთა ასამბლეაში კახეთის მხარის გაწევრიანებაზე.

—მერე, არის კი რამე ხეირი მაგ დამეგობრება-დაძმობილებაში?

— როგორ არ არი, კაცო, — მოსწავლეთა გაცვლა ერთმანეთის სკოლებში სასწავლებლად; პედაგოგების გაგზავნა უნივერსიტეტებში სტაჟირებისათვის. განსაკუთრებით კი საფრანგეთში — ჩვენი და მათი მეღვინეების ურთიერთგაცვლა გამოცდილებათა გასაზიარებლად, რადგან, როგორც საქართველოში კახეთი, ისე საფრანგეთში ბურგუნდია მევენახეობა-მეღვინეობის მხარეა... ყოველივე ამას კი, როგორც ისტორიულადაც იყო, თელავი უდგას სათავეში... აი, ახლაც ბურგუნდიის იონის დეპარტამენტში მიგვიწვიეს. აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში ლაგოდეხის ცეკვისა და გურჯაანის სიმღერის ანსამბლები მიდიან.

— თელავი?

— თელავიდან ორ მხატვარს ვგზავნით.

უეცრად თავში მაცდურმა აზრმა გამიელვა.

— მედიკო... ერთი რამ მინდა გთხოვო.

— რაც უნდა მთხოვო, ის უკვე გაკეთებულია. შენამდე იყო აქ ჩვენი სატყეოს დირექტორი და იმან მითხრა ორ თუ სამ კუბმეტრ წიფლის მორზე. ჩვენგან დახმარება ბევრად უფრო მეტიც გეკუთვნის, მაგრამ მაშინ არეული დრო იყო და ვერ გამოვიღეთ ხელი იყალთოში შენი სახლის მოსამთავრებლად... ოღონდ განცხადება უნდა დასწერო ჩემს სახელზე.

— ეგ არა, უნდა ერთი ანდაზა გითხრა.

— რა ანდაზა?

— სადაც სოფლის ნახირი — იქაც ბებრის ხბოო.

— შენ ჰაერზე არაფერს იტყვი, ეგ რისი „პესნიაა“?

— რისი და, ამდენ ანსამბლებსა და მხატვრებს, ერთი ჟამთააღმწერელი ხომ უნდა?

— მაგის თქმას რა ანდაზები უნდოდა? ხვალვე დაველაპარაკები ბიძინას. მართალია, სამაგისოდ გამოყოფილი ყველა თანხა დახარჯულია, მაგრამ, არა მგონია, შენ უარი გითხრას რამეზე. აუცილებლად გამოსჩხრეკს საიდანმე რაღაცას...

და მართლაც გამოჩხრიკა!..

**ლადო მრელაშვილი.**

ჩვეულებრივი რაკურსი

# ქალი, რომელსაც ძალიან სურდა პალტოს ყიდვა...

ეს სამუშაო დღეც ბოლოს და ბოლოს მიილია. გზა სამსახურიდან მეტროს სადგურამდე შენი ერთადერთი სასეირნო მონაკვეთია და შენც იფერებ, მიდიხარ ნელა, აუჩქარებლად, ფიქრობ ათას რამეზე და უცებ პრესტიჟული მაღაზიის ვიტრინასთან ჩერდები, სადაც ისეთი პალტო ჰკიდია, რომელზეც მთელი ცხოვრებაა ოცნებობ, სიზმარში რომ გინახავს და გაპრანჭულხარ. შესვლას დააპირებ, მაღაზიის კარზე ჩამოკიდებული წარწერა შეგაჩერებს: „ახალი საქონლის მიღებასთან დაკავშირებით დროებით დაკეტილია, გავაღებთ 18.30 წუთზე“. თითქოს გაგეხარდა კიდეც... თან გეწყინა. გეწყინა იმიტომ, რომ თითქოს მარტო მაღაზიის დაკეტილი კარი გაშლიდა ხელს სანუკვარი სამოსის შეძენაში და გაგიხარდა იმიტომ, რომ კარი მართლა დაკეტილი აღმოჩნდა და ამით გადაარჩინე საკუთარი თავი იმის მხილებაში, რომ ამ პალტოს მყიდველი არა ხარ, რომ პატრონი არა გყავს, რომ შენი ხელფასით პალტოს კი არა, უბრალოდ, ცხვირსახოცსაც ვერ შეიძენ და ა. შ. და ა. შ. თუმცა გაგახსენდა, რომ საფულეში შავი დღისთვის გადანახული, ბებოს ნამზითევარ ხალიჩაში აღებული თანხა გიდევს, რომელიც ანტიკვარის კოლექციონერმა, როგორც იქნა, მოგიტანა. ღრმად ჩაისუნთქე და მეტად რისკიანი გადაწყვეტილება მიიღე: „პალტო უნდა ვიყიდო! ოჯახზე გადამკვდარ ქალს, ერთგულ მეუღლესა და სამაგალითო დედას, ბოლოს და ბოლოს, მაქვს თუ არა უფლება ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც შევიძინო ახალი სეზონური ჩასაცმელი? დიახაც რომ მაქვს, და ხმასაც ვერავინ ამოიღებს. ისეთი უბრალო წვრილმანი კი, როგორიც დროებით დაკეტილი კარია, გადაწყვეტილებას ვერ შემაცვლევინებს. მხოლოდ ცოტაოდენი მოთმინება და ეს საოცნებო პალტო ჩემი იქნება“.

მაღაზიასთან ახლოს, ღია კაფეში ჭიქა ყავა შეუკვეთე, სტუმრად წასვლას მაინც ვეღარ მოასწრებ, თანაც ცოტას დაისვენებ... მართალია, გარეთ ცივა, მაგრამ არაფერია, არ გაიყინები. ჰო მართლა! შეგიძლია გამვლელ-გამომვლელი ათვალიერო, „სილატაკის ზღვარს გადაცილებულ“ ქალაქში მომრავლებულ უცხოურ ავტომობილებს თვალი გააყოლო და გამოაყოლო. პარიზში, თურმე, ასეა მიღებული: ქალაქელების ერთი ნაწილი კაფეებში ტერასებზე ზის და დანარჩენი მოქალაქეების იმ ნაწილს ათვალიერებს, რომელიც თავის საქმეებზე მიიჩქარის, შემდეგ კი ისინი ერთმანეთს ჩაენაცვლებიან. ჩვენ, ვინც პარიზში არ ვყოფილვართ და, ეგებ, ვერც მოვხვდეთ, მხოლოდ საკუთარ წარმოდგენებში ვხედავთ, თუ როგორ ცხოვრობს იქ ხალხი. ისე კი, სჯობს ყურადღება არ გაგეფანტოს, იფიქრე მხოლოდ პალტოზე, რომელიც რაღაც ოციოდე წუთში შენი საკუთრება გახდება.

ახლა კი, მოკალათებულხარ მაგიდასთან, ყავას წრუპავ და წარმოიდგენ, რა მოხდება სახლში, როცა ახალ პალტოსთან ერთად შეაბიჯებ. სიურპრიზიც ასეთი უნდა! აი, ვის უფრო გაუხარდება მისი დანახვა, ეს უკვე საკითხავია. შვილები, ალბათ, აუცილებლად გაიძულებენ რომ ჩაიცვა, რათა შეაფასონ, გიხდება თუ არა.

შენ უკვე 30 წელს გადააბიჯე, შვილებიც პატარებად აღარ ითვლებიან, ერკვევიან რაღაც-რაღაცეებში, თუმცა კვლავ სჯერათ, რომ საკუთარი დედა — ყველაზე კეთილი და ყველაზე ლამაზია, ისინი ცოტას აჭარბებენ, მაგრამ, დაე, სჯეროდეთ! მაგრამ ქმარი, ეჭვიც არ გეპარება, გაიფხორება ინდაურივით, იმასაც ვერ დამალავს, რომ ძალიან გიხდება, მაგრამ მაინც დააყოლებს: „ვერ ხედავ, ხალხი შიმშილით კვდება, შენ კი, ამხელა ოჯახის და ცარიელი ჯიბის პატრონი, საკუთარ გარეგნობაზე ზრუნავ, შევარცხვინე შენი ქალობა!“

მაღაზიის გაღებამდე კი სულ ცოტა 30 წუთიღა რჩება. მალე ძველი ქურთუკი, ახლა რომ გაცვია, საკუჭნაოში თავის ადგილს დაიკავებს. რა გაქვს საწინააღმდეგო ამ ქურთუკთან? გახსოვს, როგორ გიხაროდა, როცა შეიძინე? ეს ხომ იმ დროს ყველაზე დიდი შენაძენი იყო. ის ხომ ყველა შენს ქვედაბოლოს უხდება, ადვილად ირეცხება და მალე შრება! პრაქტიკულია ხალხით გადაჭერილ მეტროში მგზავრობისას. არც ღილი წყდება, რადგან „ელვით“ იკერება, როცა შეიძინე, თავი უფრო ახალგაზრდად იგრძენი, ასეთ ტანსაცმელს, ხომ გოგო-ბიჭები ატარებენ.

ირგვლივ ცხოვრება დუღს. შენ კი ამ ქურთუკის სახელოებს თვალს ვერ აშორებ: ის ხომ შენი ერთგული თანამგზავრია, ყინვაში გათბობს, სამაგიეროს არ გთხოვს. შენ კი მზად ხარ უღალატო, დაუფიქრებლად მოისროლო ნესტიანი საკუჭნაოს კუთხეში. აბა, ახლა ეს მითხარი, რისთვის გინდა პალტო, რომელიც 30 წუთში უნდა შეიძინო?

როგორ რისთვის? ქურთუკს ხომ მხოლოდ ქვედაბოლოებსა და შარვლებთან ერთად ატარებენ, რა მოდურიც უნდა იყოს. აბა, ეს პალტო ნახე! ისეთი ელეგანტურია, ყველანაირ გამოსასვლელ კაბას მოუხდება. თავს უფრო ქალურად და თავდაჯერებულად იგრძნობ. ჩემი ასაკის ქალს პალტო უფრო შეეფერება. ეს ხომ დღესავით ნათელია.

რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ შენ მგონი გამოსასვლელი კაბა ახსენე, რომელიც... გაქვს?

მართალია, შენ არ გაქვს სადღესასწაულო კაბა, სადღესასწაულო ფეხსაცმელი, სადღესასწაულო ჩანთა, სამკაულები, მაგრამ ხომ გაქვს სადღესასწაულო პერანგი, რომელიც ორი წლის წინათ ქურდულად შეიძინე? იყიდე იმიტომ, რომ ერთ საღამოს გამოტყდი! — შენი თავი შეგეცოდა, აბა, გაიხსენე როგორ იყო საქმე: შებინდებისას, ძლივს მოხლაფორთებული სადილით ყველა დააპურე, ჭურჭელი დააკრიალე, იატაკი მოწმინდე, სარეცხი დარეცხე, მეორე დღისათვის ჭურჭელი წყლით აავსე და ქანცგაწყვეტილი სამზარეულოს მაგიდას მიუჯექი. გახუნებული ხელჩანთიდან ნათხოვარი მოდის ჟურნალები ამოალაგე და ფურცვლა დაუწყე. საუცხოოდ ჩაცმული ქალბატონები ხან სტუმრებს იღებდნენ, ხან საბანკეტოდ ეწყობოდნენ. ხან პრემიერაზე მიბრძანდებოდნენ... სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიება მათგან შესაფერის ჩაცმულობას მოითხოვდა.

მეორე დღეს ეს ჟურნალები მეგობარს დაუბრუნე და იმ დღესვე შეიძინე ძვირადღირებული პერანგი, თან საკუთარ თავს სიტყვა მიეცი, რომ გამოსასვლელ ფეხსაცმელსაც შეიძენდი და ჩანთასაც. მაგრამ დრო გადიოდა უსახსრობის გამო მაღაზიებს ახლოსაც არ გაკარებიხარ, პერანგი კი, რომელიც შეიძინე, ერთხელაც არ ჩაგიცვამს. ანდა სად უნდა ჩაგეცვა?! შენ ხომ არც მიღებებზე მიუწვევიხარ ვინმეს, არც კოქტეილზე, არც პრემიერაზე და არც გასართობ საღამოზე. ცხოვრობდი ჩვეულებრივი რიტმით — 8-საათიანი სამუშაო დღე, ორი შვილი, ქმარი, ოროთახიანი ბინა ქალაქის გარეუბანში. გულგრილად გადაავლებდი თვალს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც გირჩევდნენ, როგორ უნდა გამოიყურებოდე უკეთესად და მწარე ღიმილი გადაგირბენდა ხოლმე.

ახლა კი, მაღაზიის გაღებამდე 5 წუთიღა დარჩა! ამ პალტოს რაც შეეხება, მართლა, ძალიან მოდური და ელეგანტურია, შეგიძლია თამამად მოიცვა ძვირფას და გამოსასვლელ კაბაზე, მაგრამ ეს პალტო ხომ ცხოვრების სხვა ყაიდის ქალისთვის არის განკუთვნილი, შენ არ გამოგადგება. იყიდი და მასაც იგივე დაემართება, რაც პერანგს. მართალია, ერთხელ მაინც მოწყვეტ მეზობლებს თვალს და, იქნებ, თეატრში წასვლაც გაბედო, მაგრამ რად გინდა! შეხვალ მეტროში და იქიდან ღილების გარეშე გამოიტან. არა, ეს ქურთუკი უფრო პრაქტიკულია! გეკიდოს ეს შენი პალტო კარადაში ხანდახან თვალს მაინც შეავლებ. როცა იქნება, იქნებ ვინმე ახლობელმა ქორწილი გადაიხადოს და იქ მაინც მოიწონო თავი, მაგრამ მაშინ იგი აუცილებლად ძველმოდური მოგეჩვენება. ისეთი შესახედაობა გექნება, თითქოს ნაფტალინის სუნით გაჟღენთილი სკივრიდან ეს-ესაა გამოგაძვრინეს.

ესეც ასე! შენი წლოვანება, შენი სამსახურებრივი და ოჯახური მდგომარეობა, ერთი სიტყვით, შენი სოციალური სტატუსი გამორიცხავს ძვირფასი სამოსის აუცილებლობას. საქმე ის არის, როგორ აღიქვამ ამას, განიცდი, რომ ცხოვრება მიდის, რომ აბრეშუმი, ბეწვი, ბრილიანტები არ არის ასეთი ქალის საქმე, რომ ეს მიწიერი სიხარულის მიზეზები შენ არასოდეს გაგახარებს და თავს იმშვიდებ იმით, რომ, მაგალითად, ეკვატორზე მცხოვრებ ხალხს არ აქვთ ხელთათმანები, არ აქვთ იმიტომ, რომ არ სჭირდებათ! როგორც შენ არ გჭირდება საღამოს კაბა თუ ელეგანტური მოსაცმელი.

ახლა ადგები და სახლში დაბრუნდები. ხოლო პალტო, რომელსაც არ იყიდი, კვლავ ძველებურად გაალამაზებს ვიტრინას. გული ნუ დაგწყდება, აბა გაიღიმე! სამაგიეროდ, გათავისუფლდები საყოველთაოდ გავრცელებული აზრისაგან, რომ ყველა ქალს უნდა ჰქონდეს თითო ხელი გამოსასვლელი ტანსაცმელი ამა თუ იმ შემთხვევისთვის... მაგრამ იქნება ასეთი შემთხვევა?

გაიღიმე, შეხედე ელეგანტურ ტანსაცმელში გამოწყობილ უცნობ ქალს, რომელიც შემოგხვდა და ძალიან მოხდენილი „საქმიანი“ კოსტიუმი, გრძელი ქვედაბოლო და ძვირფასი მაქმანებით გაწყობილი ხალათი აცვია. ნაცნობი ტანსაცმელია, არა? შენ მას თვალი ერთ-ერთ მოდურ ჟურნალში მოჰკარი, მართალია, იქ იგი მანეკენს ეცვა, რომელსაც ხელში ჩანთა ეჭირა და საზეიმო კიბეებზე ეშვებოდა. შენს თანამემამულე ქალბატონს კი ორივე ხელში მძიმე ჩანთები უჭირავს და მხრით თოკზე ასხმული ტუალეტის ქაღალდების შეკვრას მოაქანავებს. ის ლამაზი ჩანთა კი, ალბათ, რომელიმე საბაზრო ჩანთაში ჩატენა, რომ არ დაეკარგოს.

რატომ გეცინება? ნუთუ უცნობი ქალია დამნაშავე, რომ მისი სურვილი, გამოიყურებოდეს ლამაზად და მოდურად, დათრგუნულია ოჯახზე ზრუნვის მოვალეობით?

მაინც არ აჩქარდე, განსაჯე და მიდი იმ დასკვნამდე, რომ შენი ტანსაცმელი ყველაზე მოხერხებულია შენი ცხოვრების სტილისათვის. ე. ი. შენ სწორ გზას ადგახარ.

ეს კი არც ისე ცოტაა...

**თამარ მარუაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### პროზაული ციკლიდან „შავი კრიალოსანი“

## გივი შეყილაძე

# ოდა ჭიპმიჭრილ იმედებზე



**ვუძღვნი ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობრების გურამ მეტრეველის, ჰამლეტ გურგენიძის, ზაალ ქვანიას, ლევან ჭელიძის, ზაურ ბოლქვაძის, ჯემალ ქარჩხაძის ხსოვნას.**

**1.**
mfhbs uf,thbk gthfyuc
fo.dtnbk qbkbdbs vbult,ekc7
hjv dth vbfodlty vpthfc7
nhfvfkt,c uflfhblt,ek
.fvbh vbot,fl [heixjdbc
vjyfskek mdt.ybc ,jkjc
+gfnbjcyt,bc7 vheij,bc7
esfd,jkj,bc cbv,jkjc' 2
jhvjwlfxdblvtnbc bdkbcib
mfhsdtkb ,bzt,bc htvf
w[tysf dfujyt,blfy 2 abybipt
gtirjdrbc hfbjyib dlutdfhs8

**2.**
upf 2 cbvodfytib xfrfhuek
r,bkt,ufw[hbkek cfdfhw[kfl
lfvtx[hbk fh.yfht,c 2 cfdfhueks
hfvltyb [fybf uflfwlf8
lf def[kjdlt,bs ifd othnbkc7
cntgib rjcvjcblfy xfult,ek
dfujyc8 ,h&fyt,ff5 3itxthlbs=
fm rfhub bmyt,f dzfvlts gehc48
dfujysfy mfkt,b itxmdbalyty7
[dfk hjv ufufwkbfy fhfmfsc=
,bzt,b5 3dbcdtyt,s0 xdty rbltd
fmtlfy ofvcdktkyb fqfh dfhs=4

**3.**
uflfo.lf8 lfudthmdf ,hbuflf vtcfvt
recnfyfbib lbkbs vjltybk
cneltyn-vityt,tk7 vktcfdt,c
+vtht pjuc lff]bkljdt,ty
.fvbhbc jhltybs'
gbhdtkb ufwyj,f5 fsfvlt dfybf
+bdfy gtnhjdbxb7 bdfyt
ctvbjybxb888'
j]f[bs fm w[jdhj,c hfvltyb [fybf8
eafkb fvfpt vtn ufvjwlfc
vjubc]bc0
dfujyib sbsj yfhc gfnhjyj,c
wjk-mvfhb7
fqefw yfhbc mdti /.fds xdht,ib
ufrhekb8
+rjveybpvb rb rfhptf vjvlufhb7
ybrbnfc htwtgnbs 2 w[jdht,f
pqfghekb8

**4.**
jwb okbc ,jkjc cfv;qfdyb
vodthdfkb
[tkbc ufcfodlty qhe,kt,ib hxt,f8
vfyfvlt fv f,cehlbc othf-vothfkb
cf[dfkbjl udgbhlt,f jmhjc
xtxvfc'8
yfht,pt iefqfvbs rdytcf lf
rheceyb7
sbsmjc vbobc&dhf fhotdltc dfujyc7
wjkb mvfhc ,eyt,hbd cehdbkt,c
echekt,c7
vbtkndbc dyt,fc yfqlc se
ufvjyfujyc8
vtht rjveyf o.yfhlt,f [dfkfvlt7
hectsbc vjvfdfkbw yfht,c mdti
b&byt,c8
+dby bwbc7 tc xdht,b cf[tt,c
eafhfdlfs
vjvfdfk genbyt,c lf
xthyjvbhlbyt,c'8

**5.**
jwyt,f rfhubf8 lf ofhvjcf[dt,bw7
vfuhfv cfl b&byt, fvfqfv7 fv wbc mdti0
yfzthbw fhf ufmdc sbspt lfcf[dtdb7
hjv fqfhfathb dsmdfs e,hfkj
,fkbipt8
,h&fyt,f5 3ktkbfyc [jv [tlfds7
ifv,yfhib7
eylf ufdvfhsjs ktkmfibc rfhdt,b8
ufvjdto.j,bs ,eyt,bc afhxfib47
ijhc xdtyufy +cflff0' gfnbvhbc yfht,b8
xdtyib hjv bn.dbfy7 vpt vjie,bcnfhlf7
rfhdt,bw ufvjxylf fh.yfhbc nfaj,ib8
vfuhfv [jv ubylf7 cflujvbc ufhlf7
df[ifvb7 e[jhwj cegb fy ,jhixb0

**6.**
n.bc gbhpt kekblfy fdfhlf rdfvkb8
n,bc b[dt,c vjfgjhobfkt,c bdfyb8
,fkf[ib brfhut,f cbc[kbfyb rdfkb8
ufwyj,bc ceahfpt udtmyt,f odybfyb8
o.dlbflb uffgj lf wtw[kvf lfrkfryf
ew[j wbc uev,fsb8 ewyfeh ctdlbs
uflvjudfgbhmdfdf ewyj,b dfhcrdkfdyb
nhfvfkbc qfvtv lf cnevht,bc udthlbs
wtw[kvf lf fhf.vf vje[vj
vfcgby&kt,c7
fhf.b ff[kjt,c ew[jt,c cfjwhfl7
cek vfkt cbvqthfv batsmf7 lfb&hf
lf sdfkt,c whtvkt,b eyt,kbtl
uflvjwlf8

**7.**
ereyb8 he[b wf8 othnbkb wtw[kbc7
ijhblfy 2 [jvfklb nfkqt,pt
bhotdf8
cbvqthbc tmj 2 cntgt,c ito.dtnbkb
lf eyfgbhj sfdlfdbo.t,f8
fv sdfkitelufv qfvtek cbdhwtc
hf cfjwfhb [vbs t[fvt,f
hecekb [fcbfsbc k,bkb cbabw[t7
hecekb cekbc vbvoe[fht,f8
c[bdt,vc[vjbfht pjkeirfc svt,bs
mfkvf uekblfy lfhlb vbeidf8
nhfvfkc iteysj uh&ytekb [vt,b5
3jb7 hbf,byf7 hbf,byeirf=4

**8.**
vbyfdklf rjwjyb8 lfvahs[fkb qf-
vehf
rfhdt,sfy vbfulj yfsb,bc cehytkvf8
,bzt,vfw xfbve[ktc lf cffvehb
ufbsfdbctc sfdbceakt,f8
vfuhfv tc hff7 rjqjsf kfimfhvf
cfs,ehib eodlbyf dtt,f ytcnht,b7
rfhdt,ib it.e;eksf [tkt,bc
n.kfifyvf
cfcjofhrdtsbs lf sfdufvtnt,bs
votht,bc vjchtcbc epjvj oflbkvf
vskfl uflfeaefs cf[t lf sdfkt,b8
[cyf fhcflff7 hfw eylf bwjldbkj7
eylf uffstyj qfvt ufofvt,bs8

**9.**
lf .dtkf ,heydfib ybrbnfc udfhbf8
vrdlfhb lf wjw[fkb gbhere e,heytc888
3ye abw[j,s7 cek f[kjc cfvjs[bc
rfhbf7
jwb otkboflbw lf w[jdht,fc
epheydtkc
ugbhlt,bs 2 .fvbhb vodthdfksfy
vbudb.dfyc48
3tc rjqj vfu ityb vtztzbc sfdc
lfdcdb7
vt ityb gfnhjyb lf uekbs dbyw
ub.dfhc=8884
hf fh frflhtc lf fys[btc sfdckfab8
byfsf8 ,bzt,b thsvfytsc dth wyj,ty7
lfhev,ek cf[tt,c hf lffgfnfhfdt,c8
hf i[fvb /mjybf7 hf vofht ktywjaf
wbv,bhbs vjahtybk rjqjsf mfhfdyt,c8

**10.**
jmhjc xtxvt,c lf vodthdfkt,c
tkdfhtc7
xbnbhtrbfsf eueyeh vjyfxvf[c7
hectsb lqtcfl [jv inthbdbs7
vqtkdfhtl
tkjlt,f lf sfy abmhj,c5
3hjv fh xfyc04
cntgt,ib dfujysf xf;fyuek
othnbkt,c
rdkfdfw fwf[wf[t,c yfht,bc zhbzbyb
lf sevwf7 jwyt,bs wfc tkndbc
]th rbltd7
hectsbc bvtlt,c zbgb fmdc vbzhbkb8
lf hxt,f nhfvfksf cbdhwtyb7
voe[hbdbs7
e,hfkj hecvf hjv uekc ctdlfl
vbeidf 2
o.dlbflb7 rjwjyb7
cbvqthf-oe[bkb5
3jb7 hbf,byf7 hbf,byeirf=4



### სიჭაბუკე და ლექსი ერთია

# მე მჯერა შენი

მოწყალე და შემბრალებელია უფალი, თუ შენი საქმე და შენი მეობა სავსეა მშვენიერებითა და ბრწყინვალებით. სიტყვა „შემოქმედი“ თავად შემოქმედის მიერ ნაბოძები სიტყვაა, რომელიც თვალშეუდგამი სინათლიდან მოდის და იქიდანვე დაცლილია ამპარტავნობისაგან.

სალომე ბენიძე ქუთაისიდან მესტუმრა, დამწყებმა შემოქმედმა საკუთარი ლექსები შემომთავაზა და მორიდებით მითხრა, – დიდი სურვილი მაქვს წაიკითხოთ.

და აი, წავიკითხე. წავიკითხე და გავიხარე, რომ სალომე ბენიძე, „თინეიჯერი“ კი არა, ახალგაზრდა გოგონაა, რომელმაც იცის ფასი და ყადრი ქართული სიტყვისა, სიტყვა – მოზარდისა, სიტყვა – ყმაწვილისა, სიტყვა – ჭაბუკისა და ახალგაზრდისა, სწორედ ასეთი ახალგაზრდა პოეტის სიტყვები ამობრწყინდებიან თუნდაც უკუნეთიდან, თუნდაც წკვარამიდან.

სალომე ბენიძე, როგორც ფსალმუნში წერია, – „უბიწოების გზით იარება“ და აკი თავად ამბობს:

„მზემ გამხვია ბადეში,
თავი მაცნო ღმერთად,
ვცხოვრობ სილაჟვარდეში, –
სალამურთან ერთად“.

ჩემო სალომე, დამილოცნიხარ, მე მჯერა შენი!

**ჯანსუღ ჩარკვიანი**
2003 წ. იანვარი.

## სალომე ბენიძე

### არეული ლექსი

სადღაც ზარმა დარეკა,
იწკრიალა დიდხანს,
მზე შინა თუ გარეთა,
ამას ვინღა გვკითხავს!
მზემ გამხვია ბადეში,
თავი მაცნო ღმერთად,
ვცხოვრობ სილაჟვარდეში,
სალამურთან ერთად.
ქარი ცაში წავიდა
და ფეხის ხმა მესმის,
ნეტავ, რამ მომაფიქრა
არეული ლექსი!
ძარღვში მიჩქეფს რიონი,
დამფარავი ყოვლის,
მათოვს გალაკტიონის
„ვარდისფერი თოვლი“.

* * *

იალქნებს გავშლი,
შევცურავ ზღვაში,
მოფრინდებიან ალბატროსები,
არევენ მაშინ
ჩემს ფიქრებს აშლილს,
ტალღები, როგორც ბარბაროსები.
ვუმღერებ ტალღას,
ვუამბობ ამბავს,
მოვეფერები ფრთათეთრ თოლიებს,
სილურჯე წყალთა,
შრიალი ქართა,
ზღვის ფრინველივით ამიყოლიებს.
მომხიბლავს შორი ზღვაური თქორი
და ლურჯ ღრუბელთა კდემით ანთება,
კუნძული ორი,
მთლად – გულის ტოლი,
და ნაპირების ადიადება.
თუ კუნძულს აშლის
სიცივე მაშინ,
თუკი დაფრთხება ფრინველთ
გუნდები,
იალქნებს გავშლი,
შევცურავ ზღვაში
და ისევ წარსულს დავუბრუნდები.

### დილის ილუზია

ცა თითქოს ახლოა
და თურმე შორია,
ჩამესმის ჭიხვინი
უბელო მერანის.
ის ახლოს არ მოვა,
რაიც შორს გვყოლია
და მაინც ვიცინით,
ვიცინით ყველანი.
მზე ისე ახლოა,
მივწვდები მგონია,
ჩამესმის ქარის და
ხეების შრიალი.
ის ახლოს არ მოვა,
რაც თურმე შორია,
რაც უკვე წავიდა
და დარჩა გიაღა.
ასე რომ გგონია,
ცა თითქოს ახლოა,
ის თურმე შორია,
და ახლოს არც მოვა.

### ჭორი

მწარე მხამში მოწამლული
სიტყვა ორად-ორი,
ბოროტებას შეუერთდა,
ასე იშვა ჭორი!
მოირბინა ეზოები,
სიტყვამ ორად-ორმა
და კეთილი მეზობლები
გადაკიდა ჭორმა.
როცა ენამ ხის ტოტებიც
დაარჩინა შიშვლად,
წაიკიდნენ მეგობრები,
სიძულვილიც იშვა.
ერთი მუჭა სიხარული
არვის შეარჩინა,
გააძევა სიყვარული
და დაიდო ბინა.
ჰოდა, დარბის აღმა-დაღმა
სიტყვა ორად-ორი.
ვერ ისვენებს! რა ჰქნას ხალხმა?!
მსხვერპლს დაეძებს ჭორი!

### ვარდისფერი მერანი

ეს ბავშვობის დღეები
მტოვებს, როგორც ნისლები,
ქრიან სასახლეები
და ქოხების ისლები.
და მას, ვით ცხენს უბელოს,
ვერ აჩერებს ვერავინ,
მიქრის ჩემი ბავშვობის
ვარდისფერი მერანი.

* * *

ღმერთო, მიშველე,
ღმერთო მიშველე,
– არ დამიკარგო
იმედი ხვალის,
– ნეტავი
მალე დამთავრდეს ომი,
მამის საფლავზე
მივიტან ყვავილს.

### გვიან და არასდროს

მე მეზიზღება რატომღაც „გვიან“,
მე ვერასოდეს ვერ ვიტან ლოდინს,
წახველ? მაშ, უკვე წარსული გქვია,
მოსვლას აპირებ? რას უცდი მოდი!
თუმც მერცხლების თვეს ვუწოდებთ
აპრილს,
როცა სიცოცხლის ხმები გაისმის,
მე მირჩევნია მერცხალი მარტის,
მერცხალს მოფრენილს გვიან,
მაისში.
თუკი გაგასწრო მატარებელმა,
ბაქანის ირგვლივ რაღად ტრიალებ?
თუგინდ შეგშალოს სადარდებელმა,
უკვე წავიდა – დააგვიანე!
თუ გზაზე გვიან შეამჩნევ გზავალს,
ნუღარ ინანებ – ერთი გახსოვდეს:
გვიან ნურასდროს შეიცვლი სავალს,
სჯობს, არ შეცვალო აღარასოდეს.
და როცა უკვე წარსული გქვია,
ნუ ეცდები, რომ გზები გამრუდდეს,
რაღა აზრი აქვს, დაბრუნდე გვიან,
სჯობს, აღარასდროს აღარ დაბრუნდე!

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ფინანსები

# ომის დაძაბული მოლოდინი საფინანსო ბაზრების განწყობის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს

დღეისათვის ამერიკელი ექსპერტებიდან ცოტას თუ ვინმეს ეპარება ეჭვი იმაში, რომ შეერთებული შტატების ეკონომიკას უკვე საკმაო ზიანი მიაყენა ერაყში ომის მოსალოდნელობამ: გაზარდა რა გაურკვევლობა საფინანსო ბაზრებზე, სერიოზული ზეწოლა მოახდინა აქციების ფასზე და ხელი შეუშალა კორპორაციებს გრძელვადიანი პროექტების დაგეგმვაში, რაც ხარჯების ზრდასთან ერთად ახალი თანამშრომლების მატებასაც ითვალისწინებს. ეს კი დადებითად აისახება უმუშევრობის შემცირების პროცენტებზე. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ექსპერტი იმისაც კი პროგნოზირებს, რომ ომის დაწყება შესაძლოა დადებითადაც




აისახოს ეკონომიკურ სიტუაციაზე, რადგან ბოლოს და ბოლოს, წერტილს დაუსვამს მისი მოსალოდნელობით გამოწვეულ გაურკვევლობას.

ექსპერტთა დიდი უმრავლესობა ვარაუდობს, რომ კონფლიქტს შეერთებული შტატები სწრაფად და წარმატებით გადაჭრის, რაც თავისთავად დიდ წვლილს შეიტანს სამომხმარებლო და საქმიანი აქტივობის ამაღლებაში. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ ომი გაჭიანურდა, რამაც შესაძლოა ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მიწოდების შემფერხება გამოიწვიოს, ან ტერორისტების მიერ ამერიკელთა მიმართ პროტესტის ნიშნად ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტები განხორციელდეს, ხსენებული აქტივობა ბევრად იქნება დამოკიდებული ერაყში საომარი მოქმედებების განვითრებაზე.

რამდენად წარმატებული იქნება 2003 წელი ეკონომიკური განვითარებისათვის ეს პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ეკონომიკური სტიმულირების პაკეტის რეალიზებაზეც არის დამოკიდებული. ოფიციალურად შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ეგრეთ წოდებული, „ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის“ გეგმა 7 იანვარს ჩიკაგოს ეკონომიკურ კლუბში მოხსენებით გამოსვლისას წარადგინა. გეგმით გათვალისწინებული თითქმის ყველა წინადადება გადასახადების შემცირებას ეხება და მის ცენტრალურ საკითხს დივიდენდებზე გადასახადის საერთოდ გაუქმება წარმოადგენს.

რამდენად ეფექტური აღმოჩნდება შემუშავებული ღონისძიებები ეკონომიკური აღმავლობისათვის ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ რა ფორმით დაამტკიცებს მას კონგრესი.

იმ შემთხვევაში თუ ერაყის კონფლიქტი გადაიჭრება და საგადასახადო ღონისძიებები შეძლებენ სამომხმარებლო ხარჯების სტიმულირებას, მაშინ ანალიტიკოსების უმრავლესობის აზრით, არსებობს ბიზნესინვესტიციებისა და დასაქმების აღდგენის რეალური შანსი. მაგრამ დაძაბული გეოპოლიტიკური სიტუაცია ყველაფეს თავისი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

შეერთბული შტატების საფონდო ინდექსებმა გასული კვირის არაერთგვაროვანი სავაჭრო დღეების შემდეგ, პარასკევს, კვირის ბოლო ვაჭრობაზე დიდი დანაკლისი განიცადეს. სავაჭრო სესია მცირე მინუსით დაიწყო, მაგრამ ინდექსები სწაფად დაეშვნენ ძირს და მალე ღრმად უარყოფით ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

კვირის ბოლო ვაჭრობის შედეგებით, „ცისფერი კოჭების“ ინდექსი Dow Jones-ი 2.85%-ით, ანუ 238.46 პუნქტით დაეცა 8131.01 მაჩვენებლამდე, ხოლო მაღალტექნოლოგიების ინდექსი Nasdaq-ი 3.32%-ით, ანუ 46.13 პუნქტით 1342 მაჩვენებლამდე.

საერთო ჯამში Dow Jones-ი 16 ოქტომბრის შემდეგ ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე, ხოლო Nasdaq-ი 31 დეკემბრის დონემდე დაეშვა.

საგულისხმოა, რომ პარასკევს აქციების ბაზარს არ მიუღია არც ერთი საგანგაშო ეკონომიკური ინფორმაცია. უფრო მეტიც, ეკონომიკური მონაცემების პუბლიკაცია ამ დღეს საერთოდ არ ყოფილა, არ მომხდარა არც კორპორატიული სკანდალები. პარასკევსა და ხუთშაბათ საღამოს, მართალია, არაერთგვაროვანი კვარტალური ანგარიშები გამოქვეყნდა, მაგრამ არც ისეთი ცუდი და მნიშვნელოვანი, რომ ამას ბაზრის ასეთი ნეგატიური რეაქცია მოჰყოლოდა. უოლ-სტრითის ანალიტიკოსების შეფასებით, ცალკეულ სექტორებში ნამდვილად მოხდა რიგი კომპანიების აქციების რეიტინგის შესუსტება, მაგრამ არა ისეთი, რომ ამას ძირითადი საფონდო ინდექსების თითქმის 3%-მდე დაცემა გამოეწვია. ცხადია, კორპორატიული მოგებებით გამოწვეულმა ეკონომიკური პერსპექტივის გაურკვევლობამ იქონია თავისი ნეგატიური გავლენა ბაზრის განწყობაზე, მაგრამ ამერიკელი ანალიტიკოსები და მიმომხილველები უკვე, კარგა ხანია, თახმდებიან იმაზე, რომ დაცემის მთავარი ფაქტორი სხვა სახის გაურკვევლობაა, კერძოდ, ერაყში ომის მოსალოდნელობის დამტანჯველი, უძვრელი შიში. გასული კვირის პარასკევი ხომ ბოლო სავაჭრო დღე იყო ორი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის წინ:

ორშაბათს, 27 იანვარს, გაეროს შეიარაღების მონიტორინგის კომისიის ხელმძღვანელი ჰანს ბლიკსი უშიშროების საბჭოს წინაშე მოხსენებით წარსდგება ერაყის სამხედრო ობიექტების ინსპექტირების ორთვიანი შედეგების შესახებ.

სამშაბათს კი, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ნაციის წინაშე ტრადიციული ყოველწლიური მიმართვით გამოვა.

ბაზრებს შეეშინდათ, რომ ეს ორი მოვლენა, შესაძლოა, მოიცავდეს ინფორმაციას სამხედრო ოპერაციების მალე დაწყების შესახებ. მით უმეტეს რომ ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებების ბოლო სერია საკმაოდ მკაცრი და უკომპრომისო იყო ბაღდადთან მიმართებაში, რამაც ინვესტორებს აფიქრებინა, რომ შეერთებულმა შტატებმა მყარად გადაწყვიტა ომის დაწყება. ბევრმა ინვესტორმა ვალუტის ოქროში გადაყვანა ამჯობინა, რამაც **ძვირფასი ლითონების ბაზარზე** ფასის მორიგი აწევა განაპირობა.

ნიუ-იორკის COMEX-ბირჟაზე პარასკევის ვაჭრობის შედეგად ოქროზე თებერვლის ფიუჩერსი 3.70 დოლარით გაიზარდა და ახალი ექვსწლიანი მაქსიმუმის დონეზე, უნციაზე 368.40 დოლარი დაფიქსირდა.

პლატინისა და ვერცხლის ფასმა შესაბამისად უნციაზე 647 და 4.77 დოლარი შეადგინა.

პარასკევს, ომის შიში და გაურკვევლობა განცხადებების ახალმა ტალღამ გააძლიერა. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ერაყს გააჩნია მასობრივი განადგურების იარაღი, მიუხედავად გაეროს რეზოლუციით გათვალისწინებული აკრძალვისა. სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯორჯ ბოლტონის განცხადებით, ინფორმაცია უახლოესს დროში გამოქვეყნდება.

ამასთან, როგორც ბი-ბი-სი-მ გადმოსცა, ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომისათვის ემზადება.

სადამ ჰუსეინის უფროსმა ვაჟმა უდაიმ კი ერაყის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ ბაღდადზე თავდასხმის შემთხვევაში ამერიკელებს ისეთი კატასტროფა ელოდებათ, რომ მათ 11 სექტემბრის ტერაქტი პიკნიკად მოეჩვენებათ. ამასთან, გაჩნდა ინფორმაციები იმის შესახებაც, რომ შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროში განიხილეს საკითხი თუ როგორ უნდა მოხდეს ერაყის ნავთობ-საბადოების სწრაფი აღება, ვიდრე სადამ ჰუსეინი მათ დაწვასა და განადგურებას მოასწრებს. 1991 წელს, როდესაც ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა სამხედრო მარცხი განიცადეს და ქუვეიტს ტოვებდნენ, მათ დაახლოებით, 1000 ჭაბურღილიდან 730 გადაწვეს, რის გამოც ქუვეიტის ნავთობწარმოების აღდგენაზე 20 მლრდ დოლამდე დაიხარჯა.

ყველაფერთან ერთად კვირის ბოლოს აშკარად გამოიკვეთა დაპირისპირება ერთი მხრივ, შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს, რომლებიც მხარს უჭერენ ომის დაწყებას, და მეორე მხრივ, ნატოში მათ მოკავშირეებს გერმანიასა და საფრანგეთს შორის, რომლებმაც პირდაპირ განაცხადეს რომ ყველაფერს გააკეთებენ ომის თავიდან ასაცილებლად. გერმანია-საფრანგეთის პოზიციას რუსეთი და ჩინეთიც იზიარებენ.

სრული საერთაშორისო მხარდაჭერის არარსებობამ კიდევ უფრო შეაფიქრიანა ინვესტორები და გააძლიერა ნეგატიური ზეწოლა ამერიკულ ვალუტაზე, რომელიც უკვე, კარგა ხანია, განიცდის ომის მოსალოდნელობის სიმძიმეს.

პარასკევს, კვირის ბოლო სავაჭრო სესიაზე, დოლარმა ახალი დანაკარგი განიცადა. **ნიუ-იორკის სავალუტო ბაზარზე** საღამოს ვაჭრობაზე ევროს კურსმა 1.0844 დოლარი შეადგინა, წინა, ანუ ხუთშაბათ საღამოს კი ერთი ევრო 1.0754 დოლარი ღირდა. დილერების თქმით, ომის მოსალოდნელობით გამოწვეული საფრთხე ყველაზე მძაფრად ამერიკულ ვალუტაზე აისახა, რამაც მსოფლიოს წამყვან ვალუტებთან მიმართებაში მისი კურსის სწრაფი ვარდნა განაპირობა, მაგრამ ფორექსის ანალიტიკოსების შეფასებით, ამერიკის მხრიდან ომის დაწყებისა და მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ამერიკული ვალუტის კურსის აწევა შესაძლებელია, ისეთივე სწრაფი და კიდევ უფრო თავბრუდამხვევი აღმოჩნდეს, ვიდრე ვარდნა იყო.

**ნავთობის ბაზარზე** გასული კვირის დასაწყისში ფასებმა საგრძნობლად მოიმატა ვაშინგტონის ადმინისტრაციის, კერძოდ, შეერთებული შტატების თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის დონალდ რამსფელდის მკაცრი განცხადების შემდეგ. ფასების ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება ასევე გაფიცვები ვენესუელაში, რომელიც უკვე შვიდი კვირაა გრძელდება.

როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა განაცხადა იგი ინარჩუნებს გამარჯვებას „ნავთობის ომში“ თანდათან აღწევს რა მისი მოპოვების დონის აღდგენას. მისი თქმით, ნავთობის წარმოების მოცულობა, რომელიც იანვარში დღეღამეში 500 000 ათასამდე დაეცა, უკვე 1.2 მლნ ბარელამდე გაიზარდა. გაფიცვამდე პერიოდში ქვეყანაში დღეღამეში 3 მლნ ბარელი ნავთობი მოიპოვებოდა. გაფიცულები უარყოფენ ქვეყნის პრეზიდენტის ინფორმაციას, აცხადებენ რა, რომ სინამდვილეში დღეისათვის ვენესუელაში პრეზიდენტის მიერ დასახელებული ციფრის ნახევრის მოპოვებაც კი არ ხდება. ასეა თუ ისე, ვენესუელის პრეზიდენტის სიტყვებს არც ნავთობის ტრეიდერებში გამოუწვევია დამაჯერებელი ეფექტები, რის გამოც, ორშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე რენტის მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 30.73 დოლარამდე გაიზარდა.

რაც შეეხება ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟას, იგი ორშაბათს დაკეტილი იყო მარტინ ლუთერ კინგის სახელთან დაკავშირებული დღესასწაულის გამო.

კვირის მომდევნო დღეებში ვენესუელადან საიმედო სიგნალების ფონზე, შედარებით დაეცა ნავთობის ფასი. ვენესუელას სახელმწიფო ნავთობის კომპანიის მონაცემებით, გაფიცულებს შორის მათი თანამშრომლების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, დღეისათვის სამუშაოს დაუბრუნდა 80 % მუშა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ნახევარი. ნავთობის მოპოვების მოცულობის რაოდენობის შესახებ, პოზიცია-ოპოზიციას შორის კვლავ დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ნავთობის ბაზარმა ირწმუნა, რომ ვენესუელას ნავთობის წარმოების პროცესის ნორმალიზებაში გარკვეული პროგრესი შეინიშნება. დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, შესაძლოა მსგავსი შთაბეჭდილების შექმნას ხელი შეერთებული შტატების ენერგეტიკული უწყებების მონაცემებმაც შეუწყო: წინა კვირის მდგომარეობით, ამერიკის ნავთობის მარაგის მოცულობა მოულოდნელად გაიზარდა. როგორც შტატების ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს 17 იანვარს დამთავრებულ კვირაში ნავთობის მარაგი 1.5 მლნ. ბარელი გაიზარდა 273.8 მლნ-მდე. ვენესუელაში კრიზისის გათვალისწინებით კი დარგობრივი ანალიტიკოსები ნავთობის მარაგის მორიგ შემცირებას ვარაუდობდნენ. ხუთშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი 29.72 ბარელამდე , ხოლო ნიუ-იორკის NYMEX-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი 32.25 დოლარამდე შემცირდა. დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, რომ არა ერაყში დაძაბულობის ზრდა ბაზრის დაცემა უფრო მაღალი იქნებოდა.

ამასთან, როგორც სააგენტო Dow Jones Newswire-მა განაცხადა საუდის არაბეთის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებით, ამ ქვეყანამ ნავთობის მოპოვება მნიშვნელოვნად, დღეში 9 მლნ. ბარელამდე გაზარდა. წყაროს განცხადებით, საუდის არაბეთმა მკვეთრად გადააჭარბა ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების მისთვის დადგენილ კვოტას, მაგრამ ეს გააკეთა ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით და იმისათვის რომ, ნავთობის კომპანიებმა, რომლებიც მისგან ყიდულობენ ნავთობს მისი მიწოდების საიმედოობა ირწმუნონ.




ოპეკის საგანგებო კონფერენციაზე, რომელიც 12 იანვარს ჩატარდა საუდის არაბეთისათვის ნავთობის მოპოვების დადგენილმა კვოტამ დღეში 7.963 მლნ ბარელი შეადგინა. კვოტა ძალაში 1 თებერვლიდან შევა.

12 იანვრის სხდომაზე ოპეკმა ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტა 1.5 მლნ ბარელამდე გაზარდა, რათა კომპენსირება მოეხდინა ვენესუელაში პარალიზებული ნავთის წარმოებისათვის და შეერბილებინა ერაყში ომის მოსალოდნელობით გამოწვეული ბაზრის დაძაბულობა. თუმცა, საომარი ვნებების მოზღვავებამ ნავთობის ბაზარზე ისეთი აჟიტირება გამოიწვია, რომ ოპეკის გადაწყვეტილებამ ვერ შეძლო მასზე ფასების ზრდისათვის ხელი შეეშალა.

შუა კვირაში ნავთობის ბაზრის დაძაბული განწყობის განმუხტვა ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელების ომის საწინააღმდეგო განცხადებებმაც განაპირობა. მართალია, ნავთობის ბაზარი არ გათავისუფლებულა შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მტკიცე განცხადებების შთაბეჭდილებებიდან, მაგრამ მისი შერბილება ნამდვილად მოხერხდა, თუმცა კვირის ბოლოს გეოპოლიტიკური დაძაბულობის მატებამ კვლავ ბაზრის მორიგი ზრდა განაპირობა.

პარასკევის ვაჭრობის შედეგებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის მარტის ფიუჩერსი ბარელზე 30.49 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის NYMEX-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობზე მარტის ფიუჩერსი ბარელზე 33.28 დოლარამდე გაიზარდა.

**ეკა ლეჟავა,**
„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ოპერაცია

# აიყვანეს კანონიერი ქურდი სოხუმიდან

**— ბინდა, ნახო, როგორ აპატიმრებენ კანონიერ ქურდს? — ნაცნობმა ოპერმა ეს ფრაზა ისე წარმოთქვა, თითქოს ქალაქის სანაგვეზე საცოდავი მაწანწალის საყოველდღეო გამოჭერის ოპერაციაზე მელაპარაკებოდა, ჩემთვის კი „თითქოს განიხვნენ ცანი“: „აყვანა“ — გამალებულად მიტრიალებდა თავში — „ეს ხომ ნიშნავს კანონიერი ქურდის, უთუოდ „კრიმინალური არმიის გენერლის“ დაპატიმრებას.**

მხოლოდ თავი დავუქნიე, ჩემმა ვიზავმა კი, თვალებში არაჯანსაღი გაელვება რომ შემამჩნია, გაოცებით შემომხედა და გვერდზე გადგა, — შენ ტუჩებს მაინცდამაინც ნუ პრუწავ, თუ ფიქრობ, რომ ქურდს „იყვანენ“ ტანკებისა და არტილერიის დახმარებით, სასტიკად ცდები. კანონიერ ქურდს აპატიმრებენ უხმაუროდ, მაგრამ აზრიანად.

ული მუშაკები, შემდეგ გამომძიებლები და ბოლოს და ბოლოს, ღმერთმა ქნას, დადგება თქვენი მონამორჩილის რიგიც. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ნებისმიერი მილიციონური შეტევის წესი და რიგი.

ჩვენი ოპერატიული ეკიპაჟი სათვალავით მესამე მიდის, თუმცა „მიდის“ — ეს ნაღდი გაზვიადებაა. მანქანა ხტუნაობს ოღროჩოღროებზე, რომელიც ვერ გაასწორა დიდმა თოვლის საფარმაც კი. ჩვენ რამდენიმე კილომეტრზე ვართ ლიუბერციდან და ბორბლებით ვტკეპნით ერთ-ერთი სამშენებლო კოოპერატივის სამფლობელოს, როგორც კი კილომეტრნახევარზე გამოჩნდება რუხი სამსართულიანი სახლი შუასაუკუნოვანი ციხე-დარბაზით, მინდორს რომ გადაჰყურებს, ოპერატიული მუშაკები ნერვიულობას იწყებენ. ამ პეიზაჟზე ჩვენი კავალკადა თითქოს ხელის გულზე მოჩანს და ამიტომაც ყოველ წამში შეიძლება ოპერაციის ჩაშლა. კოლონა ჩერდება. სახლისაკენ ფეხით მივდივართ.



ასე საწყლად გამოიყურებოდა ვალერი სოხუმსკი დაკავების დროს.

ის, ვისთვისაც განკუთვნილია ჩვენი ვიზიტი, უკვე მეოთხედი საუკუნეა, ატარებს ქურდულ ტიტულს. ვალერი კლიევსკი ლეგენდარული პიროვნებაა და მასზე, როგორც ყოველ კანონიერ ქურდზე შეიძლება ტომების შედგენა. დაიბადა აფხაზეთში. 17 წლისამ პირველად ამოაცოცა სხვისი საფულე. პირველად დააპატიმრეს. შემდეგ კიდევ სამჯერ ჩავარდა ქურდობისათვის, ორჯერ კი — ნარკოტიკების შენახვისათვის. გისოსებს მიღმა გაატარა ნახევარი ცხოვრება — 21 წელი. 1978 წელს „მიპარი“ აკურთხეს — ვალერა სუხუმსკი დაარქვეს. უკანასკნელად 25 წლის წინათ თელავდა ზონას. ვიდრე თავისუფლებაშია, აქტიურად ტენის რეგიონს ნარკოტიკებით. ოპერატიულ მუშაკებს წაუჩურჩულებს, რომ არც თვითონ ამბობს უარს ჩხვლეტაზეო. ნარკოტიკებს პირდაპირ თავისთან ინახავს. სახლში, შეიძლება, იარაღიც იყოს.

სხვათა შორის, ამ უკანასკნელზე ოპერატიული მუშაკები დარწმუნებულნი არ არიან, რაც შეეხება ბანგს, მეორე ქურდთან ერთად — პაატას რომ ეძახიან, კარგა ხანია ავრცელებს მოსკოვის შემოგარენში. ბოლო ხანებში ტანდემმა დიდ წარმატებას მიაღწია. მაგრამ მალე პაატა, ჰეროინის შენახვაში რომ ამხილეს, საკნისაკენ მიაბრძანეს, კლიევსკიმ მარტო მოქმედება გადაწყვიტა...

ღობესთან მივიპარებით. სპეცდანიშნულების რაზმი ჯერჯერობით ისვენებს — თუკი მებრძოლები კოვბოურად მოხტებიან ღობეს, ჩათვალეთ, რომ ყველაფერი დაკარგულია, ჭიშკარში ვიდეოკამერის გუგაა ჩამონტაჟებული. ის შეამჩნევს თუ არა კამუფლაჟის ქსოვილს, ან სპეცრაზმელის ნიღაბს, სახლში აურზაური ატყდება, ოპერატიული მუშაკების ერთთვიანი მუშაობა კი წყალში გადაიყრება.

ყველა იხსნა გამომძიებელმა, უფრო სწორად, ფორმის მუნდირმა, რომელშიც ის დღეს გამოწყობილა. თანამშრომელი ოპტიკის წინ დგება და დაცვის კითხვაზე ეჭვის შეუტანლად უპასუხებს: „მილიცია... საპასპორტო რეჟიმის შემოწმება“.

მათთვის, ვინც სახლშია მიმალული, ეს წმიდათა წმიდაა. კარის საკეტი გატკაცუნდა და აქ უკვე სპეცდანიშნულების მებრძოლები ასწრებენ ყველას. ერთი ნახტომით იპყრობენ მაღალ კიბეს და სადარბაზო კარის მიღმა ქრებიან, ოპერატიული მუშაკები და გამომძიებლები უფრო დინჯად ადიან. მთავარია, როცა სპეცდანიშნულების რაზმი მუშაობს, ხელი არ შეუშალო.

სახლმა გაგვაოცა. ყოველ ოთახში შეიძლება ნამდვილი ბატალური სცენების გადაღება. გარაჟში რამდენიმე ბრწყინვალე მანქანაა, ერთმა სპეცრაზმელმა ფეხი წამოჰკრა კბილებდაღრეჭილთავიანი დათვის ტყავს, სადარბაზო შესასვლელის თითქმის ნახევარზე რომ გადაჭიმულიყო. სხვათა შორის, დეკორაცია საკმაოდ მრავლისმეტყველია. ვალერი სუხუმსკი, ქურდული წესით, „მეთვალყურეობს“ ქვეყნის ერთ-ერთ რეგიონს. თანაც ისეთს, როგორიც ციმბირია. თვალყურს ადევნებს „სალაროს“, აკონტროლებს პატიმრობის ადგილებს, როგორც დათვი ტაიგაში.

გამომძიებელი წარმოთქვამს შაბლონურ ფრაზებს, უჩვენებს ჩხრეკაზე დადგენილებას, ვალერი სუხუმსკი, შინაური სვიტერი, სპორტული შარვალი რომ აცვია და შუბლზე საწვრთნელი საკრავი გადაუჭერია, სულაც არ წააგავს კრიმინალური სამყაროს საქმოსანს, თანაც აბსოლუტურად არ რეაგირებს წინადადებაზე, დააწყოს აკრძალული ნივთები. იწყება პირადი ჩხრეკა. მისი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ოპერატიული მუშაკები იღებენ ნივრის თავისხელა პაკეტს, ის ძაფითაა გადაკრული. ნაპოვნს მაშინვე დებენ სპეციალურ პაკეტში, რომელსაც გამომძიებელი ლუქავს. ოპერატიული მუშაკების შეკითხვაზე ქურდი რამდენიმე წუთის შემდეგ დუმილით იღებს სიგარეტს, უკიდებს და მძიმედ ჯდება დივანზე, შემდეგ კი პასუხობს: „ჰეროინია მანდ... მაგრამ მე არ ვღებულობ — მძიმედ ავად ვარ, როგორც გამაყუჩებელს ვხმარობ“.

პაკეტში ნამდვილად 5 გრამზე მეტი წონის ნარკოტიკია. პრაქტიკულად ამ ფხვნილის მეოცედი ნაწილიც კი საკმარისია ვადის ასაკიდებლად. ოპერატიული მუშაკის განკარგულებით ავტორიტეტი იხდის. ქსოვილი მხრებს სცილდება და წამში ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ამ კაცის სხეულს რამდენიმე დღეს მელანში ინახავდნენ. ის მთლიანად სვირინგებითაა დაფარული. ტრადიციული სამხრეულები, ვარსკვლავები მუხლებზე. „ნაკოლკები“ ოქმებზე უკეთ გიამბობენ მისი მფლობელის კრიმინალურ წარსულზე, განსაკუთრებით საგამოძიებო იზოლატორში, სადაც სამართალდამცავების განკარგულებით ავტორიტეტი იგზავნება. მის ბედს სასამართლო გადაწყვეტს. კანონიერი ქურდი მორიგი ეტაპით მიდის.

კანონიერი ქურდი ხომ ქურდული სამყაროს გენერალია, მისი ელიტა, მისი სული და გული. ერთხელაც რომ გამოგლიჯოს ეს სასიცოცხლო ორგანო კრიმინალური სხეულიდან — ნებისმიერი ოპერატიული მუშაკისა და გამომძიებლის ოცნებაა. მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელია — უმეტესწილად მილიციონური პრაქტიკა ფარ-ხმალს ჰყრის ქურდული ოლიგარქიის, წინდახედულებისა და გამჭრიახობის წინაშე. იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ავტორიტეტი თვითონ ბარდება, თითქოს ლამბაქით მიართვესო. ციხეში ჯდომა ქურდული არსებობის აუცილებელი ელემენტია. ეს კვალიფიკაციის დადასტურებაცაა და ზოგიერთ შემთხვევაში არცთუ შორეულ ადგილებში წესრიგის დამყარების აუცილებლობაც. რასაკვირველია, ზონაში ავტორიტეტის ყოფნა საკმაო კომფორტითაა მოწყობილი და მისი იქაური ცხოვრება არაფრით გამოირჩევა თავისუფლებაში ყოფნიდან. მაგრამ ასეთი რამ ოპერატიულ მუშაკებს არაფრად ეჭაშნიკებათ — ნამდვილი მაძებარი ცდილობს ქურდის სამხილზე დაჭერას, როდესაც ის არაფერს ეჭვობს და ჩვეულებისამებრ თავს გრძნობს უდარდელად.

ძნელად მოსალოდნელი იყო, რომ კორესპონდენტი შესაპყრობად პირველ ეშელონში წავიდოდა — ოპერატიული მუშაკებიც კი წინ თავაზიანად უშვებენ სპეცრაზმელებს.

... აი, დღესაც შავი ნიღბების ნასვრეტებიდან ისინი პირველნი დაინახავენ „ჩვენს“ კანონიერ ქურდს და, თუ საჭირო იქნება, მოაყუჩებენ მის ჭირვეულ დაცვას. ნიღბებიან შოუს მიჰყვებიან ოპერატი-

მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

პოლიცია




# რა იპოვეს ლონდონის მეჩეთში

**ლონდონის პოლიციის წარმომადგენლებმა საინფორმაციო სააგენტოებს აცნობეს, რომ ფინსბერი-პარკის რაიონში მდებარე მეჩეთის ჩხრეკის დროს იპოვეს მშოკავი პისტოლეტი, ცეცხლსასროლი იარაღის მაკეტი და CS ცრემლსადენი გაზის ბალონი. გარდა ამისა, იუწყებიან, რომ აღმოჩენილია ათობით პასპორტი, პირადობის მოწმობა და საკრედიტო ბარათი.**

მეჩეთში რეიდის დროს დაპატიმრებულია შვიდი კაცი. ბრიტანეთის პოლიციამ გამოაცხადა, რომ ეს ოპერაცია დაკავშირებული იყო ლონდონის ერთ-ერთ ბინაში რიცინის შხამის აღმოჩენის საქმის გამოძიებასთან.

ხელისუფალნი აცხადებენ, რომ შესაძლოა, მეჩეთი დაკავშირებული იყოს ტერორისტულ საქმიანობასთან. კერძოდ, სწორედ ამ მეჩეთში დადიოდნენ რიჩარდ რიდი, რომელიც ფეხსაცმელში დამალული ნაღმის მეშვეობით ცდილობდა ავიალაინერის აფეთქებას და ზაქარიას მუსაუი, კაცი, რომელსაც წაყენებული აქვს ბრალდება 11 სექტემბრის ტერაქტების შემსრულებელთა დახმარებაში.

შტურმი მოეწყო ორშაბათს, დილის ორ საათზე. სპეციალურად აღჭურვილი პოლიციელები შვეულმფრენების განათების შუქზე შეიჭრნენ მეჩეთსა და მის მიმდებარე ორ შენობაში. კონფისკაციაქმნილია კომპიუტერები და დოკუმენტაცია.

იმამი აბუ ჰამზა ალ-მასრი, რომლის შეურიგებელმა ანტიდასავლურმა გამონათქვამებმა მეჩეთი პოპულარული გახადა ისლამურ რადიკალებს შორის, არ დაუპატიმრებიათ.

მან „პროპაგანდისტული“ უწოდა რეიდს და განაცხადა, რომ ასეთი ნაბიჯი ბრიტანელ მუსლიმთა უდიდეს გულისწყრომას იწვევს.

„ეს საზიზღრობაა. პოლიციას ყოველთვის შეეძლო, შემოსულიყო მეჩეთში, და ასეთი ყაჩაღური თავდასხმის გამართლება შეუძლებელია“, — თქვა იმამმა.

აქამდე ბრიტანეთის კომისიამ, რომელიც არეგულირებს საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობას ქვეყანაში, განაცხადა, რომ შეიძლება, ჰამზა ალ-მასრის აუკრძალოს ამ მეჩეთის იმამის თანამდებობაზე დარჩენა. მან 30 დღის ვადაში უნდა უპასუხოს ბრალდებებს. რომლებიც ეხება მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

კერძოდ, აბუ ჰამზას ბრალად ედება, რომ მან უგულებელყო სამეურნეო საბჭოს აზრი და, ფაქტობრივად, თავის კონტროლს დაუქვემდებარა მეჩეთი, ამასთან, გამოიყენა იგი პლატფორმად პოლიტიკური პროპაგანდისათვის.

კომისიამ უკვე გაუგზავნა აბუ ჰამზას საბუთი, რომელშიც სთავაზობს, დატოვოს ფინსბერი-პარკის მეჩეთი.

# მაღალი ტექნოლოგიები თაღლითთა ხელში

**ესპანეთის პოლიციამ გამოავლინა საკრედიტო ბარათებით თაღლითობის ახალი სახეობა, რომელშიც მაღალი ტექნოლოგიების ბოლო მიღწევებს იყენებდნენ.**

პოლიციელთა თქმით, დამნაშავეები ბანკომატებზე აყენებდნენ მინიატიურულ კამერებს და მოწყობილობას საკრედიტო ბარათების წასაკითხად.

თაღლითები შორიახლოს გაჩერებულ მანქანაში იყვნენ ჩასაფრებული და მორიგ მსხვერპლს ელოდებოდნენ.

კამერა და წასაკითხი მოწყობილობა ჩართული იყო იმ პროგრამით აღჭურვილ ნოუტბუკში, რომელიც მიღებული მონაცემების მიხედვით აღაწარმოებდა მაგნიტურ ინფორმაციას საკრედიტო ბარათიდან.

წინასწარი მონაცემებით, თაღლითებმა მოასწრეს, თავიანთ მსხვერპლთა აგარიშებიდან მოეხსნათ 36 ათასი ევრო.

მაღალტექნოლოგიური დამნაშავენი ქალაქ ალიკანტეში, ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოქმედებდნენ.







გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ყურადღება!

# ნუ დაუმახინჯებინებთ შვილებს საკვებ დანამატებს

**საღებრებსა და კონსერვანტებს, რომლებსაც ფართოდ იყენებს კვების მრეწველობა, შეუძლიათ ნეგატიური გავლენა მოახდინონ ბავშვების გუნება-განწყობილებაზე. ასეთი დასკვნა გამოიტანეს ინგლისელმა მეცნიერებმა – ასთმისა და ალერგიის შემსწავლელი კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა. მართლა შეიძლება, საკვები დანამატები ზემოქმედებდეს ბავშვის ფსიქიკაზე?**

### სულელი თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევს

საქმე ეხება, ეგრეთ წოდებულ, ჰიპერაქტიურობის სინდრომს. დაავადებას, რომელიც დასავლეთში ძალზე პოპულარული და მოდურიც კი არის – ახლა მის შესახებ ქვეყნდება უამრავი ნაშრომი სამეცნიერო ჟურნალებში. ეს თავისებური დაავადებაა – არ იწვევს ტვინის ხილულ ცვლილებებს, მაგრამ ტვინის ფუნქციონირება საგრძნობლად ირღვევა. ასეთი სინდრომის მქონე ბავშვები, უბრალოდ, უმართავნი ხდებიან. ისინი არ უჯერებენ არც მშობლებს, არც პედაგოგებს, არც თანატოლებს, ცხოვრობენ თავიანთი დაუოკებელი, უთავბოლო რიტმით. ყოველივე ამას თან სდევს არაადეკვატური ქცევის არამოტივირებული შეტევები, რომლებსაც ხშირად ახლავს თან აგრესია. ეს უაღრესად მოტორული – ჭირვეული, მოძრავი, დაუდეგარი ბავშვები ჯვარს აცვამენ მასწავლებლებსა და ახლობლებს. ყველა ეს სიმპტომი ხშირად იჩენს თავს პატარაობისას. მაგრამ მთავარი პრობლემები მაშინ წარმოიშობა, როდესაც ბავშვი სკოლაში მიდის. მას უძნელდება სწავლა, ჩვეულებრივ, აქვს საშინელი ხელი, არასწორი მეტყველება, ვერ უყრის თავს გონებას.

სიყმაწვილის ასაკისათვის ჰიპერაქტიურობა არცთუ იშვიათად ქრება. მაგრამ სწავლის უუნარობა, ჩვეულებრივ, რჩება. 15-20 პროცენტს ეს სიმპტომები მიჰყვება მოზრდილ ცხოვრებაშიც. ფსიქოლოგებმა ასეთ ადამიანებს აღმოუჩინეს ასოციალური მოქმედების და გუნება-განწყობილების სხვა აშლილობების მიდრეკილება. სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, ჰიპერაქტიურობას ვხვდებით მოსწავლეთა 2-დან 20 პროცენტს შორის. ასეთი დიდი სხვაობა გასაგებია: ძნელია, ყველა აქტიურ ბავშვს მიაწერო ლამის „ფსიქიატრიული დიაგნოზი“.

### მთავრობას თავისი ინტერესები აქვს

მაგრამ, მოდით, დავუბრუნდეთ სამედიცინო გამოკვლევას. ექიმებმა ინგლისის მთავრობის დაკვეთით შეისწავლეს რამდენიმე ხელოვნური საკვები საღებრისა და ერთი კონსერვანტის გავლენა ბავშვების ჰიპერაქტიურობაზე და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მთავრობამ კვლევის შედეგები ობიექტურად ცნო. ასეთი რამ პირველად მოხდა. მედიკოსები, მშობლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ადრევე გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ საკვები დანამატები პროვოკაციულად იწვევენ ბავშვების ჰიპერაქტიურობას. მაგრამ სამთავრობო ორგანოები მუდამ იჭერდნენ სურსათის მწარმოებელთა მხარეს, რომლებიც თავს იმით იმართლებდნენ, რომ ამ საკითხზე არ არსებობს საკმარისი მეცნიერული მონაცემები. დაგვეთანხმებით, რომ სასურსათო დანამატების ასეთი „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ ერთობ უცნაურად გამოიყურება: მათი ბრალეულობა უნდა ამტკიცონ მომხმარებლებმა, ამასობაში კი ასეთი პროდუქტების მწარმოებლები განაგრძობენ მთელი მსოფლიოს, მათ შორის ბავშვების მოწამვლას საკვები დანამატებით. საქმე ის არის, რომ დანამატების რეგისტრაციის არსებული სისტემა აშკარად არასაკმარისად სწავლობს მათს უსაფრთხოებას, ხოლო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლიათ მათ გაუძლიერონ ბავშვებს ჰიპერაქტიურობა, საერთოდ არ ეწყობა არავითარი გამოცდა.

ბევრი სხვადასხვა დანამატის აკრძალვას შედეგად მოსდევს უზარმაზარი დანაკარგები კვების მრეწველობაში, და, კაცმა რომ თქვას, გასაგებია ამ დარგის მესვეურთა აგრესიული პოლიტიკა. გარკვეული ლოგიკა არის მთავრობის პოზიციაშიც, რომელიც ტრადიციულად მხარს უჭერს მათ: დანამატით გამოწვეული მავნეობა იშვიათად არის ამწუთიერი, ჩვეულებრივ, იგი გრძელვადიან „პერსპექტივებს“ განეკუთვნება და მათს მავნეობაში გარკვევა მოუწევს არა ახლანდელ მთავრობას, არამედ სახელმწიფო მოხელეების უკვე შემდეგ თაობას.

### ქიმია – ძვალსა და რბილში

რა გააკეთეს ინგლისელმა მკვლევარებმა? მათ ძალზე კორექტულად წარმართეს თავიანთი მუშაობა. 277 სამი წლის ბავშვის ჯგუფს (სწორედ ამ ასაკში იწყება ყველაზე მეტად ჰიპერაქტიურობა) ორი კვირის განმავლობაში აძლევდნენ ხილის წვენს, რომელშიც გახსნილი იყო 20 მგ სხვადასხვა ხელოვნური საღებრები და 45 მგ კონსერვანტი – E211. შემდეგი ორი კვირის განმავლობაში ბავშვები წვენს უამდანამატოდ ილებდნენ. მშობლები ავსებდნენ სპეციალურ ფორმულარებს, რომლებიც აფასებდნენ ბავშვის საქციელს. „საღებავით“ და სხვა ქიმიით კვებისას ბავშვებს აშკარად უუარესდებოდათ ყურადღების კონცენტრაცია, წარამარა მოსდიოდათ გული, დიდხანს ვერ იძინებდნენ, და, საერთოდ, გამოირჩეოდნენ საქციელით, რომელიც დამახასიათებელია ამ ასაკში „ჰიპერაქტიურობის სინდრომისათვის“. თანაც, ყოველივე ეს ეტყობოდათ ჯანმრთელ ბავშვებს, რომლებიც აქამდე არ იყვნენ შემჩნეულნი ჰიპერაქტიურობაში.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ თუ საეჭვო დანამატებს პროდუქტებს მოვაცილებთ, ასეთ მდგომარეობას



სამჯერ უფრო იშვიათად შევხვდებით. სხვათა შორის, ამას მოჰყვებოდა არა მარტო ფსიქიატრიული სარგებლობა. ბევრი „ჰიპერაქტიური დანამატი“ იწვევს ალერგიულ და სხვა მსგავს რეაქციებს. აი, ამ „გმირების“ სია, რომელთა სახელწოდებაც ასო „E“-ზე იწყება: საღებრები – E102 (არტრაზინი), E110 (ყვითელი), E122 (კარმუაზინი), E124 (პონსო-4R) და კონსერვანტი E211 (ნატრიუმის ბენზოატი). ისინი, ყველანი ძალზე ფართოდ და სულ სხვადასხვა პროდუქტებში გამოიყენება. თუ ამ სიით ისარგებლებთ, თქვენ შეძლებთ, შეურჩიოთ ბავშვს კვება, რომელიც არ შეუწყობს ხელს ჰიპერაქტიურობას, მაგრამ ეს ძალზე ძნელი საქმე იქნება. საკმარისია, მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი ფაქტი: თითქმის ყველა გაზიანი სასმელი შეიცავს ნატრიუმის ბენზოატს.

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ საბავშვო პროდუქტებში „ჰიპერაქტიური“ დანამატების ექსპანსიის მასშტაბს, მოვიყვანთ ბრიტანეთში ფირმა Organix-ის მიერ მოწყობილი კვლევის შედეგებს. საღებრები გამოიყენებოდა საბავშვო დესერტების 78 პროცენტში, საბავშვო რძის კოქტეილების 42 პროცენტში, საბავშვო კანფეტების 93 პროცენტში, „მიუსლი-ბატონების“ 18 პროცენტში, საბავშვო ყველის 24 პროცენტში, საბავშვო საუზმეულის 23 პროცენტში, ჩირის 14 პროცენტში, საბავშვო სასმელების 41 პროცენტში, „ჩიფსის“ 32 პროცენტში და ა. შ. ალბათ, ჩვენშიც არ იქნება ნაკლები ასეთი პროდუქტები.

### რა ვქნათ?

შეეცადეთ, ბავშვებს აძლიოთ მხოლოდ შინაური პროდუქტები: თქვენ ხომ არ იყენებთ ამისათვის „საკვებ ქიმიას“. ასეთი კვების ამოსავალ კომპონენტებად შეარჩიეთ ახალი და გადაუმუშავებელი პროდუქტები. ფრთხილად იყავით ნახევარფაბრიკატებთან და მზა საკმაზებთან – ისინი ტრადიციულად შეიცავენ დიდძალ „E“ – ინდექსიან საკვებ-დანამატებს. რაც შეეხება ტკბილეულს – უმჯობესია ბავშვებს მისცეთ შინაური ნამცხვრები, თუმცა, ეს არ არის მაინცდამაინც სასარგებლო პროდუქტი, მაგრამ გაცილებით ჯობია დანამატების გამოყენებით დამზადებულ სამრეწველო ანალოგებს. იგივე ითქმის შინაური სასმელების ყველა სხვა ვარიანტზეც, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ და წარმატებით შეცვლიან გაზიან წყალს.

აქტიური პოზიცია

# „გმადლობთ!“, ამბობენ რკინიგზელი ქალები

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს რკინიგზამ იზეიმა 130 წლის იუბილე. ნებისმიერი ქვეყნისთვის, იქნება ეს დიდი თუ პატარა, რკინიგზას განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საქართველოში ნგრევა სწორედ ამ სტრატეგიული მნიშვნელობის დარგით დაიწყო. ყველას კარგად გვახსოვს შინა ომებით დაუძლურებული ქვეყანა, ცარიელი მაღაზიები, უკაცრიელი ქუჩები, უსუსური კუპონები. ამ ფონზე სხვამ კი არა, ლამის ჩვენ თვითონ დავკარგეთ იმედი ფეხზე დადგომისა. შემდგომში ქართველი რკინიგზელების თავდაუზოგავმა შრომამ, სწორმა ორგანიზაციამ, ცოდნამ, გამოცდილებამ და დიდმა პასუხისმგებლობამ ქვეყნისა და ხალხის წინაშე განაპირობა დღევანდელი სიძლიერე, დარგის აღმშენებლობიდან მომგებიანობამდე, საიმედო პარტნიორის იმიჯი. როგორც ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, რკინიგზა „ქვეყნის ხერხემალია“. ამ ხერხემლის სიჯანსაღეში კი სწორედ ქვეყნის პრეზიდენტს მიუძღვის დიდი წვლილი.

დღეს საქართველოს რკინიგზაზე ათასობით ადამიანია დასაქმებული. განსაკუთრებული ყურადღება მინდა შევაჩერო ქალთა შრომაზე და სწორედ ამ კუთხით გესაუბროთ. ჩვენ კი საკმაოდ ბევრნი ვართ – დაახლოებით 6000-მდე ქალი ღირსეულად შრომობს მთელ მაგისტრალზე.

ათასობით რკინიგზელი მშრომელი დედა, მადლიერია საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობისა და პირადად მისი თავკაცის ბატონ აკაკი ჩხაიძისა, რომ შეუნარჩუნდათ სამუშაო ადგილები. იქნებ ასეთი დიდი კონტინგენტი საჭირო არც იყო, მაგრამ გაკეთდა შესაძლებლობის მაქსიმუმი, რათა ადამიანები ამ გაჭირვების ჟამს ქუჩაში არ აღმოჩენილიყვნენ. დღეს ყველა რეგულარულად იღებს ხელფასს.

კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი: რკინიგზელი ქალები ზოგიერთებივით იძულებით გზას არ დაადგნენ, ქუჩაში არ გავიდნენ. ბევრ ოჯახს მთლიანობა შეუნარჩუნდა. შესაძლოა, ბევრი რამ კიდეც აკლიათ, მაგრამ შვილებს დედა ზრდის ოჯახში, დედა, რომელიც შეუცვლელია. განა ეს რომელიმე დიდი მნიშვნელობის საქმეს ჩამოუვარდება? იქნებ მეტიც არის, ბოლოსდაბოლოს, ვისთვის გვინდა ეს ქვეყანა?



ხშირად გვესმის ქალთა ტრეფიკინგის შესახებ, რომელსაც თურმე ჩვენშიც საკმაოდ მოუკიდებია ფეხი. გვთავაზობენ ათასნაირ წესებს მისი თავიდან აცილებისათვის. ალბათ, ესეც საჭიროა, მაგრამ უმთავრესი წესი, საკუთარ ქვეყანაში დასაქმებაა. ქართველი კი ისტორიულად ის იშვიათი გამონაკლისია, ვის სისხლშიც ყველაზე ნაკლები დოზით იყო ემიგრაციაში სამუდამოდ წასვლის სურვილი.

მინდა ერთ გარემოებასაც გავუსვა ხაზი: არასოდეს, არსად, რკინიგზელ ქალებს ქუჩის აქციები არ მოუწყვიათ და არც მონაწილენი ყოფილან, თავისთავად ეს ფაქტიც მრავლისმეტყველია... არ მახსენდება არც ერთი შემთხვევა ჭირისა, როცა რკინიგზელის ოჯახი ბედის ანაბარად მიეტოვებინოთ განურჩევლად მისი ჩინისა თუ წარმომავლობისა.

დღევანდელმა მსოფლიომ ქალთა მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია იცის. საქართველოშიც მკვიდრდება ქალთა ორგანიზაციები, მათ შორის არასამთავრობოები, ზოგიერთ მათგანთან ჩვენ საქმიანი ურთიერთობა და ღრმა პატივისცემა გვაკავშირებს.

ჩვენი ქალები ძირითად საქმიანობას მშვენივრად უთავსებენ საზოგადოებრივს. რეგიონებში (სამტრედია, ბათუმი, ხაშური, გურჯაანი) რკინიგზელი ქალები მრავალი საქველმოქმედო ღონისძიების ორგანიზატორები და მონაწილენი არიან, იქნებ ეს ბავშვთა სახლები (განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამტრედიაში სოფ. ეწერის ბავშვთა სახლზე მზრუნველობა), უმწეოთა სახლები, დევნილები თუ სხვა. სიამოვნებას გვანიჭებს შეხვედრები მეცნიერების, კულტურის, სპორტის ღვაწლმოსილ ადამიანებთან. ყოველივე ეს კვლავ ჩვენი ხელმძღვანელობის ხელშეწყობითა და თანადგომით ხორციელდება. ბატონ აკაკი ჩხაიძეს ჩვენს ქვეყანაში კარგად იცნობენ, როგორც ქველმოქმედ კაცს. თვითონ კი ამის შესახებ არასდროს არაფერს ამბობს.

საიუბილეო დღეებში დარგის მრავალი მუშაკი დაჯილდოვდა. დარგის რთული სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ქალთა შრომას. სხვადასხვა ჯილდოზე მრავალი ქალი იყო წარდგენილი. ამაღელვებელი იყო შეხვედრა პირველ მემანქანე ქალებთან.

ჩვენთან ტრადიციად დამკვიდრდა დედის დღისა და ბავშვთა დღის აღნიშვნაც.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია და პერსპექტივაც დიდი, მაგრამ როგორ შეიძლება გულს არ გიხარებდეს საქმის ისე წაყვანა, რომ სხვა სასიკეთო საქმეებისთვისაც მოიცალო, მით უფრო, თუ ის მომავალი თაობის სულიერ და ფიზიკურ სრულყოფას ეხება. ამის დასტური ლოკომოტივის სტადიონის სპორტული კომპლექსია. მთელი სერიოზულობით დადგა დღის წესრიგში დარგობრივი პენსიები, რკინიგზის ჯანდაცვის ობიექტების, რკინიგზის ინსტიტუტის თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვა.

არ შემიძლია ჩვენი გულისტკივილი არ გამოვხატო იმასთან დაკავშირებით, რომ ხანდახან ეთერს უთმობენ ისეთ გადაცემას, რომელიც ტენდენციურია, სადაც მთლიანად იგნორირებულია კოლექტივის, ათასობით ადამიანის აზრი, სადაც არ აინტერესებთ დარგის დამსახურებული ადამიანებისა და სპეციალისტების შეხედულებანი. შეფასების ყველაზე საიმედო კრიტერიუმი ხომ გაკეთებული საქმეებია. ვგრძნობთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აქტიურ თანადგომას, რისთვისაც დიდ მადლიერებას გამოვხატავთ.

**მარიამ მეგრელიშვილი,**
საქართველოს რკინიგზის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, კადრების სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე, საპატიო რკინიგზელი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მსმელთათვის

# ლუდისმიერი ღიპის საიდუმლო გახსნილია

იცით, რა არის „ბირბაუხი“? არა, ლუდი არ გეგონოთ: ყველა „ბირი“ ლუდი როდია. ასე ეძახიან გერმანიაში ლუდისმიერ ღიპს – დიდს, ბურთივით მრგვალსა და წინგამოშვერილს. და რამდენიც უნდა მოჰქონდეთ თავი ასეთი ღიპის პატრონებს, ეს ჩვენი ღირსებააო, თითოეული მათგანი სიამოვნებით შეელეოდა ამ უკუღმა ჩამოკიდებულ „ზურგჩანთას“. მაგრამ ეს ძალზე ძნელი საქმეა, ვინაიდან ამ საქმეში, თურმე, გენები ყოფილა გარეული. ამას წერს ცნობილი ამერიკული ჟურნალის „შინაური მედიცინის ანალების“ საახალწლო ნომერი.

დიახ, ლუდისმიერი ღიპის პატრონთა უმრავლესობას მეცნიერებმა აღმოუჩინეს განსაკუთრებული გენები. სწავლულნი ვარაუდობენ, რომ ამ გენების მფლობელებს ორჯერ მეტი შანსი აქვთ ასეთი ღიპის დადებისა, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენ მამაკაცს. მაგრამ ეტყობა, პრობლემა მარტოოდენ ლუდისმიერი ღიპით არ ამოიწურება. მასში ჩათრეული აღმოჩნდა, აგრეთვე გული, სისხლძარღვები და კუჭუკანა ჯირკვალი. უფრო ზუსტად – ამ ორგანოების სნეულებანი: გულის იშემიური დაავადება, რომელიც სტენოკარდიისა და მიოკარდიუმის ინფარქტის სახელით არის ცნობილი, ჰიპერტონია (მაღალი წნევა) და შაქრიანი დიაბეტი.

ნეაპოლის უნივერსიტეტის მეცნიერებმა თანამემამულეების სისხლში შეისწავლეს ერთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელსაც აქვს ძალზე რთული სახელწოდება – ანგიოტენზინი – ფერმენტის წარმომშობი. სიმარტივისათვის ვუწოდოთ მას აშწ, მით უმეტეს, რომ ამ აბრევიატურით სარგებლობენ თვით მედიკოსები. ამ ფერმენტს ბევრი თქვენგანი ნამდვილად შეხვედრია. შესაძლოა, აფთიაქში გიყიდიათ კიდეც თქვენთვის ან ახლობლებისათვის ისეთი პრეპარატები, როგორიც არის კაპტოპრილი, კაპოტენი, რენიტეკი, ედნიტი, ენაპი, ენალაპრილი, მონოპრილი, მოექსი, პრესტარიუმი, აკუპრო, ტრიტაცე და ა. შ. ყველა ეს წამალი, რომლებიც ძალზე ფართოდ გამოიყენება კარდიოლოგიაში, აშწ-ს დაუძინებელი მტერია – ისინი ბლოკავენ ამ ფერმენტის მოქმედებას. ამის შედეგად დაბლა უწევთ წნევა ჰიპერტონიკებს, აგრეთვე გაუვლით ხოლმე შეშუპება გულის უკმარისობის მქონე ავადმყოფებს.

სწორედ აქედან უკავშირდება უხილავი ძაფი ლუდისმიერი ღიპის, ჰიპერტონიის, გულის დაავადებებისა და თვით შაქრიანი დიაბეტის პრობლემებს. როგორც იტალიელ მეცნიერთა გამოკვლევამ ცხადყო, პრეპარატები, რომლებიც ბლოკავენ აშწ-ს, აბრკოლებენ შაქრიანი დიაბეტის განვითარებას. მედიკოსებისათვის დიდი ხანია, კარგად არის ცნობილი, რომ ეს ფერმენტი მონაწილეობს სისხლძარღვთა ტონუსისა და ორგანიზმში წყლის შემცველობის რეგულაციაში. ამ მექანიზმების მეოხებით არეგულირებს იგი სისხლის წნევას. მაგრამ, ცოტა ხნის წინათ გამოირკვა, რომ აშწ დაკავშირებული ყოფილა, აგრეთვე, ცილოვანი უჯრედების ზრდასთან.

სწორედ ამ ასპექტს სწავლობდნენ იტალიელი მეცნიერები პროფესორ **პასკუალე სტრაზულოს** ხელმძღვანელობით. ამისათვის მათ დეტალურად გამოიკვლიეს 25-დან 75 წლამდე ასაკის 959 მამაკაცი. ყველას გაუზომეს სიმაღლე, წონა, წელის და თეძოების გარშემოწერილობა. ამასთან, შეისწავლეს სისხლის სხვადასხვა მაჩვენებლები, მათ შორის აშწ. მამაკაცებში არსებობს ამ ფერმენტის სამი ნაირსახეობა. ერთი მათგანი ხელს უწყობს ცხიმოვანი უჯრედების ზრდას, თანაც, იმ უჯრედებისა, რომლებიც განლაგებულია მუცლის არეში და მუცლის ღრუში. სწორედ აქედან მომდინარეობს სიმსუქნისის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ასე დამახასიათებელია ძლიერი სქესისათვის. უფრო მეტიც, პაციენტებს, რომლებსაც აშწ-ს ეს ნაირსახეობა აქვთ, უფრო ხშირად აწუხებთ მაღალი წნევა, დიაბეტი და გულის დაავადებანი.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? უსაშველო არაფერია, მაშინაც კი, თუ თქვენ უკვე წამოგეზარდათ კლასიკური ბირბაუხი, ანდა ეს-ეს არის დაგეწყოთ ღიპის დამრგვალება. ყოველთვის უნდა იქონიოთ იმედი, რომ ყველაფერი მოგვარდება. კოდირებული პროგრამა ყოველთვის როდი მიდის ბოლომდე, თუ მასში ზოგიერთი ცდომილება მოხვდება. მაგალითად, თუ ღიპის მიდრეკილება გაქვთ, ლუდს ნუ მიეძალებით. რაც შეეხება ღვინოს, მისი ზომიერი სმა გაცილებით უფრო კეთილშობილურად გამოიყურება და სასარგებლოც არის გულისათვის. გარდა ამისა, ყველაფერს სმას ნუ დავაბრალებთ. ღიპს უფრო მეტად იწვევს ჩვეულებრივი საჭმელი, უფრო ზუსტად, მისი რაოდენობა. ღორმუცელობა გაცილებით უფრო მეტად უწყობს ხელს ლუდისმიერი ღიპის ზრდას და, რა თქმა უნდა, აუცილებელია აქტიური ცხოვრების წესი, მეტი მოძრაობა და ნაკლები ნაყროვანება.



რაც იყო

**როგორც მოსკოვის კრემლის დაცვის ოფიცერი ს. კრასიკოვი გვიამბობს თავის წიგნში „ბელადების სიახლოვეს“, სვერდლოვის სიკვდილის შემდეგ კრემლის კომენდატურის თანამშრომლებმა ვერ იპოვეს ცაკ-ის მეთაურის კაბინეტის სეიფის გასაღები. სეიფი საწყობში გადაიტანეს, სადაც 16 წელიწადს იდგა. 1935 წელს სეიფი გახსნეს და შიგ ნახეს 198525 ოქროს მანეთის ღირებულების ნიკოლოზის უზალთუნები, 705 ოქროს ნაკეთობა, რომლებიც თვალ-მარგალიტით იყო მოოჭვილი, შვიდი პასპორტის სუფთა ბლანკი და ამდენივე სვერდლოვის ნათესავთა სახელზე შევსებული ბლანკი.**

# ლენინს სვერდლოვის ბრძანებით ესროლეს?

## ასეთი ვერსია წამოაყენა ისტორიკოსმა ვალერი შამბაროვმა

**– ბატონო ვალერი, იმ ამბავს, რომ ლენინს ფაინა კაპლანმა ესროლა, მთელი რიგი მოწმეები ადასტურებენ...**

– გამოძიების მასალებში არ არის დამამტკიცებელი საბუთები. მაგალითად, ჩეკას თანამშრომელი ბატულინი, რომელმაც კაპლანი დააკავა, წერს: „ის, ვინც ლენინს ესროლა, არ დამინახავს. მე დავიყვირე: „დაიჭირეთ ამხანაგი ლენინის მკვლელი-მეთქი!“ – და გავვარდი სერპუხოვკაზე, რომელზეც შეშინებული ხალხი გარბოდა. უკან დავინახე ქალი, რომელიც საეჭვოდ გამოიყურებოდა. გავუჩხრიკე ჯიბეები, ჩამოვართვი პორტფელი და ქოლგა, მერე კი შევთავაზე, გამომყოლოდა. სერპუხოვკაზე შეკრებილი ხალხიდან ვიღაცამ მითხრა, ეს ის ქალია, ლენინს რომ ესროლაო.

მაგრამ კიდევ რა შეიძლება იყვიროს ბრბომ იმ ადამიანზე, რომელიც იცნეს და მიჰყავთ? მუშებს, რომლებმაც ვითომდა იცნეს კაპლანი, არც ერთ ჩვენებაში გვარებით არ ახსენებენ. არიან კიდევ სხვა ეჭვმიტანილებიც: ვიღაც გიმნაზისტი, მატროსისქუდიანი კაცი. თვით ლენინმა, როგორც კი მასთან მიირბინა შოფერმა გილმა, იკითხა: „დაიჭირეთ **ის კაცი?**“ „ის კაციო“, თქვა და არა – „ის ქალი“.




ფილმში „ექვსი ივლისი“ ლენინი და სვერდლოვი ხელიხელჩაკიდებულნი ებრძოდნენ კონტრრევოლუციას.

**– მაგრამ იგივე გილი მოგვიანებით ამტკიცებდა: კაპლანმა რევოლვერი ფეხებთან დამიგდოო.**

– თავდაპირველად იგი ამბობდა, რომ დაინახა მხოლოდ რევოლვერიანი ხელი, მერე კი გაიხსენა კაპლანიც, რომლის რევოლვერიც იპოვეს ოთხი დღის შემდეგ.:

**– 1922 წელს გერმანელმა პროფესორმა ბორჰადტმა ლენინს ყელიდან ამოუღო ის ტყვია...**

– და ტყვია სულ სხვა რევოლვერისა გამოდგა.

**– გამოდის, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ, ვინ ესროლა სინამდვილეში ლენინს?**

– ალბათ, ვერა. კაპლანის დაკითხვების ოქმებს არ შეაქვთ სიცხადე სურათში. თანაც, იგი ნახევრად ბრმა იყო. თქვენ გჯერათ, რომ გამოცდილი ესერი ბოევიკები ესოდენ მნიშვნელოვანი აქტის შესრულებას ავადმყოფ ქალს ანდობდნენ?

**– ესერთა პარტიამ განაცხადა, რომ არაფერ შუაში არ იყო თავდასხმასთან.**

– მათი წესისამებრ, ნებისმიერი ტერაქტი უნდა გახმაურებულიყო როგორც პარტიის განაჩენის აღსრულება. თანაც, კაპლანი არ ყოფილა ესერი, ახალგაზრდობაში იგი ანარქისტებს ემხრობოდა.

**– ამავე დღეს, 30 აგვისტოს, მოხდა კიდევ ერთი თავდასხმა პიტერის ჩეკას თავმჯდომარე ურიცკიზე. ეს ერთი ჯაჭვია?**

– არ არის გამორიცხული. მაგრამ ურიცკიზე თავისი მეგობრების დახვრეტისათვის შური იძია პოეტმა კანეგისერმა, კაცმა, რომელიც შორს იდგა პოლიტიკისაგან. და აი, რა არის საყურადღებო: მას მთელ წელიწადს აწამებდნენ, რათა ეთქმევინებინათ თანამზრახველთა სახელები. მაშინ, როდესაც კაპლანი ჩვენების მიცემისთანავე სიკვდილით დასაჯეს. თანაც, როგორ! კრემლის კომენდანტმა მალკოვმა იგი კრემლის გარაჟში დახვრიტა, მერე კი სხეული დაწვა ალექსანდრეს ბაღში. სხვათა შორის, დაწვის აქტში მონაწილეობდა პოეტი დემიან ბედნიც.

**– რა საჭირო იყო ასეთი სიჩქარე?**

– შესაძლოა, კაპლანის რომელიღაც აღიარებამ საფრთხე შეუქმნა გამოძიების მიერ შექმნილ სურათს.

**– არის ვერსია, ლენინზე თავდასხმა ჩეკამ მოაწყოო...**

– თუ დავუკვირდებით, ვის აძლევდა იმ მომენტში ხელს ლენინის თავიდან მოცილება, მაშინ უნებლიედ მოგივა აზრად, რომ ამით ყველაზე მეტად მოიგებდა სვერდლოვი. 1918 წლის ივლისისათვის იგი გახდა მეორე კაცი სახელმწიფოში, საბჭოების ბატონ-პატრონი. მაგრამ თვით საბჭოების როლი ნულისაკენ მიექანებოდა. და თვით სვერდლოვის მნიშვნელობაც ეცემოდა.

**– ეს არ კმარა ეჭვებისათვის...**

– თავდასხმის ორგანიზება უბრალო ამოცანა არ იყო. პარტია არ უწევდა აფიშირებას იმას, თუ ვინ და სად გამოვიდოდა მიტინგებზე. თვით ლენინმა მარშრუტი შეიტყო მხოლოდ წინა დღით, როდესაც 29 აგვისტოს მიიღო საგზური მიხელსონის ქარხანაში. საგზურებს გასცემდა ცაკ-ის აგიტაციის განყოფილება და ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, რომელიც სვერდლოვს ექვემდებარებოდა. კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი. მოსკოვში ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთაგან იმ მომენტში არავინ იყო. ტროცკი ყაზანში იმყოფებოდა, სტალინი – ცარიცინში, ზინოვიევი – პიტერში. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, სვერდლოვს ვერაფერი შეუშლიდა ხელს. თანაც, პიტერის თავდასხმის შემდეგ ბუხარინმა რამდენჯერმე ურჩია ლენინს, არ წასულიყო მიტინგზე, და ისიც, როგორც კრუპსკაია იხსენებდა, დათანხმდა. მაგრამ აქ საქმეში ჩაერია სვერდლოვი: „ჩვენ რა, მალვა დავიწყოთ?“ ლენინმა გადაწყვიტა, წასულიყო. დაცვა არ გაჰყოლია.

**– კრემლის კომენდატურა და დაცვა სვერდლოვს ემორჩილებოდა?**

– დიახ. და თავდასხმის შემდეგ იგი ერთ-ერთი პირველი მივიდა კრემლში. კრუპსკაია იხსენებს: „სახეზე რომ შევხედე, ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი“. სვერდლოვის ცოლიც ასევე წერს, რომ სვერდლოვმა იმავე საღამოს დაიკავა ლენინის კაბინეტი და ერთბაშად დაიქვემდებარა სახკომსაბჭოც, ცენტრალური კომიტეტიც და ცაკ-იც.

**– ძერჟინსკი რაღას აკეთებდა?**

– იგი პიტერში წავიდა ურიცკის მკვლელობის გამოსაძიებლად. ამან სვერდლოვს შესაძლებლობა მისცა, დაეწესებინა კონტროლი გამოძიების მთელი მიმდინარეობისათვის. მან გადაიყვანა კაპლანი ლუბიანკიდან კრემლში, სადაც ქალმა მოულოდნელად იწყო აღიარებითი ჩვენებების მიცემა, რის შემდეგაც თვალის დახამხამებაში დახვრიტეს. დახვრეტისა და გვამის დაწვის ბრძანება გასცა სვერდლოვმა.

**– გვამის დაწვა რაღა საჭირო იყო?**

– ჩეკას რომ არ შეძლებოდა გამოძიების განახლება. ხაზს ვუსვამ: ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა. მაგრამ სრულიად ცხადია ის, რომ სვერდლოვი შეეცადა, ესარგებლა ტერაქტის შედეგებით. როგორც კი ლენინი გამოჯანმრთელდა, ცაკ-ის მეთაურმა ექიმების მეშვეობით ცენტრალურ კომიტეტს მიაღებინა გადაწყვეტილება: ბელადმა კიდევ უნდა იმკურნალოს და დაისვენოს. სწორედ მაშინ შეურჩიეს ყბადაღებული გორკა. სვერდლოვი ლენინს სხვას არავის აკარებდა. და კარგა ხანს, ლენინი განუყოფლად იყო მის მეურვეობაში.

**– ხოლო ხუთი თვის შემდეგ, თვით სვერდლოვმაც გაფშიკა ფეხი. ესეც იდუმალი სიკვდილი იყო.**

– ოფიციალური დიაგნოზია – „ესპანურა“, ე. წ. ესპანური გრიპი, ავადმყოფობა, რომელსაც არ უნდა მოეკლა 35 წლის კაცი. მით უმეტეს, რომ სვერდლოვს საუკეთესო ექიმები მკურნალობდნენ. მას თავზე ადგა პარტიის მთელი ნაღები. ლენინის გარდა.

**– მაგრამ, შემდეგ, ლენინმა სვერდლოვის დაკრძალვაზე უაღრესად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა.**

– მერე რა, სტალინმაც წარმოთქვა უღარესად შთამბეჭდავი სიტყვა ლენინის დასაფლავებაზე, მერე კი, მთელ ლენინურ გვარდიას მოსდგა და გაანადგურა.

**ვასილ უსტიუჟანინი.**

### სხვათა შორის ლენინზე თავდასხმის სხვა ვერსიები:

**● ეს იყო მკვლელობის ინსცენირება. როგორც „იზვესტია“ (03.09.1918 წ.) იუწყებოდა, „ტყვიის კვალი პიჯაკზე არ ემთხვეოდა ჭრილობებს სხეულზე“.**

**● ეს იყო გერმანიის დაზვერვის ხრიკები, რომელმაც შური იძია ელჩის მირბახის მკვლელობისათვის.**

**● თავდასხმის ორგანიზატორები იყვნენ ტროცკი და ბუხარინი, რომლებმაც პირი შეკრეს ესერებთან. ამას ამტკიცებდა 20 წლის შემდეგ გაზეთი „პრავდა“.**

**● თავდასხმა მოამზადეს ჩეკას თანამშრომლებმა. მარცხმა აიძულა ძერჟინსკი, სასწრაფოდ წასულიყო საზღვარგარეთ.**

**● ეს იყო მემარჯვენე ესერების ნამოქმედარი, აღიარა 1922 წელს ესერთა პარტიის ცენტრალური „მფრინავი“ საბრძოლო რაზმის უფროსმა სემიონოვმა. მაგრამ, უმაღლესმა ტრიბუნალმა შეიტანა შუამდგომლობა მისი განთავისუფლების შესახებ, და ცაკ-მა დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება.**

**● ამ დროს, ძერჟინსკი ორი თვით წავიდა შვეიცარიაში ისე, რომ არაფერი უცნობებია ცენტრალური კომიტეტის არც ერთი წევრისათვის. ეტყობა, მოსკოვში დარჩენა თავისთვისაც და ლენინისთვისაც საშიშად მიიჩნია და მხოლოდ მაშინ, როდესაც ლენინი დაბრუნდა თავის კაბინეტში, ჩამოვიდა ძერჟინსკი მოსკოვში.**



ფაინა კაპლანი, რომელმაც აუცდენლად ესროლა ლენინს, თითქმის ბრმა იყო.

P.S. **ასე იყო თუ ისე, ლენინზე თავდასხმამ ბიძგი მისცა ბელადის სახის დაუოკებელ მითოლოგიზაციას, ხელ-ფეხი გაუხსნა ჩეკას წითელი ტერორის ლეგალიზაციისა და ძალადობის დიქტატურის დამყარებისათვის. მარტო 1918 წლის სექტემბრიდან 1919 წლის ოქტომბრამდე 1,3 მილიონი კაცი გაჟლიტეს. აი, ასეთ ფასად დაუჯდა რუსეთს ერთი გასროლა და უგუნური იდეა, რკინისებრი ხელით შეეგდოთ კაცობრიობა „ბედნიერ ცხოვრებაში“.**

გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა“, 21/I-03.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საუკუნეთა საიდუმლო

# ფარაონთა აკლდამა თუ... უცხოპლანეტელთა ლაბორატორია?

**შარშან, სექტემბერში მსოფლიო სენსაციურმა ექსპერიმენტმა გაართა. პაწაწკინტელა რობოტმა „პირამიდ როვერმა" ხეოფსეს პირამიდაში შეაღწია ვიწრო გვირაბის საშუალებით და პირამიდის შუაგულიდან აწარმოა გადაცემები. მეცნიერები გაფაციცებულნი შეჰყურებდნენ ეკრანს — საუკუნეების საიდუმლოს ფარდა უნდა ახდოდა. მაგრამ დედამიწის ზურგზე ყველაზე იდუმალებით მოცული ნაგებობა არც ამჯერად დანებდა სწავლულებს.**

რობოტმა გვირაბის ბოლოს ცარიელი ოთახი აღმოაჩინა, რომელიც მეორე მხრიდან უზარმაზარი ფილით იყო ამოქოლილი. რის აღმოჩენა სურდათ ადამიანებს, ან რა საიდუმლოს ინახავს პირამიდა?

სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ყველამ იცის, რომ პირამიდებს ფარაონები თავიანთი სიძლიერის დამამტკიცებლად აგებდნენ, რომელიც მათი გარდაცვალების შემდეგ აკლდამად იქცეოდა, ე. ი. პირამიდის შუაგულში აუცილებლად უნდა ყოფილიყო სამარხი, ძვირფასეულობა და, რაც მთავარია, ფარაონის მუმია. ხეოფსეს პირამიდაში საგანძურის ძებნა ჩვენი წელთაღრიცხვის მეცხრე საუკუნიდან დაიწყო, როდესაც არაბმა ალ-მამუნმა პირამიდის ჩრდილოეთი კედელი გამოანგრია და იქ გვირაბი აღმოაჩინა. მაგრამ გადიოდა საუკუნეები და იქ ვერავითარი მუმია ვერ აღმოაჩინეს. ერთადერთი, რაც ნახეს, ცარიელი ოთახი და მასში ასევე ცარიელი აკლდამა იყო. ორი შიდა დარბაზი მეცნიერებმა პირობითად „მეფისა და დედოფლის საკნებად" მონათლეს, არც ერთს მოპირკეთებისა და სიმდიდრის კვალი არ ეტყობოდა. ოპტიმისტები იმედს არ კარგავენ. მათი აზრით, უძველესმა არქიტექტორებმა ყოველივე ეს სპეციალურად გააკეთეს, რათა საუკუნეების შემდეგ ჰგონებოდათ, რომ აქ არავითარი მუმია არ იქნებოდა და ძებნა შეეწყვიტათ. სინამდვილეში ფარაონის მუმია და საგანძური უფრო ღრმად, პირამიდის შუაგულში უნდა ყოფილიყო.

იაპონელ მეცნიერთა მიერ პირამიდაში შეშვებული რობოტი პირველი ცდა როდია ხეოფსეს პირამიდის კვლევისა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გერმანელმა სწავლულმა რუდოლფ განტენბრიკმა მეორე სავენტილაციო ხვრელიდან, რომლის სიგრძეც 60 მეტრს აღემატებოდა, პირამიდაში შეუშვა თვითმავალი აპარატი, რომელზეც ვიდეოკამერა იყო დამაგრებული. გვირაბის, რომლის დიამეტრიც 20 სანტიმეტრი იყო, ბოლოს ვიდეოაპარატმა გადაიღო უზარმაზარი ქვის კარი. მასზე ორი ოქროსფერი ლითონისაგან დამზადებული სახელური იყო მიმაგრებული. მეცნიერთა აზრით, კარი ვერტიკალურად მაღლა იწეოდა, ხოლო იატაკთან დარჩენილი ვიწრო ღრეჩო იმდენად მცირე ზომისა იყო, რომ შიგ ვერც ერთი თანამედროვე აპარატი ვერ შეეტია. ასე, რომ რა ხდება მასიური ქვის კარს მიღმა კვლავ საიდუმლოდ დარჩა.


ხეოფსეს პირამიდა.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მეცნიერებს აწუხებთ ერთი კითხვა — რა საჭირო იყო ასეთი უზარმაზარი კარის დაყენება ისეთი ვიწრო გვირაბის ბოლოს, სადაც კურდღელსაც კი გაუჭირდება გაძრომა? ან როგორ უნდა გაეღოთ კარი ციცქნა ოქროსფერი სახელურებით? ამ კითხვებზე ფანტასტიკური, მაგრამ უბრალო პასუხი გასცა ამერიკელმა სწავლულმა მაიკლ მასნერმა: პირამიდები ააგეს უცხოპლანეტელებმა, რომელთა სიმაღლე ოც სანტიმეტრსაც არ აღემატება და ეს ხვრელები საჰაერო გვირაბები კი არა, უბრალოდ, პირამიდაში შესასვლელი დერეფნებია. ხოლო კარს უკან მათ მიერ დატოვებული „რაღაც" ინახება. ახლა საინტერესოა, თუ რა არის ის „რაღაც".

კაცობრიობამ ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ გასცა. 1996 წელს იაპონელმა სპეციალისტებმა პირამიდა დედამიწაზე არსებული ყველანაირი გამოსხივებების საშუალებით შეამოწმეს. რადარების ეკრანზე დაფიქსირდა აქამომდის უცნობი პირამიდის სამი შიდა ნაგებობა. თუმცა, მათი გამოსახულებები მეტად ბუნდოვანი იყო. იაპონელებმა გადაწყვიტეს გამოეკვლიათ ყველაზე ახლოს მდებარე დარბაზი. სქელი ფილა გახვრიტეს და მასში მინიატურული კამერა ჩაუშვეს. აღმოჩნდა, რომ მთელი დარბაზი იატაკიდან ჭერამდე ქვიშით იყო ამოვსებული. სამაგიეროდ, ქვიშაში კარგად მოჩანდა ლითონის უცნაური კონსტრუქციები. ხვრელში განათების მოწყობილობა და ტელეკამერა არ ჩაეტია, ამის გამო ლითონკონსტრუქციის დეტალურად აღწერა არ მოხერხდა. ამ დარბაზამდე რომ მიაღწიო, საჭიროა, პირამიდა ნახევრამდე დაშალო.

ბევრი ცნობილი მეცნიერი იხრება იმ აზრისკენ, რომ პირამიდები მართლაც უცხოპლანეტელებმა ააგეს, რათა ამგვარი სარკოფაგით დაეფარათ დედამიწაზე დატოვებული ხელსაწყოები, ლაბორატორიები, თუნდაც, მწყობრიდან გამოსული საფრენი აპარატი, ანდაც ატომური დანადგარი. ამ ვერსიას, ამას წინათ, მიემხრო ეგვიპტის მთავრობასთან არსებული სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის დირექტორი ახმედ კადრი, რომელმაც აღნიშნა, რომ „პირამიდის შიგნით არსებობს ლითონისაგან დამზადებული უცნაური კოსმოსური კონსტრუქციები".

იაპონელ მეცნიერებს „პირამიდების ახალი შტურმი" წლეულს აქვთ დაგეგმილი უფრო გაუმჯობესებული თანამედროვე რობოტებით. მათ გადაწყვიტეს ცხრა სართულიანი სახლის სიმაღლის ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის მქონე დანადგარის შექმნა, რომელიც მთელ პირამიდას გაანათებს გამჭოლად. უფრო შორს წავიდნენ ამერიკელი მეცნიერები ტიმი და ბრასეტი, მათ შეიმუშავეს „პირამიდის დაშლის" გეგმა. გადაწყვიტეს, შეადგინონ პირამიდის კომპიუტერული სურათი, დაშალონ პირამიდა საძირკვლამდე, გამოიკვლიონ და შემდეგ ხელახლა აღადგინონ იგი. „მხოლოდ ამგვარად შეიძლება აეხადოს ფარდა კაცობრიობისათვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიდუმლოს" — დარწმუნებულნი არიან ისინი.

უკანასკნელი ცნობები კიდევ უფრო აღვივებენ ადამიანთა ინტერესს პირამიდებისადმი. რამდენიმე კვირის წინათ იაპონელებმა გამოიკვლიეს ის ქვიშა, რომლითაც ამოვსებულია პირამიდის შუაგულში არსებული საიდუმლო დარბაზი. სამეცნიერო ჟურნალების გარდა, ქვიშის ანალიზის პასუხები წამყვან ცენტრალურ გაზეთებშიც გამოაქვეყნეს. ანალიზის პასუხი მართლაც სენსაციური აღმოჩნდა — ქვიშა, პირამიდის გარშემო არსებულ ქვიშას არ განეკუთვნება, უფრო მეტიც, იგი დედამიწიური წარმოშობის არცაა. მასზე აღინიშნება რადიოაქტივობის კვალი, რაც აძლიერებს იმ ვერსიას, რომ პირამიდის შიგნით მართლაც უცხოპლანეტელთა ხომალდები ან მათ მიერ შექმნილი ატომური დანადგარები ინახება.

იქნებ მართლაც დადგა იმის დრო, რომ პირამიდა დაიშალოს? მაგრამ არსებობს ერთი ვერსიაც, მეტად საშინელი ვერსია, რომელიც შვეიცარიელმა მეცნიერმა რიჰარდ მოზელმა წამოაყენა. 20 წლის წინათ, სანამ გერმანელი და იაპონელი მეცნიერების რობოტები და ვიდეოდანადგარები შეაღწევდნენ პირამიდის შუაგულში, მან ივარაუდა, რომ პირამიდა ეს არის საცავი უსაშინლესი იარაღისა, რომელიც ან უცხოპლანეტელებმა შექმნეს, ან დედამიწაზე მცხოვრებმა უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენლებმა. მათ იცოდნენ, რომ ამ იარაღს ვერც დაშლიდნენ და ვერც გაანადგურებდნენ. ეს გამოიწვევდა პლანეტის დაღუპვას, ამიტომაც გადაწყვიტეს ქვის სარკოფაგში მოექციათ იგი. მასში ვერავინ შეაღწევდა, ხოლო სხვა პირამიდები ჩვეულებრივ მოკვდავთა თვალის ასახვევად — ფარაონთა აკლდამებად აიგო.

იქნებ შვეიცარიელი მეცნიერის ვერსიაა სინამდვილესთან ახლოს?

ამას შემდგომი კვლევები გვიჩვენებს.

მოამზადა
**მამუკა ვაშაკიძემ.**

ხეოფსეს პირამიდის სქემატური ჭრილი




მსოფლიო შტრიხებში

## თუკი ღმერთი გწამს

ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ ბევრი რელიგია საოცრად ჰგავს ერთმანეთს, თუმც ყოველ ხალხს თავისი ღმერთი და თავისი წმინდანები ჰყავს. თვით ქრისტეს გამოსახულებაც კი მუდამ ერთნაირი როდია. მაგალითად, ბევრი კათოლიკე მიიჩნევს, რომ ქრისტე შავკანიანი იყო. ასეთების რიცხვს მიეკუთვნება ჰონდურასიც, აქ ღვთის შვილი ყველგან ისეა გამოსახული, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს წააგავს. თუმც ადგილობრივ მორწმუნეებს ეს სულაც არ აწუხებს — მთავარია, ღმერთი გწამდეს და მის მცნებებს მისდევდე. თანაც, ჯერ კიდევ 1572 წელს ესპანეთის მეფემ ფილიპე II ამ ქვეყანას აჩუქა შავკანიანი ქრისტეს რამდენიმე ქანდაკება.



## ფესტივალი ფესტივალს მიჰყვება

წლის დასაწყისი ინდოეთში უამრავი ფესტივალით აღინიშნება. ესეს არის დამთავრდა ინდოელებისაგან დიდად პატივცემული სპილოების პირველი ფესტივალი. მნახველები თვალს არ უჯერებდნენ, როცა ეს მოუქნელი გოლიათები ხატავდნენ, ცეკვავდნენ და ფეხბურთსაც კი თამაშობდნენ.



სპილოები ქვიშის ფიგურებმა შეცვალეს. სამი დღის მანძილზე კონკურსანტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავიანთი ფანტაზიისა და შემოქმედებითი გამომგონებლობის დემონსტრაციაში. ფიგურების თემატიკა ძალზე მდიდარია — დიდებული ტაძრებით დაწყებული „მშვენიერი სქესის" წარმომადგენლების ასეთი სურათებით დამთავრებული.

## ჩინეთში ახალ წელს ელიან

ჩვენგან განსხვავებით, ჩინეთში ახალი წლის დადგომას 1 იანვარს კი არა, 1 თებერვალს აღნიშნავენ, ჩინელები ნაძვის ხის ნაცვლად აყვავებული ატმის ტოტებით რთავენ ბინას.

დიახ, ატმის ყვავილობა 1 თებერვალს ემთხვევა და მთვარის კალენდრის მიხედვით მსოფლიოში დიდი მოსახლეობის ქვეყნისთვისაც იქიდან იწყება ახალი „წელთაღრიცხვა". ჩინელები ამბობენ, რომ ატმის ყვავილობა თვალსა და გულს ახარებს. ის სიმბოლურიცაა, რადგან ჩინელებისათვის ხის ნაყოფი ასოცირდება მრავალწლოვანებასა და წარმატებებთან, ყვავილი კი ნორჩ ლამაზმანთან. ზეიმის დღეებში, სწორედ ამიტომ, თავიანთი სახლების შესასვლელებს ისინი რთავენ აყვავებული ატმის რტოებით, რათა სახლში ავმა სულებმა ვერ შეაღწიონ.

## სიამის ტყუპები შინ დაბრუნდნენ

ალბათ გახსოვთ, შარშან ლოს-ანჟელესელმა ქირურგებმა თავისებური სასწაული მოახდინეს — იქაურ ბავშვთა ჰოსპიტალში შეძლეს გვატემალელი სიამის ტყუპების განცალკევება. ოპერაცია თითქმის მთელი დღე-ღამე გაგრძელდა და ორი მილიონი დოლარი დაჯდა. და აი, ტყუპი დები,



რომლებიც ახლა წლისაზე მეტისა არიან, გვატემალის პატარა სოფელში, შინ დაბრუნდნენ. იქ მათ კიდევ მოუწევთ ოპერაციის გადატანა — მათ თმები უნდა გადაუნერგონ.

ასეთი ოპერაციები ადრეც ჩაუტარებიათ, მაგრამ მარია ტერეზასა და მარია ჰეუსის შემთხვევა განსაკუთრებულია — გოგონები თავებით იყვნენ შეზრდილნი. თითოეულის ტვინი დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა, მაგრამ ჰქონდათ საერთო ვენები, რომელთა განცალკევებას ინსულტის გამოწვევა შეეძლო. ბავშვებს ოპერაციამდე არც ლაპარაკი შეეძლოთ, არც ჯდომა და არც ხოხვა. ტვინიც თითქმის არ ვითარდებოდა. დამკვირვებელი სპეციალისტების აზრით, ახლა გოგონების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და განვითარდებიან როგორც ჩვეულებრივი ბავშვები.

## ბავშვობიდან — დიდ ცხოვრებაში

იმ დღეს იაპონიის ქალაქების ქუჩები ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდებს ვერ იტევდა. 20 წლის იაპონელები აღნიშნავდნენ სრულწლოვანების დღეს, რაც ბავშვობიდან დიდ ცხოვრებაში გადასვლას ნიშნავდა.

ამ ასაკიდან ამომავალი მზის ქვეყნის ახალგაზრდებს ნება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, დალიონ და მოწიონ. ეს ტრადიცია იაპონიაში ჯერ კიდევ VII საუკუნეში დაფუძნდა.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# ამერიკის ზესაიდუმლო იარაღი

**ყოველი ომის დროს გამოჩნდება ხოლმე რაღაც ახალი საიდუმლო იარაღი. ავღანეთში ეს იყო Predator უპილოტო თვითმფრინავი, რომელიც შეუმჩნევლად დაფრინავდა ბრძოლის ველის თავზე. მერე კი, მოწინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელად, ესროდა Hellfire რაკეტას მტრის ობიექტს.**

სპარსეთის ომის წლებში გაიარა გამოცდა მაღალი სიზუსტის იარღმა. ვიეტნამში დაიწყო შვეულმფრინების ეპოქა. მეორე მსოფლიო ომმა მოიტანა ბირთვული იარაღის საშინელება. პირველი მსოფლიო ომის დროს გაჩნდნენ ტანკები. ხოლო სპარსეთის ყურის მეორე ომში შეიძლება გამოიყენონ დიდი სიძლიერის ელექტრონული იარაღი (ღსი).

– ღსი ეს არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც სამიზნესთან მიაქვს ფრთოსანი რაკეტებით. შესაძლოა, სწორედ ეს იარაღი გამოიყენონ სადამ ჰუსეინის ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის მარაგის გასანადგურებლად. ელექტრონული იარაღი ანადგურებს კომპიუტერებსა და ელექტრონულ სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამგვარი შეიარაღების წარმოებას, დაცვას, შენახვას და მიტანას. მძლავრ ელექტრომაგნიტურ იმპულსებს შეუძლიათ, შეაღწიონ მიწისქვეშა ბუნკერებში სავენტილაციო შახტების, ანტენების, მილსადენების მეშვეობით. ჩვეულებრივი ფეთქებადი ყუმბარებისაგან განსხვავებით, ღსი ჰაერში არ გამოჰყოფს საშიშ აგენტებს, რომლებმაც შეიძლება, მოწამლონ ერაყის მოქალაქენი ან აშშ ჯარისკაცები.



მიკროტალღოვანი იარაღის დამუშავება მკაცრად არის გასაიდუმლოებული და თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს მხოლოდ იმას, რომ ერაყში შეიძლება, გამოიყენონ ახალი საიდუმლო იარაღი. თუმცა ინფორმაცია ღსი-ს შესახებ მაინც გავიდა პრესაში.

ღსი ახდენს ორი მილიარდი ვატი სიმძლავრის ელექტრული იმპულსის გენერირებას. ასეთი რაოდენობის ელექტროენერგიას საშუალო ელსადგური 24 საათის განმავლობაში გამოიმუშავებს. რაკეტის ბორტზე განლაგებული კონდენსატორები წარმოშობენ ელექტრომაგნიტურ იმპულსს, რომელიც სინათლის სხივის სიჩქარით მოძრაობს ობიექტის მიმართულებით. იარაღი მოქმედებს ყოველგვარ ამინდში. იმპულსი იწვევს შიდა ელექტრული ქსელების შერთვას, რითაც ანადგურებს კომპიუტერის მეხსიერებას. ასეთი რამ შეიძლება, მოუვიდეს თქვენს კომპიუტერს ან ტელევიზორს, თუ სახლის გვერდით მეხი დაეცემა.

პენტაგონს არ უყვარს ექსპერიმენტული იარაღის საბრძოლო პირობებში გამოცდა, მაგრამ „დროდადრო სიტუაცია მსოფლიოში გავლენას ახდენს ამ პროცესზე, – ამბობს თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი – და ამ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ის, რაც ჯერ მხოლოდ შემუშავების სტადიაშია“.



# ვენესუელის აქცია «კოკა-კოლას» საწარმოში შეიჭრა

**ვენესუელის ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფებმა კონტროლი დაუწესეს გამაგრილებელი სასმელების ჩამომსხმელ საწარმოს, აგრეთვე ლუდის საწყობს.**

ეროვნულმა გვარდიელებმა ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით გარეკეს თვენახევრის წინათ დაწყებული გაფიცვის მონაწილეთა ჯგუფი, რომლებიც შეეცადნენ, არ შეეშვათ სამხედროები ფირმა Panamco-ს ქარხნის ტერიტორიაზე.

ჯარისკაცებმა ქარხნის ტერიტორიიდან გაიტანეს რამდენიმე ფურგონი, რომლებსაც „კოკა-კოლას“ ლოგოტიპი ამშვენებდა. შემდეგ შეცვივდნენ მეორე კომპანიის – ლუდისა და სურსათ-სანოვაგის საწყობში და მენეჯერები ქუჩაში გამოყარეს.

სასმელებისა და სურსათის მწარმოებელთა წინააღმდეგ მიმართული ეს აქციები პირველი აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი დაიმუქრა, რომ შეიარაღებული ძალის მეშვეობით მოუღებს ბოლოს სურსათის ნაკლებობას.

* * *

სამხედროებმა ნაალაფევი სასმელები ხალხს დაურიგეს. „ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ კოლექტიური უფლება ინდივიდუალურზე უფრო მაღლა დგას, და ეს პროდუქტები მოსახლეობას დავურიგეთო“, – განაცხადა ეროვნული გვარდიის სარდალმა, გენერალმა აკოსტა კარლოსმა, რომელიც პრეზიდენტ ჩავესის ერთგულ თანამოსაგრედ ითვლება.

„ეს ყველაფერი ხალხისთვის გვინდა“, – განაცხადა გენერალმა აკოსტამ, რომელსაც ადგილობრივი ჟურნალისტები რემბოს უწოდებენ, და პირდაპირ ბოთლიდან მოიყუდა ლუდი. ამის შემდეგ კი ზედ ტელეკამერის ობიექტივში დააბოყინა, იუწყებიან როიტერისა და ასოშიეიტედ პრესის სააგენტოები.

ეროვნული გვარდიელების მოქმედებამ გააშმაგა ოპოზიციის მოღვაწენი, რომლებიც სათავეში უდგანან საერთო ეროვნულ გაფიცვას, რათა აიძულონ ჩავესი, გადადგეს, და დაინიშნოს ვენესუელის პრეზიდენტის ახალი არჩევნები.

* * *

წინა კვირას, ამერიკის რამდენიმე სახელმწიფომ, მათ შორის, შეერთებულმა შტატებმა, მექსიკამ, ბრაზილიამ, ჩილემ, აგრეთვე ესპანეთმა, შექმნეს ორგანიზაცია სახელწოდებით „ვენესუელის მეგობართა ჯგუფი“, რომლის მიზანია, როგორმე შეწყვიტონ გაფიცვა, ჩიხში რომ მოაქცია ქვეყნის ეკონომიკა და მისი მთავარი დარგი – ნავთობმოპოვება.

ჩავესმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ არ მიიღებს არავითარ შეზღუდვებს „მეგობრებისაგან“ და გააფრთხილა ისინი, ნუ ეცდებიან ვენესუელის ოპოზიციის ლეგიტიმიზაციას. ვენესუელის პრეზიდენტის თქმით, მისი მთავრობა – ეს არის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უპირისპირდება „ფაშისტებს, ტერორისტებსა და შეთქმულებს“.

# მოსკოვში გიგანტური სხივური ნაძვისხე აღიმართება

**მომავალ ზამთარს მოსკოვში გაჩნდება ყველაზე დიდი ნაძვისხე მთელ დედამიწის ზურგზე, რომლის სიმაღლე 80 მეტრს მიაღწევს. ოღონდ, მისი ტოტები ნამდვილი კი არ იქნება, არამედ სინათლის სხივებით მოიქარგება.**

ამჯერად, „რუსულმა მასშტაბმა“ მიიპყრო არა ადგილობრივი ხუროთმოძღვრების, არამედ გერმანელი პიროტექნიკოსისა და სინათლის დიზაინერის ჰერტ ჰოფის ყურადღება. გიგანტური ნაძვისხის შემქმნელი უკვე ცნობილია თავისი გრანდიოზული შოუ-დადგმებით მთელ მსოფლიოში.

თუმცა, როგორც თვით ჰერთ ჰოფმა აღიარა, მას უყვარს არა მარტო „მძიმე“ გერმანული მუსიკა, არამედ, აგრეთვე, სიმღერები ძველი საბჭოთა კინოფილმებიდან და გერმანული სამხედრო სიმღერები. საქმე ის არის, რომ პიროტექნიკოსი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშია დაბადებული და ჯერაც არ განელებია გულთბილი გრძნობები რუსეთის მიმართ.

სწორედ ამით ხსნის ჰოფი გადაწყვეტილებას, ააშენოს მსოფლიოში პირველი სინათლის ნაძვისხე არა ნიუ-იორკში, როგორც მას სთავაზობდნენ, არამედ მოსკოვში.

* * *

რაც შეეხება ყოფილ დასავლეთ გერმანიას, ჰოფს იგი დიდად არ ეხატება გულზე. ისე მოხდა, რომ სწორედ აქ, ქალაქ დორტმუნდში აყენებენ მსოფლიოში (ჯერჯერობით) ყველაზე მაღალ – 45-მეტრიან ნაძვისხეს. ახლა დორტმუნდის ნაძვისხემ უნდა დათმოს პირველობის პალმა.

ჰოფის ამბიციური პროექტის თანახმად, მოსკოვის ნაძვისხის სიმაღლემ უნდა შეადგინოს 80 მეტრი. და ეს მხოლოდ დასაწყისია.

გერმანელ პიროტექნიკოსს განზრახული აქვს, თავისი „შუქ-შოუ“ ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში დადგას მოსკოვში: ყოველ წელიწადს ნაძვისხე 20-25 მეტრით გაიზრდება, და, სპეციალისტის გეგმების თანახმად, 2008 წლისათვის „ხე“ სოლიდურ 205-მეტრიან ნაძვად გადაიქცევა.

თუ სად „იხარებს“ ეს ფანტასტიკური ხე, ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი. შესაძლოა, ეს გახდეს მანეჟის მოედანი.

მაგრამ ჰოფს დიდი იმედი აქვს, რომ თავისი პროექტის განსახორციელებლად წითელ მოედანს დაუთმობენ. მსოფლიოში ყველაზე დიდი „ნაძვისხე“ შეიქმნება 70 კილოვატამდე სიმძლავრის პროჟექტორების მეშვეობით. მას დაამშვენებს ათამდე მანათობელი ბურთი, ასევე – სინათლის სხივებისაგან „მოქსოვილი“ ბურთების მცირე რაოდენობას აანაზღაურებს შთამბეჭდავი სიდიდე – თითოეულის დიამეტრი ხუთი მეტრი იქნება და ბურთები დედამიწისგან 30 მეტრ სიმაღლეზე ჩამოეკიდება.

ვარაუდობენ, რომ ყოველივე ეს თითქმის იანვრის ბოლომდე ენთება, ხოლო საახალწლო შოუს დღეს ნაძვისხის ქვეშ აკიაფდება 250 მანათობელი სისტემა, რომლებიც 70 კილომეტრზე „გამსჭვალავენ ცას“.

ჯერჯერობით ორგანიზატორები პროექტის ღირებულებაზე არაფერს ამბობენ, და ჟურნალისტთა კითხვების პასუხად აცხადებენ, რომ თანხა, რაც დაჯდება ფანტასტიკური ნაძვისხე, მოსკოვის ხელისუფლებთან ჯერ არ განუხილავთ.

# ოთხფრთიანი დინოზავრები



**ახალხან ნაპოვნი ფრთოსანი დინოზავრების ნამარხი ნაშთები მეცნიერთა წინაშე აყენებენ ახალ კითხვებს, რომლებიც ფრინველთა წარმოშობას ეხება.**

ინდაურისოდენა არსებები დაახლოებით 130 მილიონი წლის წინათ ბინადრობდნენ ჩინეთში და იყენებდნენ ფრთებსა და გრძელ კუდებს ტოტიდან ტოტზე გადასაფრენად. ექვსი ნაპოვნი ინდივიდი წარმოადგენს დინოზავრების დღემდე უცნობ ოჯახს, რომელმაც, როგორც ჩანს, გარკვეული როლი შეასრულა ფრინველთა ევოლუციაში.

ისინი აღმოაჩინეს ლაონინის პროვინციაში, სადაც წინათაც არაერთგზის უპოვიათ ფრთოსანი დინოზავრების კარგად შემორჩენილი ნაშთები. აღმოჩენამ ააფორიაქა მეცნიერული სამყარო. ისინი განამტკიცებენ თეორიას, რომლის თანახმადაც ფრინველები გაჩდნენ მოლივლივე ოთხფრთიანი ხის ბინადრებისაგან.

ეს ვერსია პირველად გამოითქვა ჯერ კიდევ 1915 წელს და აი, პირველი დასტური. ახლა მეცნიერებს განზრახული აქვთ, ახლებური თვალით შეხედონ ყველაზე ადრეული ფრინველის, არქეოპტერიქსის ნამარხ ნაშთებს და დაადგინონ, ეტყობა თუ არა მას უკანა ფრთების კვალი.

# ბიჭების გაჩენა უფრო რთული ყოფილა

**ირლანდიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ქალებს, რომლებიც ბიჭებს აჩენენ, უფრო ხშირად ემართებათ გართულებები.**

„მძიმე მშობიარობის დროს ქალები რომ დავამშვიდოთ, ჩვენ ხშირად ვხუმრობთ ხოლმე, ალბათ, ბიჭიაო. მერე კი გადავწყვიტეთ, შეგვემოწმებინა, შეიცავდა თუ არა ეს ხუმრობა სიმართლეს“, – თქვა დუბლინის ეროვნული სამშობიარო სახლის აკუშერმა მევ იოგანმა.

მეცნიერებმა შეისწავლეს ამ საავადმყოფოში ოთხი წლის მანძილზე დაბადებული 8000 ჩვილი. დადგინდა, რომ ბიჭების დაბადებისას აკუშერებს 20 პროცენტით უფრო ხშირად უხდებოდათ ქირურგიული ჩარევა და 60 პროცენტით უფრო ხშირად –საკეისროს გაკეთება. ბიჭები მეტწილად მოუსვენრად იქცეოდნენ და ექიმები ხშირად ულებდნენ მათ სისხლის ანალიზს, რათა შეემოწმებინათ ჟანგბადის შემცველობის დონე.

„ჩვენ არ გვინდა ქალების შეშინება, მაგრამ ბიჭების გაჩენისას ქალებს შემთხვევების 71 პროცენტში არ აწუხებთ არავითარი გართულება. გოგონებისათვის ეს ციფრი 76 პროცენტს შეადგენს“, – ხაზი გაუსვა იოგანმა.

იგი ვარაუდობს, რომ მამრობითი სქესის ჩვილები უფრო უმწეონი არიან და უარესად იტანენ დაბადების სტრესს, გარდა ამისა, მათი თავის ზომა საშუალოდ აღემატება გოგონასას.

ეს ფაქტორები შეიძლება იყოს ხანგრძლივი მშობიარობის, ქირურგიული ჩარევის ან საკეისროს გაკეთების მიზეზი, მაგრამ ისინიც ვერ ხსნიან, რატომ აწუხებთ ბიჭებს უფრო ხშირად ინტრანატალური დისტრესი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**არჩილ მანჯგალაძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 27 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.15 მხ. ფილმი **"ბულის მეგობარი"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.05 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" 13.55 "ოქროს მართვე" 14.30 "საქართველო და გარესამყარო" 15.15 მხ. ფილმი **"ფარისევლობა"** 16.45 მულსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 17.10 "რამპა" 17.15 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.50 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.40 შეხვედრები ფიქრის გორაზე - კ. მახარაძე 22.05 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"ტაში ცალი ხელით"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.40 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ბულის საიდუმლოებანი"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 ჰერაკლე 19.30 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"წითელი კვალი"** მთ. როლებში მარკ დაკასკოსი, რუტგერ ხაუერი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. **"ბინძური ცეკვები - მხოლოდ ერთი გამოხედვა"** 1-ლი ნაწილი 10.20 მხ.ფ. **"ბინძური ცეკვები - მხოლოდ ერთი გამოხედვა"** მე-2 ნაწილი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"დროის მანქანა"** 22.30 "ბურთი მოედანი" 22.50 მხ.ფ. **"არგენტინელი ქალი ნიუ-იორკში"** 00.30 ღამის ფილმი

12.00 ინდური მხ. ფილმი **"როცა მარტო რჩები"** 15.00 მხ. ფილმი **"ფლიუკი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მოჩვენება და ბნელეთი"** 19.20 სპექტრი 21.00 მუსიკა 21.30 მხ. ფილმი **"მართალი ტყუილი"**

08.00 ტოროლა 11.00 გან. ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"სამთა ტანგო"** 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პოლიტპაპარაცი 23.00 უცნობი 00.00 ფილმი ბრავო **"ადამიანი ფარვანა"** 01.45 ფილმი ღამურა **"ჭკუა ვასწავლოთ მისის ტინგლს"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00, 11.05, 16.15, 18.50, 21.50, 23.45, 01.50 მუსიკა 10.20 ქართული მხ. ფილმი **"კიბე"** 11.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 12.00 მხ. ფილმი **"ისტორია ღამღამობით იქმნება"** 13.35 მულტფილმი "პატარა დედოფალი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 მხ. ფილმი **"ამრევი ქალი"** 16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება" 88-ე ნაწილი 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 59-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-7 სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 101-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" მე-6 სერია 22.00 მხ.ფ. **"დედამ ჯარისკაცის ჩექმა ჩაიცვა"** მთ. როლში ბარბარა იდენი 00.20 მხ.ფ. **"მთავარი ეჭვმიტანილი"** მთ. როლში უილიამ ბოლდუინი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 მუსიკა 10.00 საბავშვო ფილმი **"სამი ნინძა"** 12.10 მელოდრამა **"გაიტანეთ, ჯო ბლეკი"** 16.15 მულტფილმი "კატა ლეოპოლდი" 17.40 კომედია **"დიდი ტურნე"** 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 20.00 სათავგადასავლო დრამა **"ჯილაგი"** 1 სერია 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 "ალტერნატივა" 01.30 კრიმინალური მელოდრამა **"ალისა"** 03.30 მხატვრული ფილმი **"აფიორა"**

## სამშაბათი
### 28 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.10 მხ. ფილმი **"ტაში ცალი ხელით"** 11.45 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.05 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 14.00 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი **"ქალწულების თვითმკვლელობა"** 16.50 "სჯობს სახელისა მოხვეჭა" 17.15 ტელევიზიის ოქროს ფონდიდან - "პეპო" 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 22.15 "ჩვენი ფეხბურთი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი **"შეხვედრების ადგილი უცვლელია"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 ასპარეზი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"შეხვედრის ადგილი უცვლელია"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.45 ჰერაკლე 19.05 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 19.30 პერეკროსტოკი 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"მაქსი ჩემი სიყვარული"** მთ. როლებში შარლოტა რემპლინგი, ენტონი ჰოპკინსი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.50, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 "ბურთი და მოედანი" 09.50 მხ. ფილმი **"დროის მანქანა"** 10.30 დოკ. ფილმი 11.00 მხ.ფ. **"არგენტინელი ქალი ნიუ-იორკში"** 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. **"ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ"** 22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი **"ყვირილი"** 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"მართალი ტყუილი"** 15.00 მხ. ფილმი **"სამი სურვილი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"დიდიე"** 19.20 სპექტრი 21.00 დოკ. ფილმი 21.50 მხ. ფილმი **"სახის გარეშე"**

08.00 ტოროლა 11.00 გან. უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"დუბლიორი"** 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მოკლე სეანსი 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"ფსკერზე"** 01.45 ფილმი ღამურა **"ჰელოუინი"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 12.50 მხ. ფილმი **"დედამ ჯარისკაცის ჩექმა ჩაიცვა"** 14.45 მხ. ფილმი **"მთავარი ეჭვმიტანილი"** 16.20, 19.50, 23.50, 02.20 მუსიკა 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 89-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-60 სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-8 სერია 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "ოქროს სამი საუკუნე" 21.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" მე-7 სერია 21.50 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური", "ჰავანის ძველი ქალაქი კუბა" 22.05 მხ. ფილმი **"მკვლელის წერილები"** მთ. როლში პატრიკ სვეიზი 00.20 მხ. ფილმი **"ურტყი ძვალში"** მთ. როლებში ვუდი ჰარელსონი, ანტონიო ბანდერასი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 მუსიკა 10.00 საბავშვო ფილმი **"არასასიამოვნო თავგადასავლები მაიმუნებთან"** 12.15 კომედია **"რა მოუვა ბოზს"** 13.50 მხატვრული ფილმი **"აფიორა"** 16.15 მულტფილმი "სასწაულებრივი გადარჩენა" 17.20 კომედია **"სამი ძებნილი"** 19.20, 23.05, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 «Ïðåññ-ïàïüå» 19.30, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 20.00 სათავგადასავლო დრამა **"ჯილაგი"** 2 სერია 22.50 «Ïðåññ-ïàïüå» 23.00 "გალერეა" 23.10, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.15, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 01.10 ისტორიული ფილმი **"ლეგენდა ენეოსზე"** 03.30 დრამა **"ცირკი დაიწვა, ჯამბაზები გაიფანტნენ"**

## ოთხშაბათი
### 29 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.10 მხ. ფილმი **"შეხვედრების ადგილი უცვლელია"** 11.30 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.05 დოკ. ფილმი "კომფლიქტები ბუნებაში" 14.10 ქართული ენის გაკვეთილი 14.35 "ზღვარი" 15.15 მხ. ფილმი **"ბიჭები არ ტირიან"** მთ. როლებში ჰილარი სუონკი, კლონ სევინი 16.50 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაკრძალი" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.50 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"განყენების მომენტი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 და არს მუსიკა 21.00 დიდი დასვენება 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"მკვდარ ზონაში"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 ჰერაკლე 19.30 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"საეჭვო სიყვარული"** მთ. როლებში ანი ჟერარდო, ბიბი ანდერსონი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი **"ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ"** 10.20 მხ.ფ. **"ყვირილი"** 12.20 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი (განმეორებით) 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. **"უცნობი ქალის საიდუმლო"** 1-ლი სერია 22.15 მხ.ფ. **"უცნობი ქალის საიდუმლო"** მე-2 სერია 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"სახის გარეშე"** 15.00 მხ. ფილმი **"მოჩვენება"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"დიდი ბიზნესი"** 22.30 მხ. ფილმი **"აფეთქება"**

08.00 ტოროლა 11.00 გან. რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ფული წყვეტავს ყველაფერს"** 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პა-სეანსი 23.00 ჩაძირობანა 00.00 ფილმი ბრავო **"სამი იქსი"** 01.45 ფილმი ღამურა **"ჰელოუინი: ოცი წლის შემდეგ"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 12.50 მხ. ფილმი **"მკვლელის წერილები"** 14.45 მხ. ფილმი **"ურტყი ძვალში"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 90-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 61-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-9 სერია 18.50, 19.50, 21.50, 23.45, 01.55 მუსიკა 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 103-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "რევოლუცია" 21.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" მე-8 სერია 22.05 მხ. ფილმი **"მადა"** მთ. როლებში იუდ დემბერი, კრისტერ ენ ჰოლდი 00.20 მხ. ფილმი **"წითელი აგენტი"** მთ. როლში დოლფ რუნგრენი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.15 "გალერეა" 09.35 მუსიკა 10.00 ისტორიული ფილმი **"ლეგენდა ენეოსზე"** 12.15 მელოდრამა **"ცეკვები ლუნაზის დროს"** 13.45 კომედია **"მწვანე პასპორტი"** 16.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 17.20 თრილერი **"მემკვიდრეობა"** 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.40, 23.00, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.50 კომედია **"სრული გამართლება"** 22.50 " პრესდაიჯესტი" 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.20 "ალტერნატივა" 01.10 დრამა **"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"** 03.30 მელროდრამა **"მელვინეთა წესები"**

## ხუთშაბათი
### 30 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.15 მხ. ფილმი **"განყენების მომენტში"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 დოკ. ფილმი "კომფლიქტები ბუნებაში" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 "თბილისი და თბილისელები" 15.15 მხ. ფილმი **"ბუნების შვილები"** მთ. როლებში ჟაკ ვალიერი, მიშელ სერო 17.10 "მიწის პროექტი საქართველოში" 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (კუბა) 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 21.45 "მიამბეთ თქვენზე" - ე. შენგელაია 22.30 "საქართველო არის ესე" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი **"დანაშაულის გენეალოგია"** მთ. როლებში კატრინ დენევი, მიშელ პიკოლი 01.45 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი **"აფრიკელი"**

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 ჰერაკლე 19.30 სერიალი **"მედისონის სკოლა"** 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი **"თეგერანი 43"** მთ. როლში ალენ დელონი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 21.55, 23.50, 01.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ.ფ. **"უცნობი ქალის საიდუმლო"** 1-ლი სერია 10.20 მხ.ფ. **"უცნობი ქალის საიმუდლო"** მე-2 სერია 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.30 მხ.ფ. **"განგსტერები"** 23.55 მხ.ფ. **"ოჰ, ეს მშვენიერი ნიმფები"** 01.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"დიდი ბიზნესი"** 13.30 მხ. ფილმი **"აფეთქება"** 15.00 მხ. ფილმი **"ვარსკვლავური დესანტი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"მაიკლი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"სულელები"** 22.30 მხ. ფილმი **"უკვდავენი"**

08.00 ტოროლა 11.00 გან. ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი **"ლამაზმანი"** 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 ქართული მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"გოსფორდ პარკი"** 01.45 ფილმი ღამურა **"ჰელოუინი: აღდგომა"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 12.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 12.50 მხ. ფილმი **"წითელი აგენტი"** 14.20, 18.50, 19.50, 21.40, 23.50, 02.15 მუსიკა 14.45 მხ. ფილმი **"მადა"** 16.30 მულტფილმი "სინდბადი" 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 62-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-10 სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 104-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "ფერთა ანაბეჭდი" 21.00 დოკ. ფილმი "დილდის ფსალმუნი" 22.10 მხ. ფილმი **"პირველი ცხრანახევარი კვირა"** მთ. როლებში პოლ მერკურიო, ლარა ბელარიჯ 00.20 მხ. ფილმი **"გენერალი"** მთ. როლებში ბრენდან გლისონი, ადრიან ლამბასი

08.00, 12.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 008.40 მუსიკა 09.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.20 კომედია **"მე ვერ ვლაპარაკობ ინგლისურად"** 10.50 ერთი მსახიობის თეატრი. სპექტაკლი "მონატრება" 12.10 მელორდრამა **"პონეტი"** 13.50 მხატვრული ფილმი **"მკვლელები"** 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "ძაღლები ლას-ვეგასიდან" 17.25 კომედია **"ოპერაცია "ი" და შურიკის სხვა თავგადასავლები"** 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 "პირისპირ" 20.25 სათავგადასავლო ფილმი **"ახალი საჰაერო თავგადასავლები"** 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 დოკუმენტური ფილმი 01.10 ისტორიული ფილმი **"ციმბირელი დალაქი"** 1 სერია 03.30 მხატვრული ფილმი **"ქალბატონის პორტრეტი"**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პარასკევი
### 31 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.10 მხ. ფილმი "**დანაშაულის გენეალოგია**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 13.05 დოკ. ფილმი "კონფლიქტები ბუნებაში" 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი "**ექვსი**" მთ. როლებში კიარა მასტროიანი, ფრედერიკ დიეფენტალი 17.10 50-50 17.45 "ზუმი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ენა დედაა ერისა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 21.50 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 22.15 "სათავეებთან" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "**ტრამვაი მალვაროში**"

---

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "**სიყვარული გერმანიაში**"

---

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 ჰერაკლე 19.30 სერიალი "**მედისონის სკოლა**" 20.05 სერიალი "**მაცდური სიყვარული**" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "**დაბოლილები**" მთ. როლებში ტომი ჩონგი, ჩიჩ მარინი 02.30 მხ. ფილმი "**ვარსკვლავეთის ომები**" მთ. როლებში ევან მაკგრეგორი, ნატალი პორტმანი 04.30 კლასიკა

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "**განგსტერები**" 10.20 მხ. ფილმი "**ოჰ, ეს მშვენიერი ნიმფები**" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "**უკანასკნელ მომენტში**" 22.30 მხ.ფ. "**მხედარი გვიახლოვდება**" 00.30 ღამის ფილმი

---

12.00 მხ. ფილმი "**სულელები**" 13.30 მხ. ფილმი "**უკვდავნი**" 15.00 მხ. ფილმი "**პრეზიდენტის თვითმფრინავი**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**მოასწრო გახსენება**" 19.20 სპექტრი 21.00 მუსიკა 21.50 მხ. ფილმი "**რობინ ჰუდი**"

---

08.00 ტოროლა 11.00 გან. მიქსი მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**შენ სულელი ხარ!**" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 პაპარაცი 22.45 პა-სეანსი 23.00 აბა გამოიცანი კინო 00.00 ფილმი ბრავო "**მკვლელობების ათვლა**" 01.45 ფილმი ღამურა "**საყვედური**" 03.45 პაუზის გარეშე

---

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 დოკ. ფილმი "დილის ფსალმუნი" 12.50 მხ. ფილმი "**შერგარი**" 14.25, 18.50, 19.50, 21.50, 23.50, 01.55 მუსიკა 14.45 მხ. ფილმი "**გენერალი**" 16.45 მულტფილმი "პინოქიო" 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 63-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-11 სერია 19.00 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 105-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "ახალი თვალებით" 21.00 დოკ. ფილმი "ლიონი ერთი ქალაქის პადედე" 22.05 მხ. ფილმი "**ნიანგი**" მთ. როლებში მარკ მაკლაუჰლენი, ქეთლინ მარტინი 00.20 მხ. ფილმი "**დარტყმის ზონა**" მთ. როლებში ფრენკ ზაგარინი, ჯო ლარა

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.20 კომედია "**შეშლილი პროფესორი-2**" 11.05 დოკუმენტური ფილმი 12.10 სათავგადასავლო ფილმი "**ვულკანი**" 13.45 მელოდრამა "**ელენია**" 16.10, 19.40, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "ჯადოსნური ბეჭედი" 17.15 კომედია "**მისტერ პონკონგი**" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 «Ïðåññ-êëóá» 19.50 დრამა "**ტელევიქტორინა**" 22.50 «Ïðåññ-êëóá» 23.00 "გალერეა" 23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.15, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.20 "ალტერნატივა" 01.10 ისტორიული ფილმი "**ციმბირელი დალაქი**" 2 სერია 03.30 მხატვრული ფილმი "**იდუმალების საფარქვეშ**"

## შაბათი
### 1 თებერვალი

08.00, 15.00, 20.00, 23.25 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "**ტრამვაი მალვაროში**" 10.00 დილის პაემანი 11.00 "ლატარია ყველასათვის" 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 "საკვირაო გამოფენა" 11.55 გლობუსი 12.25 მეტრო 13.00 კვალი 13.30 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი "**შაუნცი**" 16.35 საწინდარი 17.00 თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში (პირდაპირი რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან) 18.20 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.40 "ფორტუნა" 21.15 სერიალი "**ქალთა სავანე**" 22.05 კონცერტი (პივი ელისი) 23.40 მხ. ფილმი "**პარფიუმი**" მთ. როლებში ჯეფ გოლდბლუმი, რიტა უილსონი 01.25 ღამის ჯაზი

---

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჯემი 22.00 მხ. ფილმი "**სამანტა**"

---

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "**ათასწლეული**" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.45 მხ.ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 00.00 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 18.45 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 19.15 ჯეოსელის ლატარია 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 **კურიერი** P.S. 22.00 **ფსიქო**. მხ.ფ. "**ბატონ იულოს არდადეგები**" 00.15 მხ.ფ. "**მე სემი ვარ**" მთ. როლებში შონ პენი, მიშელ პფაიფერი 02.15 ღამის ჯაზი

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "**უკანასკნელ მომენტში**" 10.20 მხ. ფილმი "**მხედარი გვიახლოვდება**" 13.10, 18.00, 19.30 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 22.30 მხ.ფ. "**მკვლელობების ათვლა**" 23.00 მხ.ფ. "**პელოუნი**" 00.40 ღამის ფილმი

---

12.00 მხ. ფილმი "**რობინ ჰუდი**" 14.20 მხ. ფილმი "**რომეო და ჯულიეტა**" 16.00 მხ. ფილმი "**ზოროს ნიღაბი**" 18.00 მუსიკა 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მხ. ფილმი "**უჩინარი**" 23.40 მხ. ფილმი "**საცდელი დღე**" 00.20 მხ. ფილმი "**ყბები**"

---

09.00 გან. რუსული მუსათეული 10.00 ტოროლა 13.00 გან. უცნობი 14.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი**" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკეთესო ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "**განგსტერები**" 01.45 ფილმი ღამურა "**ალი**" 03.45 პაუზის გარეშე

---

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი "**მოჯადოება**" 12.00 დოკ. ფილმი "ლიონი ერთი ქალაქის პადედე" 12.50 მხ. ფილმი "**ნიანგი**" 14.45 მხ. ფილმი "**დარტყმის ზონა**" 16.20, 18.50, 21.50, 23.50, 02.05 მუსიკა 16.35 მულტფილმი "გულივერის მოგზაურობა" 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 64-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-12 სერია 19.00 მუს. დოკ. ფილმი "ქისების მეორედ მოსვლა" 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "დასრულებული ისტორია" 21.00 მხ. სერიალი "**რაც გინდა აკეთე**" მე-3 სერია 22.10 კლუბი ყაზბეგი: 1. მხ. ფილმი "**იპოვე და გაანადგურე**" მთ. როლში როზანა არკეტი 2. მხ. ფილმი "**ორეული**" მთ. როლში ჟან კლოდ ვანდამი 3. მხ. ფილმი "**მსხვერპლშეწირვა**" მთ. როლში მაიკლ მედსენი 00.20 მხ. ფილმი "**ქარის ცხენი**" მთ. როლებში დადონი, იამპა კოლკონგი

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.20 "გალერეა" 09.25 სათავგადასავლო ფილმი "**მალაზიელი მეკობრეები**" 11.05 მულტსერიალი 12.10 კომედია "**გაიცანით უილი სპარკსი**" 14.10 მხატვრული ფილმი "**ჩვენ ანგელოზები არა ვართ**" 16.10 მულტფილმი "ლედი და მაწანწალა" 17.25 მხატვრული ფილმი "**შეთქმულება თეთრ სახლში**" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.40 "ყველანი ვართ პატარები" 19.50 მხატვრული ფილმი "**მარტივი გეგმა**" 22.50 "პრესდაიჯესტი" 23.00 «Ñëîâî» 00.50 მხატვრული ფილმი "**44-ის აგვისტოში**" 03.30 მელოდრამა "**საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა**" 1 სერია

## კვირა
### 2 თებერვალი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "**პარფიუმი**" 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.20 მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი "ჯაყოს ხიზნები" 17.00 თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში (პირდაპირი რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან) 18.20 ტაიმ-აუტი 18.35 დოკ. ფილმი "გაბრიელ შანელი" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 ტელესერიალი "**ქალები ზღვისპირეთში**" 22.15 "ბენი ჰილი" 22.45 ქართ. მხ. ფილმი "**ანგელოზის გადაფრენა**" 00.15 ტაიმ-აუტი 00.45 მხ. ფილმი "**საბოტაჟი**" მთ. როლებში სტივენ ფრაი, დევიდ სუშე

---

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 ტალანტები და თაყვანისმცემლები 20.00 საქართველოს მატიანე 21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე 21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი "**დიანა გულის მეგობარი**"

---

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "**ათასწლეული**" 11.50 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 14.35 ველური ბუნება 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 00.40 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 18.45 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 19.15 ველური ბუნება 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 60 წუთი 22.25 ჩვენი ეზო 22.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "**ედი**" 8 77 45-79-25 ვუპი გოლდბერგი, ფრენკ ლანჯელა, "**სუპერმენი**" 8 77 45-79-26, მარლონ ბრანდო, ჯინ ჰეკმანი, "**ნელი**" 8 77 45-79-27 ჯოდი ფოსტერი, ლიემ ნისონი 00.50 მხ.ფ. "**ენიგმა**" მთ. როლებში ქეით უინსლეტი, ჯერემი ნორტონი 03.00 კლასიკა.

---

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი "**მკვლელობის ათვლა**" 10.20 მხ.ფ. "**პელოუნი**" 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "**ერთხელ ამერიკაში**" 1-ლი ნაწილი 22.00 ტელესინე-ვიდეო 23.00 მხ.ფ. "**ერთხელ ამერიკაში**" მე-2 ნაწილი 00.50 ღამის ფილმი

---

12.00 მხ. ფილმი "**უჩინარი**" 13.45 მხ. ფილმი "**საცდელი დღე**" 15.45 მხ. ფილმი "**ქარბორბალა**" 18.00 ჯაზ-პარნასი 19.00 ინდ. მხ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი "**უძილობა**" 00.20 მხ. ფილმი "**გზაჯვარედინი**"

---

10.00 ტოროლა 13.00 გან. უცხოური მუსათეული 14.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "**სამართლიანი დადლი**" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკეთესო ხულიგნები 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "**40 დღე და 40 ღამე**" 01.45 ფილმი ღამურა "**მტრის ზურგში**" 03.45 პაუზის გარეშე

---

10.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-6 სერია 11.10 მხ. ფილმი "**ქარის ცხენი**" 12.50, 15.00, 18.00, 19.10, 20.50, 21.55, 00.00, 01.45 მუსიკა 13.00 მუს. დოკ. ფილმი "ქისების მეორედ მოსვლა" 14.00 დოკ. ფილმი "ღვინის გზები" 14.30 გადაცემა "რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" 15.25 მხ. სერიალი "**რაც გინდა აკეთე**" მე-3 სერია 16.20 მხ. ფილმი "**ქარის ცხენი**" 18.20 მულტფილმი "ცეროდენა და ნამცეცა" 19.30 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 ქართ. მხ. ფილმი "**ცოდვის შვილები**" 21.00 მხ. სერიალი "**რაც გინდა აკეთე**" მე-4 სერია 22.05 მხ. ფილმი "**სისხლიანი დანაშაული**" მთ. როლში რობ ლოუ 00.20 მხ.ფილმი "**სისხლიანი დანაშაული**" მთ. როლებში ელმუს ლავი, ავიტელ დიკესი

---

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.30 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, საინფორმაციო გამოშვება 09.15 "ყველანი ვართ პატარები" 09.30 მულტსერიალი 10.00 სათავგადასავლო ფილმი "**ჯორჯის კუნძული**" 11.25 «Ñëîâî» 12.15 ისტორიული ფიომი "**ხავერდოვანი საგა**" 14.20 კომედია "**ბანზაი**" 16.15 მულტფილმი 17.10 ფანტასტიკა "**მებრძოლის გული**" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 20.20 მელოდრამა "დათვური ამბორი" 22.30 «Íîâîñòè â âîñêðåñåíüå» 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 «Íîâîñòè â âîñêðåñåíüå» 01.00 მელოდრამა "**მერილინი და მე**" 03.30 მელოდრამა "**ნამდვილი დანაშაული**"

## თეატრები



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

30.01 (18.00) ა. გარნეი "**სასიყვარულო ბარათები**". დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.
31.01 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი "**ნატაძრალი**". დამდგმელი რეჟისორი - ნუკრი ქანთარია.
*2-7 ლარი.*

**თავისუფალი თეატრი**
მეტრო "თავისუფლების მოედნის" უკან.
ტელ: 93-11-06

29.01, 30.01 (19.00) დათო ტურაშვილი "**ჯინსების თაობა**". დამდგმელი რეჟისორი - დათო დოიაშვილი.
31.01 (19.00) ავთანდილ ვარსიმაშვილი "**პროვოკაცია**". დამდგმელი რეჟისორი - ავთანდილ ვარსიმაშვილი.
01.02, 02.02 (14.00) საბავშვო ზღაპარი "**ყველაზე დიდი სასწაული**".
01.02 (19.00) კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი. ლუი დე პირანდელო "**ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი**". დამდგმელი რეჟისორი - გიორგი მარგველაშვილი.
*ფასი 5 ლარი.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

28.01, 29.01 (20.00) პრემიერა. სამუელ ბეკეტი "**გოდოს მოლოდინში**". დამდგმელი რეჟისორი - ნიკა კიკაჩეიშვილი.
30.01 (20.00) ალექსი ოსტროვსკი "**ბალზამინოვის ქორწინება**". დამდგმელი რეჟისორი - ნინო ლიპარტიანი.
31.01 (20.00) ნინო ბასილია "**თამბვი**". დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.
01.02 (20.00) დათო ტურაშვილი "**მონო-მანია**". დამდგმელი რეჟისორი - ლილი ბურბუთაშვილი.
02.02 (20.00) თეოდორ დოსტოევსკი "**სასაცილო კაცის სიზმარი**". (რუსულ ენაზე). დამდგმელი რეჟისორი - შალვა კიკვაძე.
*ფასი 5 ლარი.*



**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
ვ. ანჯაფარიძის ქ. 16 ტ. 22-13-38

29.01 (18.00) თამაზ ბაძაღუა "**ღამე და თუთიყუში**". კითხულობს _ დუტა სხირტლაძე.
30.01 (18.00) "**ხმა იდუმალი**". კითხულობს ელდინო სალარაძე.

**ზღაპრის თეატრი**
აღმაშენებლის 136 ტ. 95-01-23

01.02, 02.02 (12.00) "**ნაცარქექია**", "**კონკია**", "**ფიფქია**", "**კომბლე**", "**პეპი გრძელიწინდა**", "**ჩექმებიანი კატა**", "**რწყილი და ჭიანჭველა**", "**დიდების ზღაპარი, ზღაპრის თეატრში**".

**პანტომიმის თეატრი**
რუსთაველის გამზ. 37. ტ. 98-25-

28.01 (18.000 ფაჟა-ფშაველა "**სტუმარ მასპინძელი**". დამდგმელი რეჟისორი - ამირან შალიკაშვილი.
31.01 (18.000 "**დუმილის პოეზია**". დამდგმელი რეჟისორი - ამირან შალიკაშვილი.

**თეატრი "ძველი სახლი"**
**თბილისის მუნიციპალური "მეტეხის თეატრი"**
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64

28.01 (18.00) აზიზ ნესინი "**მომკალ, მოკალი...**". დამდგმელი რეჟისორი - ლევან კუჭაიძე.
30.01 (18.00) თეოდოტ დოსტოევსკი "**იდიოტი**". დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.
31.01 (18.00) დავით კლდიაშვილი, რევაზ კდლიადშვილი "**როსტომ მანველიძე**". დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.
*ფასი 2,3,5 ლარი.*

**რეზო გაბრიაძის „თეატრის სტუდია"**
ტელ. 98-65-94

01.02, 02.02 (18.00) რეზო გაბრიაძე "**ჩემი გაზაფხულის შემოდგომა**". დამდგმელი რეჟისორი - რეზო გაბრიაძე.
*ფასი 2 ლარი.*

## კინო-თეატრები

**კინოთეატრი "ამირანი"**
მის: კოსტავას 36. ტ: 99-05-42

25.01 - 02.02 (10.30, 14.00, 17.30, 21.00) "**ზექდების მბრძანებელი - 2**"
*ფასი 10.30 - 5-6 ლარი*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ფეხბურთი

**ალაყაფის კარი შევაღე თუ არა, ყმაწვილების მხიარული ჟრიამული და ყიჟინა შემომეგება. მარცხნივ თუ მარჯვნივ სპორტულ ფორმებში გამოწყობილი ბიჭები დასდევდნენ ბურთს.**

**— პასი რატომ არ მომეცი?! — ოფლში გახვითქული შავტუხა ბიჭი უბრაზდება მეგობარს.**

**— კარში დაარტყი! — მეორე მოედანთან თავმოყრილი გულშემატკივრები ამხნევებენ ცეროდენა ფორვარდს.**

**— სისწრაფეს მოუმატე! — ეს უკვე მწვრთნელის განკარგულება მესმის...**

**ასეა ყოველდღე — დარშიც და ავდარშიც დილიდან შებინდებამდე არ წყდება აქ ჟრიამული.**

ნახევარი საუკუნეა, გრიგოლ გაგუას სახელობის საფეხბურთო სკოლა „ნორჩი დინამოელი“ (დირექტორი ოთარ გეგეჭკორი) ტყავის ბურთის ოსტატებს აფრთიანებს. ამ საქმეს მრავალი ცნობილი სპეციალისტი ემსახურება. მათ შორის ახალგაზრდებიც არიან. ერთ-ერთი გახლავთ **რევაზ ბარამიძე,** რომელიც მეშვიდე წელიწადია, აქ მწვრთნელად მუშაობს.

— ჯერ კიდევ ჭაბუკობისას მუხლის ტრავმა მივიღე და აქტიურ ფეხბურთს ჩამოვშორდი, — მითხრა რევაზ ბარამიძემ. — 35-ე საფეხბურთო სკოლაში სწავლისას საკმაო გამოცდილება მივიღე და გადავწყვიტე, იგი მოზარდებისთვის გამეზიარებინა. საბედნიეროდ, „ნორჩ დინამოელში“ მომეცა ამის საშუალება.

1996 წელს აქ რომ დავიწყე მუშაობა, 12 წლის ბიჭების ჯგუფი ჩამაბარეს. ექვსწლიან გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია — რამდენიმე ტურნირი მოვიგეთ, შარშან სკოლის დამთავრებამდე ჩემმა შეგირდებმა თბილისის ჩემპიონობა მოიპოვეს. მათგან ხუთი ფეხბურთელი ამჟამად კლუბ „ყაზბეგის“ შემადგენლობაში რეგიონული ლიგის პირველობაზე გამოდის, ირაკლი კობახიძე „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს, ილია შონია — „ვიტ ჯორჯიაში“, ორიც ზოოვეტშია. ედემ დგებუაძე ამსტერდამის „აიაქსის“ მეორე გუნდში ჩაირიცხა. მისი ძმა მუშაობს ჰოლანდიაში და მან წაიყვანა გასასინჯად. „აიაქსის“ ხელმძღვანელობას მოეწონა და საქმეც მოგვარდა.

**— ახლა რამდენი ჯგუფი გყავთ?**

— შარშან სექტემბერში 1995 წელს დაბადებულთა ერთი ჯგუფი ჩავიბარე, 1990-91 წლებში დაბადებულ ბიჭებს კი მეხუთე სეზონია, ვავარჯიშებ. რამდენიმე შეჯიბრებაში კარგად გამოვედით. შარშან „ნორჩი დინამოელის“ ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ტურნირი მოვიგეთ. ამჟამად ერთდროულად სერგო კოტრიკაძის და გურამ გაბისკირიას სახელობის ტურნირებში ვმონაწილეობთ, მეოთხედფინალშიც გავედით. თამაშები თებერვლიდან განახლდება. ამას წინათ ბაქოში ვიასპარეზეთ 1990 წლის 20 იანვარს დაღუპულ აზერბაიჯანელთა ხსოვნის ტურნირში. პირველობისთვის ჩვენთან ერთად აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის ათი გუნდი იბრძოდა. ქვეჯგუფში თურქებს 4:1 მოვუგეთ, ირანელებთან ფრედ (0:0) დავამთავრეთ შეხვედრა, სუმგაითის ნაკრები და ბაქოს ერთ-ერთი გუნდი ერთნაირი ანგარიშით — 10:0 დავამარცხეთ. ფინალი აზერბაიჯანის ნაკრებთან წავაგეთ — 0:4. თავის გასამართლებლად არ ვამბობ, მაგრამ მასპინძლებმა ასაკგადაცილებულ მოზრდილ ბიჭებს შეგვახვედრეს. ჩვენთვის ეს პირველი საერთაშორისო ასპარეზობა იყო და მეორე ადგილითაც კმაყოფილი ვართ.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ირაკლი გოგოხიამ დაიმსახურა, საუკეთესო ბომბარდირისა — 9 გატანილი გოლით — ირაკლი გურაბანიძემ. ბაქოელებმა გაზაფხულზე ქვეყნის პრეზიდენტის — ჰეიდარ ალიევის თასის გათამაშებაზე დაგვპატიჟეს. როსტოვიდანაც გვაქვს მიწვევა საერთაშორისო ტურნირზე. სათანადო სახსრები თუ მოვიძიეთ, ორივე შეჯიბრებაზე გავემგზავრებით.

**— სავარჯიშო პირობები როგორი გაქვთ?**

— სკოლის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რათა „ნორჩ დინამოელში“ მოვარჯიშე ყმაწვილებს საწვრთნელი პირობები გაუუმჯობესოს. ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლის ტერიტორიაზე კეთილმოეწყო 3 არასტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედანი, ერთიც — სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი სარბიელი ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე. გვაქვს, ასევე, ორი წიდისსაფარიანი მოედანი, ერთ-ერთის კეთილმოწყობა მიმდინარეობს და მალე მასზეც ხელოვნური საფარი დაიგება. ერთი სტანდარტული მოედანი ბალახისსაფარიანია, რომელზეც „ნორჩი დინამოელი“ რეგიონული ლიგის კალენდარულ მატჩებს მართავს. ჩვენი სკოლის გუნდი პირველი წრის შემდეგ ლიდერობს.

როგორც ხედავთ, მოედნების მხრივ საწუწუნო ნამდვილად არა გვაქვს. კვირაში ოთხ-ხუთჯერ ვვარჯიშობთ. ბიჭებიც მონდომებულნი არიან. მთავარია, დაფინანსება იქნეს და საერთაშორისო ტურნირებშიც თავს არ შევირცხვენთ.

*ინტერვიუს შემდეგ, კარს გამოცილებულს, კარგა ხნით გამომყვა ნორჩი ფეხბურთელების ყიჟინა და ტყავის ბურთის ხათქა-ხუთქის ხმა.*

*ასეა აქ ყოველდღე — დარში თუ ავდარში, დილიდან შემოღამებამდე: ვარჯიშობენ „ნორჩი დინამოელები“...*

dfh]bij,ty 3yjhxb lbyfvjtkt,b4



**ვაჟა დანელია.**

## მხოლოდ შედეგები

### ფეხბურთი

**დსთ ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ფინალი.** „შერიფი“ (მოლდოვა) — „სკონტო“ (ლატვია) 2:1.

**იტალია. XVIII ტური.** „კომო“ — „რომა“ 2:0, „მოდენა“ — „ატალანტა“ 0:2.

**ესპანეთი. XIX ტური.** „ატლეტიკო“ — „სოსიედადი“ 1:2.

**გერმანია. XVIII ტური.** „ჰერტა“ — „ბორუსია“ 2:1, „ჰანოვერი“ — „ჰამბურგი“ 2:2, „ჰანზა“ — „მიუნხენი“ 1:4, „ვერდერი“ — „ბილეფელდი“ 2:2, „ვოლფსბურგი“ — „შალკე“ 1:2, „ბოხუმი“ — „ნიურნბერგი“ 2:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „შტუტგარტი“ 1:2.

**პორტუგალია. XIX ტური.** „პორტუ“ — „ბოავიშტა“ 1:0, „სანტა კლარა“ — „სპორტინგი“ 0:1, „ლეირია“ — „მარიტიმუ“ 3:0, „აკადემიკა“ — „ბელენენსეში“ 2:1.

**ბელგია. XIX ტური.** „ლუვიე“ — „ლიერსი“ 0:3, „გენტი“ — „მუსკრონი“ 2:0, „მეხელენი“ — „ანდერლეხტი“ 0:2, „ბევერენი“ — „ბრიუგე“ 2:7, „ლომელი“ — „სენტტრუიდენი“ 1:3, „ვესტერლო“ — „მონსი“ 2:0.

### ჩოგბურთი

**ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ფინალი. ვაჟები.** ანდრე აგასი (აშშ) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:2, 6:2, 6:1.

### კალათბურთი

**ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.** ესპანეთი — საბერძნეთი 94:91, რუსეთი — იტალია 63:83, საფრანგეთი — ლატვია 96:78, ისრაელი — რუმინეთი 88:75, ბელგია — დანია 79:60, სლოვენია — ჩეხეთი 92:80, თურქეთი — ლიტვა 89:102, უკრაინა — ბულგარეთი 86:80, ჰოლანდია — შვეიცარია 74:82, ბოსნია-ირლანდია 94:77, მაკედონია — კვიპროსი 83:75, გერმანია — ხორვატეთი 81:73, ესტონეთი — უნგრეთი 88:75, პოლონეთი — ბელარუსი 68:70, ინგლისი — პორტუგალია 92:84.

## იმედი

# ჭადრაკი ყველაფერს ურჩევნია

**შარშან საბერძნეთში ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე სამტრედიელმა დავით ჯოჯუამ თოთხმეტწლიანთა პაექრობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საერთაშორისო სარბიელზე ეს მისი მესამე წარმატება იყო.**



### სადარბაზო ბარათი

**დაიბადა 1989 წლის 8 ივნისს. ამჟამად სამტრედიის III საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა. ექვსი წლისას ჭადრაკის თამაში მამამ — ჯონი ჯოჯუამ ასწავლა. კარგა ხანს ანზორ მაჩიტიძე ამეცადინებდა, რამდენიმე წელიწადია, ალეკო ბოკუჩავასთან ვარჯიშობს. შვიდი წლისამ ბაქოში ათწლიანთა საერთაშორისო ტურნირზე II ადგილი დაიკავა. ერთი წლის შემდეგ ანალოგიურ წარმატებას მიაღწია საქართველოს პირველობაზე. 1999 წელს ევროპელ თანატოლებთან პაექრობაში II-III ადგილები გაიყო ისრაელელ როტშტეინთან — უარესი კოეფიციენტით ბრინჯაოს მედალი ერგო.**

**2000 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა თორმეტწლიანებში, შარშანწინ III-IV ადგილები გაიყო, შარშან კი თოთხმეტწლიანებში ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ამავე ასაკში მსოფლიო პირველობაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მესამე იყო.**

— ოთხი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით მე და თორნიკე სანიკიძე დავწინაურდით. მეხუთე ტურში ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ყაიმზე შევთანხმდით. სლოვენიელმა ლუკა ლენიჩმა თავისი პარტია მოიგო და გაგვისწრო. მან ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა და 9 ქულით ჩემპიონიც გახდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა როჰიტი. ბოლო ტურში მაკედონიელი პანჩევსკი დავამარცხე და 8 ქულით მესამე ადგილი დავიკავე. შეჯიბრებისას გაცივდი და რამდენიმე ტური სიცხიანმა ვითამაშე, თორემ, შეიძლებოდა, უკეთესი შედეგიც მქონოდა.

**— წლევანდელ გეგმებზე რას იტყვი?**

— საქართველოს პირველობებზე გამოვალ რამდენიმე ასაკში, მსოფლიო და ევროპის პირველობებზეც ვიასპარეზებ. ვეცდები, უწინდელი შედეგები გავაუმჯობესო.

**— დათო, ჭადრაკის გარდა რა გიტაცებს?**

— ბავშვობისას ლოტოს და ნარდს ვეთამაშებოდი ოჯახის წევრებს, ახლა უფრო ფეხბურთისკენ მიმიწევს გული, ველოსიპედითაც ვსეირნობ, ვცდილობ, სწავლაშიც არ ჩამოვრჩე მეგობრებს, თუმცა, ჭადრაკი მაინც ყველაფერს მირჩევნია. შემიძლია, საათობით მივუჯდე საჭადრაკო დაფას...

*დავით ჯოჯუას მუყაითობის ამბავი კარგად იციან მისმა ახლობლებმა და მეგობრებმა, იციან მისი სწავლისადმი დამოკიდებულებაც. სხვათა შორის, დათომ სკოლაში შესვლამდე ისწავლა წერა-კითხვა. პირველ კლასში მხოლოდ ორი კვირა იარა. რადგანაც ბავშვს მთელი პროგრამა გაზუთხული ჰქონდა, სკოლის დირექტორმა სპეციალური კომისია მოიწვია და დათოც მეორე კლასში დასვეს.*

*მსოფლიო პრიზიორი ახალი ორთაბრძოლებისთვის მონდომებით ემზადება.*

**ვაჟა დანელია.**

## ცხოვრების ჯანსაღი წესი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად და... უჩვენოდაც

### შუახნისა და ხნიერი მამაკაცებისთვის

**საშუალო ასაკისა და ხნიერი ადამიანების უმრავლესობა, სამწუხაროდ, ნაკლებად მოძრავ ცხოვრებას ეწევა. ამას ხშირად ემატება თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების არც თუ იშვიათი გამოყენება, რასაც სხვადასხვა, კერძოდ, პროსტატის ჯირკვლის დაავადებამდე მივყავართ.**

ამ საკმაოდ მძიმე დაავადების პროფილაქტიკისათვის სპეციალისტებმა რამდენიმე ფიზიკური ვარჯიში შემოგვთავაზეს. კერძოდ, გაღვიძებისას, საწოლშივე სასარგებლოა ჩასუნთქვის შემდეგ სუნთქვის შეყოვნება და მთელი ტანის დაძაბვა. ამოსუნთქვისას — მოდუნება. უნდა გაიმეოროთ 2-3-ჯერ. დაახლოებით 1 წუთის განმავლობაში შეასრულეთ მუცლის მასაჟი საათის ისრის მიმართულებით.

ამის შემდეგ მიზანშეწონილია რამდენიმე მოძრაობის შესრულება ფეხებით: ერთდროულად და ცალ-ცალკე მუხლები მოხარეთ მკერდამდე, ასწიეთ გამართული ფეხები და შეასრულეთ მოძრაობები „ველოსიპედი“, „მაკრატელი“, აბრუნეთ ტერფები.

ისე, რომ ფეხები არ დაგიცურდეთ, მოხრილი ფეხებით ზურგიდანვე ტანი ასწიეთ 10-ჯერ.

სასარგებლოა ასეთი ვარჯიშიც: მუცელზე დაწოლილი, ხელებით დაეყრდენით იატაკს, მაღლა ასწიეთ თავი და გულმკერდი, შეხედეთ ჭერს და დააყოვნეთ. თავის მარჯვნივ და მარცხნივ მობრუნებისას შეხედეთ საკუთარ ფეხებს. გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

დადექით ჩოქბჯენში, დაეყრდენით ხელებს (თითებს), ამოძრავეთ უკანა ტანი სხვადასხვა მხარეს 16-20-ჯერ. იგივე გაიმეორეთ იდაყვებზე დაყრდნობილმა.

ადექით, გასწორდით. ტანი დახარეთ წინ, შემდეგ — განზე. მონაცვლეობით ხელებით მიიტანეთ მუხლები გულმკერდთან, ყოველი ვარჯიში შეასრულეთ 10-20-ჯერ, აგრეთვე, 30-50-ჯერ ჩაიმუხლეთ.

პროსტატის ჯირკვლის დაავადების პროფილაქტიკისთვის, სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებისთვის სასარგებლოა ასეთი ვარჯიშებიც: დგომში ხელები ჩაავლეთ სკამის საზურგეს, ოდნავ ჩაიმუხლეთ, დაძაბულად ამოძრავეთ უკანა ტანი სხვადასხვა მხარეს. ეს ვარჯიში უნდა შეასრულოთ რამდენჯერმე დღეში, 100-ჯერ მაინც. შესაძლოა ამ ვარჯიშის გართულება. ოდნავ ჩამუხლულ მდგომარეობაში მუხლები მონაცვლეობით გამოსწიეთ წინ, ამოძრავეთ უკანა ტანი მარცხნივ-მარჯვნივ, ამასთან, ფეხების მიდგმისას, ქუსლები უნდა გქონდეთ ერთად, უმოძრაოდ...

შეეცადეთ, ყოველთვის დაჯდეთ მაგარ სკამზე, იჯექით მხოლოდ დუნდულებით.

თუ თქვენ სირბილის (ძუნძულის) მოყვარული ხართ, შეგიძლიათ სპეციალური ვარჯიშების დრო შეამციროთ, რამეთუ სირბილი და სიარული მთელი ორგანიზმისთვის შესანიშნავი ფიზიკური ვარჯიშია. სირბილისა და სიარულის დროს ტანის რითმული მოძრაობა მთელი ორგანიზმის შესანიშნავი ვარჯიშია, რომელიც ხელს უწყობს ყოველი ორგანოს (მათ შორის — პროსტატის ჯირკვლის) ფუნქციათა გაუმჯობესებას. ეს კი, საბოლოო ჯამში, თავს აგვაცილებს იმ დაავადებებს, რაც ხშირად „ეწვევათ“ ხოლმე საშუალო ასაკისა და ხნიერ ადამიანებს.

ერთი სიტყვით, თქვენი ჯანმრთელობის დაცვის ნამდვილი გარანტი გახლავთ ცხოვრების ჯანსაღი წესი!

**ანზორ ბასილაია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სეზონის აღმოჩენა

**მიიწურა ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის I ნახევარი, სატურნირო ცხრილს კი სტარტიდანვე ჯიუტად უდგას სათავეში სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადი", რომელიც შარშან ძლივს გადაურჩა პრიმერა-დივიზიონიდან გავარდნას.**

**ერთი შეხედვით, ბასკების ასეთი აღზევება მოულოდნელად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ თუ გავიხსენებთ მათ მდიდარ ტრადიციებს (ლეგენდარული ზამორა, სილაურენი, ლანგარა, გოროსტიცა, მოგვიანებით — სატრუსტეგი და ლოპეს უფარტე), გასაკვირად ის უფრო მოგვეჩვენება, ასე რატომ გაჭიანურდა ამ კლუბში კრიზისი. თუმცა, როგორც მიმდინარე სეზონი ადასტურებს, ეს უკვე წარსულს ჩაბარდა და ამჟამად მრისხანე „რეალს", „ვალენსიას", „დეპორტივოს", „ბეტისსა" და „ბარსელონას" ჩვენი მონათესავე ხალხის წარმომადგენელთა სახით სერიოზული მეტოქე გაუჩნდათ, რომელიც დაუმარცხებლად მიიკვლევს გზას ოქროს მედლებისაკენ. იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ბასკური ფენომენი მორიგი გაბრწყინების საიდუმლო, შემოთავაზებული წერილიდან შეიტყობთ.**

# ბასკური სასწაული

90-იან წლებს ბასკური ფეხბურთის ოქროს ხანას ნამდვილად ვერ დავარქმევთ. მართალია, „ატლეტიკი" და „რეალ სოსიედადი" პრიმერა-დივიზიონის შუა საფეხურებს სტაბილურად იკავებდნენ, მაგრამ ამაზე შორს საქმე აღარ მიდიოდა. ყველაფრის მიუხედავად, ბასკეთი ესპანური გრანდებისათვის პერსპექტიული ფეხბურთელებისა, თუ უკვე ჩამოყალიბებული ვარსკვლავების ერთ-ერთი უმთავრესი მიმწოდებელი იყო. ხსენებული ორი კლუბიდან უკეთესი მაინც „ატლეტიკი" გახლდათ — 1997-98 წლების სეზონში ბასკური ფესვების მქონე ფრანგის, ლუის ფერნანდესის თავკაცობით, მან ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. ბოლო წლებში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. „ატლეტიკსა" და „სოსიედადს" უმაღლეს ლიგაში „ალავესი" და „ოსასუნა" შეუერთდნენ, მაგრამ ამ კვარტეტს, „ალავესის" უეფას თასის ფინალში გასვლას თუ არ ჩავთვლით, განსაკუთრებული შედეგისთვის არ მიუღწევია.

ფეხბურთის ბასკი ფანები წლების მანძილზე ოცნებობდნენ, რომ მათი სათაყვანებელი კლუბი ესპანეთში საუკეთესო ყოფილიყო. ახალგაზრდა ბიზნესმენს, ხოსე ლუის ასტიასარანს დიდ სურვილთან ერთად, შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობაც აღმოაჩნდა და შარშან „რეალ სოსიედადის" საპრეზიდენტო არჩევნებზე იყარა კენჭი. გულშემატკივრებს მართალია, მისი დაპირებებისა დიდად არ სჯეროდათ, მაგრამ საყვარელი კლუბის ბედი მაინც მიანდეს. ასტიასარანი მუშაობას ენერგიულად შეუდგა და „სოსიედადში" ძირეული რეფორმები განახორციელა. მთავარ მწვრთნელად მან გამოცდილი უელსელი, ჯონ ტოშაკი მიიწვია და არც რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელის შესაძენად დაუშურებია ფული. უნდა ითქვას, რომ ახალი პრეზიდენტი გუნდში სეზონის შუაწელში მივიდა. იმ მომენტისათვის სან-სებასტიანელთა სიამაყეს გასავარდნად ჰქონდა საქმე. ტოშაკმა ვერ გაამართლა. ასტიასარანსაც ბევრი აღარ უფიქრია და მას ზრდილობიანად დაემშვიდობა. ეს სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე მოხდა. გამჭრიახი პრეზიდენტი მიხვდა, რომ სანამ ახალი თავკაცი „რეალ სოსიედადის" შიდა სამზარეულოს გაცნობას მოასწრებდა, კლუბი სეგუნდა დივიზიონში ჩაყვინთავდა. ამიტომაც, მან გამოცდილი მწვრთნელის გადაბირება მომავლისათვის გადადო და გუნდი ტოშაკის თანაშემწეს, რობერტო ოლაბეს ჩააბარა. ამ უკანასკნელმა ამოცანას წარმატებით გაართვა თავი და კლუბი პრიმერა- დივიზიონში დატოვა. შეთანხმებისამებრ, მადლობა გადახდილი ოლაბე ძველ თანამდებობას დაუბრუნდა (სხვათა შორის, დონ რობერტო ახალგაზრდა და პერსპექტიული მწვრთნელია. ასტიასარანს მისი ძალიან ეიმედება და სავარაუდოა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტს ჩაიბარებს).

2001/02 წლების სეზონის დასრულების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი დამრიგებლის მოწვევა. რამდენიმე კანდიდატურას შორის „სოსიედადის" ხელმძღვანელობამ უპირატესობა ფრანგ რეინალდ დენუეს მიანიჭა. ოლაბეს მსგავსად, ფრანგი სპეციალისტიც დამწყებ მწვრთნელად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი პირველი სერიოზული კლუბი „ნანტი" გახლდათ. ბოლო წლებში უმაღლეს ლიგაში მუდამ დარჩენისათვის მებრძოლებს მან გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩაუნერგა და შრომის შედეგიც მალე მოიმკო — 2001 წელს გუნდმა საფრანგეთის ჩემპიონობა მოიპოვა. „ნანტის" ლიდერი ერიკ კარიერი გახლდათ, რომელმაც წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში შესანიშნავი თამაშით დაგვამახსოვრა თავი. ზედიზედ 2001/02 წლების სეზონის წინ ერიკი ჯიბესქელმა „ლიონმა" გადაიბირა. დენუემ მისი შემცვლელის მოძებნა ველარ მოასწრო და გუნდის სათამაშო სისტემა ერთიანად მოიშალა. ეროვნულ პირველობაზე წარუმატებლობის საპირისპიროდ, „ნანტმა" ჩემპიონთა ლიგაში შთამბეჭდავად იასპარეზა, დაამარცხა რა ორჯერ რომის „ლაციო" და 16 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

ფრანგი მწვრთნელის მოწვევა ასტიასარანის მხრიდან ერთობ ჭკვიანური ნაბიჯი იყო. ყველაზე ცნობილი ესპანელი სპეციალისტები მაჩანჩალა (როგორც მათ ეგონათ) და უვარსკვლავებო გუნდში მუშაობისგან აუცილებლად თავს შეიკავებდნენ. პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, წაგებას შეჩვეული თანამემამულის მოწვევას გამარჯვებულის ფსიქოლოგიის მქონე უცხოელის სამსახური არჩია. დენუეს სამშობლოში არაერთი სამსახური შესთავაზეს, მაგრამ ასტიასარანთან საუბრის შემდეგ იგი მიხვდა, რომ საქმე მეტად შრომისმოყვარე კაცთან ჰქონდა და ახალი თავგადასავლების საძიებლად პირინეებს მიაშურა. სან სებასტიანში მას არც ისე კეთილგანწყობილად შეხვდნენ. ბასკებს მიაჩნდათ, რომ გუნდის სათავეში მათი თანამემამულე უნდა მდგარიყო. ჩაიარა პრიმერას პირველმა, მეორე, მესამე ტურმა, „სოსიედადმა" დამაჯერებელი სტარტი აიღო. წარმატებებს გადაჩვეული ფანები ამ მოვლენას შემთხვევითობას მიაწერდნენ, მაგრამ რამდენიმე მატჩის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდნენ მუსიე რეინალდის ნიჭიერებაში. ყველაფერთან ერთად, ფრანგს სელექციის გასაოცარი უნარიც აღმოაჩნდა. სეზონის დაწყებამდე ასტიასარანმა მას უთხრა, რამდენიმე მილიონი ეუროს დასახარჯად მზად ვარო. ყველას გასაოცრად, დენუემ მხოლოდ ვეტერანი რუსის, ვალერი კარპინის შეძენა ინება. რაც შეეხება მილიონებს, მწვრთნელის დავალებით პრეზიდენტმა თანხა სახელფასო ფონდის გაზრდას მოახმარა და აღნიშნული ნაბიჯით „უპერსპექტივო" გუნდიდან წასვლის სურვილის მქონე ფეხბურთელების შენარჩუნება მოახერხა.

მკითხველისათვის კლუბის ფეხბურთელთა უმეტესობა ნაკლებადაა ცნობილი. როგორც თითქმის ყველა ბასკს, „სოსიედადის" მოთამაშეებსაც გამძაფრებული აქვთ ეროვნული გრძნობა. უნდა ითქვას, რომ ესპანეთის ოლქების წარმომადგენლებს შორის ყველაზე მეტად ბასკებს უჭირთ მშობლიური კუთხისა და კლუბის დატოვება. მათი მსოფლმხედველობა ასეთია: თუ ფეხბურთელი მსოფლიო დონის ვარსკვლავი არაა, არ ღირს წასვლა იმ გუნდიდან, სადაც ქომაგის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. დღესდღეობით ყველაზე გამორჩეული ბასკი გაისკა მენდიენტაა, რომელსაც სულაც არ ხიბლავს სამშობლოში თამაშის პერსპექტივა. თუმცა, კლუბის ერთგული ვარსკვლავის გახსენებაც შეგვიძლია: იულენ გერერომ ესპანეთისა და ევროპის გრანდებში გადასვლაზე უარი განაცხადა და კარიერის საუკეთესო წლები ბილბაოს „ატლეტიკში" გაატარა.

ისევ „რეალ სოსიედადს" დავუბრუნდეთ. ქვემოთ კლუბის გამორჩეულ მოთამაშეთა და სათამაშო სქემის შესახებ ვისაუბრებთ.

მეკარის პოზიცია გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა. როგორც ბასკს, ალბერტოს პატივი მივაგოთ და პირველად მასზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. იგი სტაჟიანი „სოსიედადელია" და წლების განმავლობაში ძირითადი კიპერიც გახლდათ. ბოლო პერიოდში მას ლეგიონერ კოლეგებთან მძაფრი კონკურენცია უწევს. შარშან ალბერტომ ყველას დაუმტკიცა, რომ შედეგ მათთან ასპარეზზე ძლიერი იყო და მედეგად, ამ უკანასკნელს გუნდის დატოვება მოუწია. ამჟამად უფრო ხშირად „რეალის" კარს „ლივერპულიდან" შემენილი ჰოლანდიელი სანდერ ვესტერველდი იცავს, რომელიც საკმაოდ დამაჯერებლად ასპარეზობს. მას შარშან ინგლისური გრანდიდან დათხოვნის გამო გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი უკანაა და სანდერი თავდაუზოგავად შრომობს იმისათვის, რომ ყველას დაუმტკიცოს თავისი სიძლიერე.

დაცვის ხაზს ყველაზე ხშირად ლოპეს რეკარტე-არანსაბალ-შურერ-ხაურეგის კვარტეტი ქმნის. გამოსარჩევი მათ შორის აუგუსტინ არანსაბალია. იგი გუნდის კაპიტანი გახლავთ. წლების მანძილზე აუგუსტინი ესპანეთის ნაკრების შეუცვლელი მოთამაშე გახლდათ, მაგრამ კამაჩო მას ბოლო პერიოდში ეროვნულ გუნდში აღარ იწვევდა. არანსაბალი კლუბის სიმბოლო და გულშემატკივართა უსაყვარლესი ფეხბურთელია. შედარებისთვის, იგი „რეალ სოსიედადში" ისეთივე ავტორიტეტული ფიგურაა, როგორც ფერნანდო იერო მადრიდის „რეალში". კაპიტნის მეწყვილე დაცვის ცენტრში გამოცდილი არგენტინელი, გაბრიელ შურერია. ფლანგებზე ლოპეს რეკარტე და ხაურეგი ირჯებიან. დროგამოშვებით უკანა ხაზში ნორვეგიელ ბიორნ ტორე კვარმესაც ვხედავთ. მას „ლივერპულშიც" კი უთამაშია. კვარმეს უკანასკნელი კლუბი ფრანგული „სენტ ეტიენი" გახლდათ, საიდანაც სან სებასტიანში ამავე გუნდის თავკაცმა, ჯონ ტოშაკმა წაიყვანა. ნახევარდაცვაში სტაბილურად თამაშობენ ხავიერ დე პედრო, ხაბი ალონსო, მიგელ არანბურუ და ვალერი კარპინი. დე პედრო საკმაოდ გვიან „გაიხსნა" და შეიძლება ითქვას, რომ ფორმის პიკზე სწორედ ახლა, 29 წლის ასაკში იმყოფება. იგი 2002 წლის მუნდიალზე ნაკრების შეუცვლელი მოთამაშე იყო. მას ახლახანს ბობი რობსონი ეპატიჟებოდა „ნიუკასლში", მაგრამ ხავიერმა განაცხადა, კარიერის დასრულებამდე რამდენიმე წელი დამრჩენია და „სოსიედადთან" ერთად ტიტულის მოგება მწადიაო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს კლუბის წევრების საბრძოლო სულისკვეთებაზე. საყრდენი ალონსო და გამთამაშებელი არანბურუ ბასკური ფეხბურთის გამორჩეული მარგალიტები არიან და ამომავალ ვარსკვლავებადაც ითვლებიან. ვალერი კარპინი ცალკე საუბრის თემაა. გაზაევმა მისი დრო წასულად მიიჩნია და ნაკრებს მიღმა დატოვა. ასეთი მოსაზრება ჰქონდა ვიგოს „სელტას" ხელმძღვანელობასაც, როცა კარპინს კონტრაქტის გახანგძლივებაზე მტკიცე უარი განუცხადა. ვალერის სან სებასტიანში მეორე სუნთქვა გაეხსნა და სკეპტიკოსებს დაუმტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. იგი წლევანდელ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენაფლანგელია და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც საკმაოდ ხშირად ხვდება. თურქი ტაიფუნ ქორქუტი შარშან ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობდა, მაგრამ კლუბში დენუეს მოსვლის შემდეგ სასტარტო თერთმეტეულში შიგადაშიგ თუ ვიხილავთ ხოლმე. როგორც ამბობენ, იგი „რეალ სოსიედადს" მალე დატოვებს. პერსპექტიულ ფეხბურთელებად ითვლებიან ახალგაზრდა შუახაზელები გაბილონდო და ბორისი.

საყოველთაო მოსაზრებით, გუნდის თავდასხმის წყვილი კოვაჩევიჩი-ნიჰათი პრიმერა-დივიზიონში საუკეთესოა. შესაბამისად 11 და 10 გოლით, სერბი და თურქი ბომბარდირთა შორის იმყოფებიან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი კოვაჩევიჩი გახლავთ. იგი სტაჟიანი „სოსიედადელია". კოვაჩევიჩმა ახლახან ლეგიონერებს შორის კლუბის შემადგენლობაში ჩატარებული მატჩების რეკორდი გააუმჯობესა, გაასწორო რა ბოსნიელ მეჰოკოდროს. 1999 წელს მან სან სებასტიანი დატოვა და კარიერა იტალიაში განაგრძო. „იუვენტუსსა" და „ლაციოში" არცთუ ისე წარმატებული მოღვაწეობის შემდეგ, დარკო მიხვდა, რომ აპენინური ბურთაობა მისი მოწოდება არ იყო და შარშან „მშობლიურ" ესპანეთს დაუბრუნდა. იგი ათლეტური აღნაგობისაა, კარში ურტყამს ყველა პოზიციიდან, ერთნაირად ძლიერია როგორც ფეხით, ასევე მეორე სართულზე თამაშში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოვაჩევიჩისათვის წლევანდელი სეზონი ერთ-ერთი საუკეთესოა კარიერის მანძილზე. ტანმორჩილი ნიჰათი მაღალი სისწრაფითა და კარგი ტექნიკით გამოირჩევა. იგი თურქეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და ილჰან მანსიზთან ერთად სამშობლოში საუკეთესო ფორვარდად ითვლება. თუ ნიჰათის ასაკსაც (23 წ.) გავითვალისწინებთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი კიდევ მოუმატებს. თურქმა ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო დმიტრი ხოხლოვი. რუსი სასტარტოში მხოლოდ ნიჰათის ტრავმის შემთხვევაში თუ ხვდება ხოლმე.


ხავიერ დე პედრო.

## სადარბაზო ბარათი

### რეალ სოსიედადი (სან სებასტიანი)

**დაარსდა** 1909 წელს

**სტადიონი:** „ანოეტა" (32 000 მაყურებელი)

**ტიტულები:** ესპანეთის ჩემპიონი (1981, 1982), ესპანეთის თასის მფლობელი (1987)

**პრეზიდენტი:** ხოსე ლუის ასტიასარანი

**მთავარი მწვრთნელი:** რეინალდ დენუე (საფრანგეთი)

| | |
|---|---|
| **მეკარეები:** | |
| ალბერტო ლოპესი | (33) |
| სანდერვესტერველდი | (ჰოლანდია, 28) |
| **მცველები:** | |
| ბიორნტორე კვარმე | (ნორვეგია, 30) |
| აუგუსტინ არანსაბალი | (29) |
| იგორ ხაურეგი | (28) |
| გაბრიელ ფრანსისკო შურერი | (არგენტინა, 31) |
| ხოსე პიკაბეა | (32) |
| აიტორ ლოპეს რეკარტე | (27) |
| სუჰაის გურუზაგა | (22) |
| კრისტიან ალბერდი | (22) |
| **ნახევარმცველები:** | |
| ხაბიალონსო | (21) |
| ტაიფუნქორქუტი | (თურქეთი, 28) |
| ფრანსისკო ხავიერ დე პედრო | (29) |
| მიგელ არანბურუ | (23) |
| სერხიო ბორისი | (22) |
| ხოსე ხავიერ ბარკერო | (23) |
| იგორ გაბილონდო | (23) |
| მიგელ ალონსო | (22) |
| ვალერი კარპინი | (რუსეთი, 33) |
| **თავდამსხმელები:** | |
| დარკო კოვაჩევიჩი | (იუგოსლ., 29) |
| ნიჰათ ქანვეჩი | (თურქეთი, 23) |
| დმიტრი ხოხლოვი | (რუსეთი, 26) |
| ოსკარ დე პაულა | (27) |
| ხოსება ლორენტე | (23) |
| ხარიკო ურანგა | (22) |

**„რეალ სოსიედადი" ერთადერთი გუნდია ევროპის ხუთ საუკეთესო ლიგაში, რომელსაც ჯერ დამარცხება არ განუცდია. რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ ბასკები ამჟამად პირველ ადგილზე იმყოფებიან, სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემპიონატს ამავე პოზიციაზე დაასრულებენ, მაგრამ პრიმერა-დივიზიონის ნახევრის მანძილზე სათაყვანებელი გუნდის შთამბეჭდავი ასპარეზობა სან სებასტიანელებს იმედის ნაპერწკალს უღვივებს. პირველად, თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე, ბასკებს იმედი გაუჩნდათ, რომ პირველები იქნებიან, რომ ოდინდელი ზეფეხბურთელების მსგავსად, მათი კერპებიც დაუმარცხებლები იქნებიან. სან სებასტიანელებს არ დავიწყებიათ 1981 და 1982 წლები, როცა მთელ საფეხბურთო ესპანეთს ზემოდან დაჰყურებდნენ.**

მოამზადა
**გია პლატონიშვილმა.**

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 23, ორშაბათი, 27 იანვარი, 2003 წელი.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის კათედრის თანამშრომლები. 70-იანი წლები.

სურათი მოგვაწოდა გრიგოლ შვანგირაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ცოდნის სკივრი

## ავტოსალონი

**დეტროიტის საავტომობილო გამოფენაზე მოეწყო ეგრეთ წოდებული Conceptual Cars, ანუ ისეთი ავტომობილების ჩვენება, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ კონცეფციაშია. ახალი მარკების შემყურე სპეციალისტები უნებლიედ იხსენებდნენ სიტყვა Conception-ის ძირითად (პირველ) მნიშვნელობას — ჩასახვა. და გამოფენას მისცეს მეორე სახელწოდება Immaculate Conception („უბიწო ჩასახვა"), იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის მონაწილეობა მანქანის ჩასახვაში დღეს მინიმალურია. მანქანები აკეთებენ მანქანებს, მანქანები განსაზღვრავენ მანქანების მოდას...**

# „უბიწოდ ჩასახული" მანქანების გამოფენა



ეს მოწყობილობა საჭევარი არ გეგონოთ. ეს არც საჭეა. მას უფრო ეთქმის ჯოისტიკი. „ჯენერალ მოტორზ" კომპანიის წარმომადგენლებმა თავიანთ კონცეპტკარეში შეცვალეს მთელი მექანიკური კავშირები: საჭის, აქსელერატორის ამძრავი და თვით მუხრუჭები — ელექტრულის. ახლა არც ლითონის წვრილი გვარლი გაწყდება და არც საჭის სისტემა გამოვა მწყობრიდან. თუმცა, საინტერესოა, რა მოხდება, თუ მუხრუჭზე მცველი გადაიწვა?

იაპონელებს ავტომობილები გადაჰყავთ წყალბადის სათბობზე. „Toyota FINE-S"-ის გაჩენის შემდეგ აღარ არის საჭირო სათადარიგო ელექტროძრავები.

„დოჯ ტომაჰავკ" ოთხთვლიანი მოტოციკლი აღჭურვილია V10 8,3-ლიტრიანი მოტორით. ეს 500-ცხენისძალიანი ძრავა „მოტოციკლრაკეტას" ანიჭებს საათში 100 კილომეტრამდე სიჩქარეს სულ 2,5 წამში, მერე კი იოლად აღწევს 240 კმ/სთ სიჩქარეს. ამასთან, მოტოციკლის თეორიული სიჩქარის ბარიერი შეადგენს დაახლოებით 450 კილომეტრს საათში, მაგრამ, ჯერჯერობით ვერავინ ბედავს, შეამოწმოს ეს ფაქტი პირადად.

კომპანია Intiniti-ს მიერ წარმოდგენილ კარების გაღების ახალ სისტემას აქვს რამდენიმე პლუსი: მანქანაში ჩაჯდომა უფრო იოლია, თანაც, ავტომობილების ახლო-ახლო დაყენებისას ნაკლებია რისკი, რომ მეზობელს გაუჩხაპნი ძარას. თანაც, ასეთი მანქანები რატომღაც ძალიან მოსწონთ ქალებს.

ექსპედიციის Dodge Kahuna-მ მონუსხა ქიური უჩვეულო დიზაინითა და ორიგინალური სახურავით, რომელიც გარმონიულ იკეცება.

ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა Smartruck II შემუშავებულია სპეციალურად არმიისა და პოლიციისათვის, მაგრამ აღჭურვილია ძვირფასი საქალაქო ავტომობილის კომფორტის მთელი ატრიბუტებით.

ჟურნალი „ოგონიოკი", №1-2.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge